


ქართველი კათოლიკე ექიმები

ნაწილი პირველი



କେନ୍ଦ୍ର ପାଠ୍ୟ ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ
ପାଠ୍ୟ ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ

ପାଠ୍ୟ ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ
ପାଠ୍ୟ ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ

ଶାଖା ପାଠ୍ୟ ମଧ୍ୟାବ୍ଦୀ



ଗାମିମତ୍ୟେମଲ୍ଲଙ୍କା „ଜନ୍ମବୋଲ୍ଲଙ୍କା“
ତବିଲ୍ଲଙ୍କା 2024

ნაშრომში აღწერილია გასულ საუკუნეებში მოღვაწე ქართველი კათოლიკე ექიმების (ერთი ნაწილის) საინტერესო ცხოვრება, წარმატებული პროფესიული საქმიანობა და წარმოჩენილია მათი პიროვნული ღირსება. ამ ფონზე თანამედროვეთათვისაც გათვალსაჩინოებულია ქართველ კათოლიკეთა უდიდესი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საპატიო რედაქტორი **მამა გაბრიელე ბრაგანტინი**
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზიენტი: **ნუგზარ ბარდაველიძე**
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ბეგიშვილი
თინათინ კოკოჩაშვილი
ნანა მიზანდარი

© ჭ. ფეიქრიშვილი, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-769-7

შ ი ნ ა თ ქ მ ა

| | |
|---|----|
| წინათქმა | 7 |
| შესავალი | 14 |
| ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხი- | |
| სათვის ქუთაისში (ნ. აბულაძე, გ. კეზევაძე) | 14 |
| სიტყვა ქართული კათოლიკობის შესახებ | |
| (თ. ჩხერიძელი) | 19 |
| ქუთაისის „სამედიცინო საზოგადოება“ | |
| (უ. ფეიქრიშვილი, ნ. მიზანდარი) | 24 |
| რეცენზია (ნ. ბარდაველიძე) | 28 |
| ზურალაშვილი ზაქარია მიხეილის ძე | 32 |
| კოკოჩაშვილი | 38 |
| შესავალი | 38 |
| ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი..... | 40 |
| პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი..... | 43 |
| ლევან პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი | 47 |
| ივანე პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი..... | 49 |
| მიხეილ ივანეს ძე კოკოჩაშვილი | 51 |
| ზაქარია პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი | 58 |
| კონსტანტინე ზაქარიას ძე კოკოჩაშვილი | 63 |
| ვახტანგ კონსტანტინეს ძე კოკოჩაშვილი | 65 |
| ნინა ზაქარიას ასული კოკოჩაშვილი..... | 71 |
| შალვა ვასილის ძე კოკოჩაშვილი | 72 |
| გულნარა შალვას ასული კოკოჩაშვილი..... | 89 |

| | |
|---|------------|
| ს ი მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ ა ბ ი | 95 |
| სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილი | 95 |
| ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი | 100 |
| სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი | 102 |
| მასალები სიმონ ხეჩინაშვილის პიროვნული პორტრეტისათვის..... | 104 |
| ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი გ ა ბ ი | 111 |
| შესავალი | 111 |
| მიხეილ ანტონის ძე არაზაშვილი | 112 |
| იაკობ იოსების ძე არაზაშვილი | 113 |
| იოსებ (სოსო) იაკობის ძე არაზაშვილი | 118 |
| გ რ კ ი ე ლ ი გ ა ბ რ ი ე ლ (გ ა ბ ო) ი ო ს ე ბ ი ს ძე | 122 |
| ბ ე თ ა ნ ე ლ ი გ ა დ ა კ რ ს ტ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ ა ბ ი | 139 |
| სტეფანე დანიელის ძე ბეთანელი | 140 |
| მიხეილ დანიელის ძე ბეთანელი..... | 141 |
| ელენე დანიელის ასული ბეთანელი | 145 |
| სოფიო იოსების ასული კოსტანაშვილი- ბეთანელისა | 147 |
| ვალერიან (ვალიკო) კოსტანაშვილი | 152 |
| ალექსანდრე (საშა) მიხეილის ძე ბეთანელი.... | 155 |
| გ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გ ა ბ ი | 169 |
| სტეფანე ტიმოთეს ძე მურვანიშვილი | 169 |
| სიმონ ტიმოთეს ძე მურვანიშვილი..... | 172 |
| ვიოლეტა სიმონის ასული მურვანიშვილი | 173 |

| | |
|--|-----|
| მირაჟიშვილი ვიტო გარებული შეკრიბული | 174 |
| ბონავენტურ ანტონის ძე მირაჟიშვილი | 174 |
| ბონავენტურ მირაჟიშვილი – „უცნაური კაცი“ .. | 177 |
| ანტონ ბონავენტურის ძე მირაჟიშვილი | 183 |
| გელაზარიშვილი კლიმენტი | 191 |
| ასლანიშვილი იოსებ (სოსო) ანტონის ძე | 193 |
| ჩხერიმელი შალვა ვასილის ძე..... | 201 |
| ნაზარიშვილი გიორგი პეტრეს ძე..... | 202 |
| ჩილინგარიშვილი თამარ პავლეს ასული..... | 205 |
| გალოშვილი ვიტო გარებული | 207 |
| ანტონ გრიგოლის ძე ბალოშვილი | 207 |
| ვაჟა ანტონის ძე ბალოშვილი..... | 208 |
| იზაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე..... | 213 |
| ლიტერატურა და წყაროები..... | 219 |
| ფოტომატიანე..... | 223 |

„საქართველოს პატარა და ძვირფასო
კათოლიკე მრევლო, მუდამ ქველ-
მოქმედებასა და აღზრდა-განათლება-
ზე მზრუნველო, ისმინე კეთილი
მწევემსის გამამხნევებელი მოწოდება;
მიენდე მას, ვინც მხრებით გატარებს
და ნუგეშს გცემს“.

პაპი ფრანცისკეს ქადაგებიდან

01.10.2016

თბილისი

წინათქმა

დღეს მსოფლიოში არნახული ტემპებით იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, ისე რომ დღევანდელი დღე აღარ ჰგავს გუშინდელს... თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები იკავებენ ძირითად ადგილს როგორც ყოფითი რეალობის ნებისმიერ ასპარეზზე, ისე ადამიანთა გონიერაშიც. ჩვენც მეტ-ნაკლები „სისწრაფით“ ვაცნობიერებთ ზოგად კანონზომიერებას – რომ „ყველაფერი ცვალებადია“ – და ვეგუებით (ვიღებთ) ყოველ ახალ სიახლეს (უკვე „მოძველებული“ არსებული საშუალებების ნაცვლად).

საბედნიეროდ, უცვლელია ყველა ეპოქისა და ხალხისათვის საერთო მარადიული ფასეულობანი: სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული და მათ მიმართ მოვალეობა-პასუხისმგებლობა; თავმდაბლობა – პატიოსნება, ურთიერთპატივისცემა – გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა – პრინციპულობა, რეალური სინამდვილისა და საკუთარი თავის ობიექტური შეფასების უნარი... ყველაფერი ეს შესაძლებელი ხდება კაცობრიობის გამოცდილების გააზრება-გაცნობიერებით, წინაპართა ცხოვრების გათვალსაჩინოებით, ანმყოსა და მომავლისათვის წარსულის საუკეთესო მომენტების გაცოცხლებით, იმის რწმენით, რომ „ერის დაცემა იწყება იქიდან, როცა საზოგადოება ივინუებს წარსულს. წარსულის გარეშე არ არსებობს ანმყო და მომავალი. წარსულიდან

უნდა ვისწავლოთ ბევრი რამ და ის გამოცდილება გამოვიყენოთ სამომავლოდ“ (ილია ჭავჭავაძე).

სწორედ ამ შთაგონებით დაინტერა ეს ახალი ნაშრომიც – „ქართველი კათოლიკე ექიმები. წიგნი პირველი.“

ჩვენი წიგნის პერსონაჟები იყვნენ საოცარი და დიდებული ექიმ-დასტაქრები, ფარმაცევტები, დღენიადაგ რომ ზრუნავდნენ ადამიანების ჯანმრთელობაზე... იმავდროულად იყვნენ ღირსეული პიროვნებები თავიანთი კეთილშობილებით, უსაზღვრო ქველმოქმედებით; რაც მთავარია, მათს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას განსაზღვრავდა თითოეული პაციენტის სიყვარული და თანადგომა...

როცა უფრო ახლოს ეცნობი კათოლიკე ექიმების ცხოვრება-მოღვაწეობას, რწმუნდები, რომ ბევრი მათგანი ნამდვილად იყო ექიმად დაბადებული, ღმერთისგან მადლცხებული, თავისი საქმის შემოქმედი და ახლის მაძიებელი; ადამიანის ფიზიკური მდგომარეობისა და სულიერების ჭეშმარიტი მკურნალი, რომელიც ცხოვრობს და ცოცხლობს პაციენტის ტკივილითა და სიხარულით (მკითხველიც თავად ირწმუნებს, რომ ჩვენს შეფასებაში არაფერია გაზვიადებულ-გადაჭარბებული).

დღევანდელ საქართველოს ნამდვილად სჭირდება ასეთი ექიმები: არა მხოლოდ განათლებული სპეციალისტები, არამედ მოწოდებით მკურნალები და ჰუმანურები. ამიტომაც, სასურველია, ჩვენს ახალ თაობას სამაგალითოდ გავაცნოთ (უფროსებს კი შევახსენოთ) წინაპრების მიერ რთულ ეპოქაში სასახელოდ განვლილი გზა, ქართველ კათოლიკეთა უდიდესი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

* * *

ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი კათოლიკები, იგივე „ფრანგები“, გახდნენ ჩვენი ეროვნული მრეწველობისა და სავაჭრო საქმიანობის მესაძირკვლენი. საქვეყნოდაა აღიარებული აგრეთვე საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ხანგრძლივი მოღვაწეობის დადებითი შედეგები: კათოლიკურმა აღმსარებლობამ მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი ქართველობის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთისა) არა მხოლოდ გადაარჩინა ფიზიკური განადგურებისგან და შეუნარჩუნა ეროვნულობა, არამედ იმავდროულად ისინი დააკავშირა ევროპულ კულტურასთან. ადგილობრივებმა უცხოელი მისონერებისგან ისწავლეს პატიოსანი შრომის ფასი, ცოდნა-განათლების აუცილებლობა, ევროპული წესებით „ახალი“ ცხოვრება...

XIX სუკუნის დამდეგიდან უკვე შესამჩნევი გახდა სამხრეთ საქართველოდან „ფრანგ“ კათოლიკეთა გადასახლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: ქუთაისში, ბათუმში, გორში, თბილისსა და სხვა ქალაქებში. ევროპელ მისიონერებთან განვრთნილი კათოლიკე მესხები ახალ საცხოვრისში იწყებენ მრავალმხრივ საქმიანობას: ვაჭრობა-მრეწველობის გვერდით, აფუძნებენ და ავითარებენ განათლება-კულტურის სფეროებს, განსაკუთრებით დაწინაურდნენ სამედიცინო (საექიმო) მიმართულებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპულ ცხოვრება-საქმიანობას მეტ-ნაკლებად „გაცნობილმა“ კათოლიკე მესხებმა ენერგიული შრომით, გამჭრიახობით რეგიონებში

ერთგვარად „გამოაფხიზლეს“ ადგილობრივი თავადაზნაურობა და გლეხობაც, თავიანთი წარმატებული საქმიანობით დაანახვეს, რომ ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის მთავარი იყო, საზოგადოებას გაეაზრებინა ეპროპული წესებით ცხოვრების აუცილებლობა.

ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამილებულ კათოლიკეთა ცნობილი საგვარეულოების წარმომადგენელთა საქმიანობა საუკეთესო მაგალითი გახდა მომდევნო თაობებსათვის.¹

წიგნში 38 მედიცინის მუშაკის (პროვიზორი, ექიმი, მედდა) ცხოვრება-მოღვაწეობაა წარმოდგენილი. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით – ექიმის დაბადების თარიღის გათვალისწინებით (ეს პრინციპი გამოყენებულია საგვარეულოს ცალკეული წევრების მიმართაც).

ნაშრომში შეტანილი მასალები მოცულობით არათანაბარია: ზოგ შემთხვევაში ჩვენი საუბარი ემყარება ოფიციალური დოკუმენტების მშრალ ჩამონათვალს, რადგან უფრო ვრცელი მასალის მოძიება რთული აღმოჩნდა გარკვეული მიზეზების გამო: ჯერ ერთი, XX საუკუნის დამდეგიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ქვეყანაში დაიწყო საშინელი რეპრესიები შეძლებული, საქმიანი ადამიანების მიმართ. ეს სადამსჯელო ღონისძიებები უფრო მკაცრად შეეხო ქართველ კათოლიკებს. ამიტომ ბევრ ძირძველ კათოლიკეთა ოჯახში მოსალოდნელი დახვრეტა-დაპატიმრების შიშით თით-

¹ საქართველოში კათოლიკურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საინტერესო ინფორმაციას მკითხველი გაეცნობა წიგნის შესავალ ნაწილშიც.

ქმის მთლიანად განადგურდა მათი წინაპრების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, კომუნისტური რეჟიმის ზეობის პერიოდში, როცა პიროვნების რელიგიურობა გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, კათოლიკეთა ოჯახებში ახალი თაობა აღარ აღიარებდა მამა-პაპათა ტრადიციულ რწმენას; არ აინტერესებდა ამასთან დაკავშირებით ოჯახში არსებული მასალებიც. მეტიც: XX საუკუნის მიწურულს, მართლმადიდებელი სასულიერო პირების წაქეზებით დაიწყო კათოლიკეთა გადანათვლა; იმავდროულად გაძლიერდა მართლმადიდებელი მრევლის მხრიდანაც არაჯანსალი (არაქრისტიანული) დამოკიდებულება კათოლიკეთა მიმართ. ალბათ, ამ და კიდევ სხვა ამგვარი მიზეზების გამოც ბევრ ოჯახში (განსაკუთრებით, ქუთაისში) საბოლოოდ წაიშალა კათოლიკობის კვალი.

მიუხედავად ობიექტურად არსებული უამრავი მიზეზისა, ჩვენი სამუშაო ჯგუფის (ლევან ბეგიშვილი, თინათინ კოკოჩაშვილი, ნანა მიზანდარი) აქტიურობით მაინც შევძელით რამდენიმე ექიმთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციებისა თუ საოჯახო არქივებში დაცული მასალების (საგაზეთო პუბლიკაციები, ახლობელთა მოგონებები, ოფიციალური დოკუმენტები, ფოტომასალა...) მოძიება და მათი გამოყენება, რათა თანამედროვე მკითხველისათვის გაგვეცნო ქართველ კათოლიკე ექიმთა არა მხოლოდ ცხოვრება-მოღვაწეობის ოფიციალური ქრონიკა, არამედ გაგვეცოცხლებინა ისინი, როგორც პიროვნებები მათვის ნიშანდობლივი ხასიათითა და თვისებებით, ანუ თითოეული მათგანი დაგვენახა, როგორები იყვნენ

თეთრი ხალათის გარეშე, სამუშაო კაბინეტის მიღმა...

აქვე შევნიშნავთ: წიგნში შეტანილი სტატიები, განსხვავებულ მასალებზე დაყრდნობით, მომზადებულია სხვადასხვა ავტორის¹ მიერ (თუმცა ზოგ შემთხვევაში ტერმინი „ავტორი“ პირობითია). აქედან გამომდინარე, ისინი ბუნებრივად ვერ იქნებოდნენ ერთნაირი სტრუქტურით, სტილითა და მოცულობითაც კი.

წარმოდგენილი ნაშრომი, ოფიციალური წყაროების გარდა, ეყრდნობა ზეპირ გადმოცემებს (მოგონებებს), ამდენად, მიუხედავად ჩვენი განსაკუთხებული სიფრთხილისა, ურთიერთგამომრიცხავი მასალების შეჯერება-გადამოწმებისა, ვერ ვიქნებით დაზღვეული თუნდაც დედნისეული უზუსტობებისაგანაც.

წიგნს ახლავს ფოტოდოკუმენტური მასალა, გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი.

„ქართველი კათოლიკე ექიმების“ ამ პირველ წიგნში ძირითადად აღწერილია დასავლეთ საქართველოში, ქუთაისსა და ბათუმში, დაბადებული ექიმების ერთი ნაწილის საქმიანობა; მომდევნო – მეორე ნაწილი მიეძღვნება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მოღვაწე ექიმებს.

მიგვაჩნია, რომ ამ წიგნის გამოცემით, პირველ რიგში, პატივს მივაგებთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების – XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე კათოლიკე

¹ ტექნიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, გვარები მითითებულია ძირითად ტექსტში (ჟ. ფ.)

ექიმების ნათელს ხსოვნას, იმავდროულად თანამედროვე საზოგადოებას უფრო ახლოს გავაცნობთ მათს მოღვაწეობას და, რაც მთავარია, ეს ახალი წიგნიც საინტერესო ფურცლებად შეემატება საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის მდიდარ ისტორიას.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც სხვადასხვა ფორმით დაგვეხმარა წიგნზე მუშაობის დროს, განსაკუთრებით: პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორს – პროფესორ ემზარ ჯგერენაიას, ამავე ბიბლიოთეკის ქართველოლოგის განყოფილების გამგეს – ნანა მაჭავარიანს; ასევე, ქუთაისელ კოლეგებს: ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორს – პროფესორ მერაბ კეზევაძეს, ფარმაცევტ ნინო აბულაძეს; ემზარ ჭანტურიძეს, ელიზა გიორგობიანს, ციცინო მუმლაძეს; ტატიანა ნარსიას; მურვანიშვილების, მირაქიშვილების, კოკოჩაშვილების, ბეთანელების, არაზაშვილებისა და სხვათა შთამომავლებს: ტატიანა ნარსიას, მარიკა მირაქიშვილს, ანა კოკოჩაშვილს, თამარ კოკოჩაშვილს, ქეთინო მაჭავარიანს, მაგდა ბეთანელს, გვანცა ჩხერიკელს, რუსუდან ცუცუნაშვილს, ნატალია ნანეიშვილს, ბიჭიკო არაზაშვილს, სოფიო და თამარ ჩიქოვანებს და სხვებს.

უუუნა ფეიქრიშვილი
ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ემერიტუსი პროფესორი
თბილისი, 2024 წლის აპრილი

ქ ე ს ა კ ა ლ ი

ნინო აბულაძე, მერაბ კეზევაძე

**ქართველ ქათოლიკეთა
მოღვაწეთა საკითხისათვის ქუთაისში**

უურნ. „განთიადი“, 1991 №6
(იბეჭდება შემოკლებით)

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონეა საქართველოსა და რომის კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობა. ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში, რუსუდანის მეფობის დროს, საქართველოში შემოვიდნენ რომაელი მისიონერები და შემოიტანეს მკურნალობის ევროპული კულტურა.

დასავლეთ საქართველოში, და კერძოდ ქუთაისში, კათოლიკეთა მოღვაწეობას საუკეთესო ხანა დაუდგა მე-17 საუკუნიდან, ვიდრე 1845 წლამდე, როცა ისინი მეფის რუსეთის მთავრობამ გაიწვია აქედან. 1644-1646 წლებში მოსულ მისიონერს, ქრისტეფორე კასტელს, იმერეთის მეფემ ალექსანდრე III – მ საღვთო მსახურებისთვის წმინდა სოფიის ეკლესია მისცა.

ქუთაისში უფრო ხანგრძლივი და შედეგიანი იყო კაპუციანელ მისიონერთა მოღვაწეობა, რასაც საფუძველი 1662 წელს ჩაეყარა. განუწყვეტლივ მოდიოდნენ მისიონერები და ჰიენდინენ კათოლიკობასთან ერთად ევროპულ სწავლა-განათლებასა და კულტურას, ამასთანავე აცნობდნენ ევროპას ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს, რამაც იქ ქართველებისადმი დიდი სიმპათია დაბადა.

მრავალი მიმდევარი გაუჩნდა კათოლიკურ სარწმუნოებას ქუთაისში. მას ერთნაირად ღებულობდნენ დიდგვაროვანი და მდაბიონი. აქ 1818 წელს უკვე 800 კათოლიკე ცხოვრობდა. 1826 წელს დაიწყო ახალი კათოლიკური ეკლესის მშენებლობა, რომელიც 1862 წელს დასრულდა.

კათოლიკე მისიონერები ფლობდნენ მკურნალობისა და წამლების დამზადების ხელოვნებას. ამ დარგებში ცოდნას ისინი ქუთაისის ადგილობრივ მოსახლეობას გადასცემდნენ. პატრი ნიკოლა 1800-იან წლებში ჩამოვიდა ქუთაისში. სოლომონ მეორის მფარველობითა და პატივით იგი დაბინავდა აქ და ძველ კათოლიკურ ეკლესიაში ეწეოდა მკურნალობას, აგრეთვე ქართულად ასწავლიდა მკურნალობისა და წამლების დამზადების მაშინდელი იმერეთისთვის ძალზე საჭირო საქმეს. რიონისპირა ქალაქი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის მნიშვნელოვან პუნქტად იქცა. ქუთაისელი ქართველი კათოლიკები დიდი პატივით და სახელით სარგებლობდნენ იმერეთის მეფე სოლომონ მგზავრობის დროს, არასოდეს არ იძინებდა, თუ თავით თავისი ნაზირი ნინია დათიაშვილი არ უჯდა. დათიაშვილი სარწმუნოებით რომის კათოლიკე იყო, ხოლო ეროვნებით – ქართველი. ამის შთამომავლები დღეს ქუთაისში ცხოვრობენ. დედოფლებს და ბატონიშვილებს მოსამსახურეებად უმეტესწილად ქართველი კათოლიკები ჰყავდათ”, — მოგვითხრობდა მე-19 საუკუნის ბოლოს ლუკა ისარლოვი.

სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულებათა არარსებობის პირობებში საქართველოში, მათ შორის ქუთაისშიც, წამლების დამზადება უპირატესად ხალხური

მედიცინის ტრადიციული საშუალებებით წარმოებდა. მე-19 საუკუნის დამდეგს აქ სახალხო ექიმების მიერ დამზადებულ 569 წამალს ხმარობდნენ.

სხვა მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად ქართველმა კათოლიკებმა თავიანთი რომაელი თანამორწმუნებისაგან მკურნალობის ხელოვნებაც შეისწავლეს. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ამ დარგში ქუთაისში მოიხსენიებიან, იყვნენ ოპონჯანა ქოქოჩოვი და გაბო იოხების ძე გოკიელოვი. ამ უკანასკნელს ეკუთვნის სამედიცინო ხასიათის ნაშრომი „აღნერა ყმანვილების სხვადასხვა სენთა ვითარების”.

ქუთაისელ კათოლიკეთა სამედიცინო მოღვაწეობის სანიმუშო მაგალითად უნდა ჩაითვალოს კოკოჩაშვილთა გვარის დამსახურება იმერეთის მოსახლეობის წინაშე. მათი პირველი წარმომადგენელი, რომელიც ახალციხიდან 13 წლის ასაკში ჩამოვიდა და დამკვიდრდა ქუთაისში, იყო ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი (1799-1864). ქუთაისში იგი ცხოვრობდა და იწვრონებოდა სამედიცინო დარგში ქუთაისისა და ახალციხის პატრების დახმარებით. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე მოგვითხრობს, ივანემ კარგი ნიჭი გამოიჩინა საექიმო ასპარეზზე, დაკვირვებით სწავლობდა მკურნალობას. მალე მან მიაღწია წამლის კეთების ბრძნულ ოსტატობასაც.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილმა ქუთაისში პირველი აფთიაქის გახსნამდე (22 იანვარი, 1860 წელი), ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თავისსავე სახლში გახსნა „სამკურნალო აფთიაქი”.

სახელოვანი მამის კვალს გაჰყვა პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი, რომელიც მამისა და ქუთაისელი

პატრების გვერდით ოსტატდებოდა მამისავე პროფესიაში; სწავლობდა ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს. პეტ-რე-პავლეს ცხოვრება დაკავშირებულია ქუთაისის ზრდა-სა და აღორძინებასთან. კაპუციანელი მისიონერების ზე-გავლენით პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა შეისწავლა სამ-კურნალო მეცნიერება. წამლების მომზადების ტექნოლო-გია... და, რადგან მას აღმოაჩნდა კომერციული ნიჭიც, **1860** წელს კიდეც გახსნა აფთიაქი. იმ დროს ეს იყო პირ-ველი მაგალითი ქუთაისის გუბერნიაში, ქართველი კაცის მიერ აფთიაქის გახსნა კი პირველი მაგალითი მთელს სა-ქართველოში.

მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ქართულ ნიადაგზე აფთიაქის აღმოცენებასა და დაფუძნებას, მაგრამ პეტრე-პავლემ მთავრობის მხრიდან ყველა წინააღმდეგობის გა-დალახვით გახსნა მაშინდელ უსახელო ქუჩაზე კათოლიკუ-რი მცურნალობის წიაღიდან აღმოცენებული, ნამდვილ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული პირველი აფთიაქი მთელს დასავლეთ საქართველოში. **60**-იან და მომდევნო წლებში თანდათან იზრდებოდა კოკოჩაშვილის გვარის და მისი სახელობის აფთიაქის ავტორიტეტი ქუთაისში. მაშინ-დელ უსახელო ქუჩას კი აფთიაქარის ქუჩაც კი ეწოდა.

მე-19 საუკუნის **60**-იანი წლებიდან დაიწყო რუსე-თის იმპერიის კანონებზე დაფუძნებული მეცნიერული ფარმაციის ხანა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც უნდა დაემორჩილებინა და შთაენთქა ყოველივე, მაგრამ რა საამაყოა, რომ ეს დასაწყისიც ქუთაისში იმთავითვე დაყრდნობილი იყო ეროვნულ ნიადაგზე.

ფართოდ გაშალა ფრთხები პეტრე-პავლეს კომერცი-ულმა ნიჭმა. იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო რუსეთის სააფთიაქო წამლებით, ყურადღებას ადევნებდა საზ-

ლვარგარეთის წამლებსა და აპარატურას, იწერდა მათ კონსტანტინოპოლიდან, ბერლინიდან, ვენიდან, ვარშავიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან.

შეუძლოთა მოყვარული, მათი მფარველი, უფასოდ წამლების მიმწოდებელი და უფასო მკურნალი — აი, ასეთად დარჩა ათწლეულების მანძილზე პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი ხალხის გულში. „თუ კი განსვენებული სამსონ თოფურია დაფასდება თავისი შრომით, მაშინ არც პეტრე-პავლეს მოაკლდება თავისი მნიშვნელოვანი ღვაწლის მნიშვნელობა ჩვენს წინაშე” (ზ. ჭიჭინაძე).

მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს ქუთაისში კოკოჩაშვილების გარდა მოღვაწეობდა კათოლიკე ექიმებისა და ფარმაცევტების მთელი პლეადა: სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილი, მიხეილ და სტეფანე დანიელის ძე ბეთანოვები, ნინო გრიგოლის ასული არაზაშვილი, ვალერიან პეტრეს ძე ხარაზიშვილი, სიმონ გრიგოლის ძე ბათმანიშვილი, სიდონია იოსების ასული არაზაშვილი და სხვები.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოში შემოსულმა რომის კათოლიკეთა სამკურნალო კულტურამ თავისი გაგრძელება თვით კათოლიკეთა საქმიანობაში ჰპოვა და განვითარების უმაღლეს წერტილს მე-19 საუკუნის შუა ხანებში მიაღწია, როცა იგი საქართველოში მკურნალობის ტრადიციულ საშუალებებს შეერწყა. აქედან მოყოლებული ქართველ კათოლიკეთა საუკეთესო ნაწილი თავისი პროფესიული სამედიცინო მოღვაწეობით ამშვენებს ქართველ ექიმთა და პროვიზორთა თაობებს.

თამაზ ჩხერიძელი

სიტყვა ქართული კათოლიკოს შესახებ (იბეჭდება მცირე შემოკლებით)

დღეს ბევრი ჩვენი მართლმადიდებელი მოღვაწე, მღვდელიც კი, ამბობს, რომ კათოლიკობა არის რაღაც სხვა რელიგია... მგონია, ეს რუსული გავლენაა. რუსეთში ეს დაპირისპირება პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული. საქართველოში მსგავსს ვერაფერს გაიგებდით; მართლმადიდებელი, როგორც განმსაზღვრელი ეპითეტი, არ არსებობდა, რადგან ქრისტიანი ნიშნავდა ქართველს. ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნები, სომხეთის გარდა, რომელიც გრიგორიანულია, ისლამს აღიარებს, და ამიტომ კავკასიაში ქრისტიანი მოიაზრებოდა ქართველად. რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ ქართველად. ეს იყო სინონიმი. ახლა კი ამაზე გამძაფრებით საუბრობენ. დედაქამი კათოლიკეთა ოჯახიდანაა, ბავშვობისას, ქუთაისში რომ ჩავდიოდი (ჩვენი სახლი კათოლიკური ეკლესიის გვერდით იდგა), დიდედაქემს დავყავდი ეკლესიაში. იქ იყო ორგანი, მღვდელი გახლდათ დონ დამიანე. ესაა მარიამის წმიდა ჩასახვის სახელობის ეკლესია. მახსოვს ექვსი სურათი ერთ კედელზე და ექვსი მეორეზე – „ჯვრის გზა“. პატარას ძალზე მაინტერესებდა ეს ყველაფერი. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ზიარება, როდესაც საზიარებელ კვერს გვაგემებდნენ ხოლმე.

ბავშვობისას, მახსოვს ჩვენთან აღდგომა კათოლიკური და მართლმადიდებლური დროით, ორჯერ იღებე-

ბოდა კვერცხი. ძალიან მიყვარდა ეკლესიაში სიარული, ბაგრატის ტაძრის გეგმაც კი მქონდა შედგენილი, მაინ-ტერესებდა ძველი მწერლობა – სხვათა შორის, მერვე კლასში თავად შევისწავლე ასომთავრული და ხუცური. ერთხელ... ქაშვეთის ეკლესიაში რომ შევედით (ეს ომის დროა), დავინახე შესასვლელთან, კათედრასთან მდგომი თეთრთმიანი ქალი, რომელიც წიგნს კითხულობდა. თვალი ჩავკარი – „ნინოს ცხოვრება“ აღმოჩნდა და ვთხოვე, თუ შეიძლება, წავიკითხავ-მეთქი. ღრმად დარწმუნებულმა, რომ სკოლის მონაფე ხუცურს ვერ ამოიკითხავდა, მომიგო: ვერ წაიკითხავო. მაგრამ ავედი და შევუდე-ქი კითხვას. ქალი დიდად გაოცდა და მკითხა: – მონათ-ლული თუ ხარო? – დიახ-მეთქი, – მომნათლა დედაჩე-მის ბიძამ, დონ გაბრიელ ასლანიშვილმა. დონ გაბრიელი იყო ბათუმის კათოლიკური ეკლესიის პატრი. დამთავრე-ბული ჰქონდა სასწავლებელი საფრანგეთში, მონთობან-ში. წირვას ატარებდა ფრანგულად, იტალიურად, ლათი-ნურად, რუსულად. სხვათა შორის, ზაქარია ჭიჭინაძე თავის „კათოლიკე მოღვაწეებში“ განსაკუთრებით გამოჰყოფს დონ გაბრიელს და აღნიშნავს, რომ ის დიდი პატ-რიოტი იყო. დონ გაბრიელი 1931 წელს დახვრიტეს, რადგან 1924 წლის აჯანყებასთან კავშირი დაბრალდა. – ჰოდა, ვუთხარი ამ ქალს კათოლიკედ ვარ მონათლული-მეთქი. – საჩქაროდ მოინათლე მართლმადიდებლად! – მითხრა. ეს იყო ისეთი ტონით ნათქვამი, რომ შევცბი და მაშინ მივხვდი პირველად, რომ რაღაც ვერ იყო საქმე კარგად...

მაღიზიანებს ამგვარი დაპირისპირება. მით უმეტეს, რომ ქართველ კათოლიკეთა მრევლი ყოველთვის და ახ-

ლაც ძალზე მცირერიცხოვანია და მათგან რამე „საშიშ-როება“ მართლმადიდებლობისათვის მოსალოდნელი არაა. გარდა ამისა, კათოლიკობა, განსაკუთრებით აჭა-რასა და სამცხეში ძალიან დიდი სიმპატიით სარგებლობ-და. ვინ ებრძოდა კათოლიკობას? – რუსები და სომხები, ორი თვალსაზრისის გამო: რუსები ებრძოდნენ იმიტომ, რომ მასში ხედავდნენ საქართველოს დასავლურ ორიენ-ტაციას, ევროპასთან დაახლოების ტენდენციას, სომხები კი ეკონომიკურ კონკურენციას, ანუ ევროპული სავაჭრო კაპიტალის შემოჭრის საშიშროებას. ესე იგი, აქედან უნ-და დავასკვნათ, თუ რატომ მტრობდნენ კათოლიკობას საქართველოს მოქიშპენი, ხოლო ქართველნი, ტრადიცი-ულად – არასოდეს, პირიქით!

მინდა ვთქვა, რომ ქართველ კათოლიკებში აღსა-ნიშნავია ღრმა, მძაფრი მორწმუნეობა. ამით სრულიად არ მსურს მართლმადიდებელ ჭეშმარიტ მორწმუნეთა გრძნობების შელახვა. ეს არ იყო რაღაც ტრადიციით მომდინარე მორწმუნეობა. კალისტრატე ცინცაძეს ეკუთვნის საინტერესო შენიშვნა – თურმე არ იცნობდა ზაქარია ფალიაშვილს და რომ უნახავს, უთქვამს: „ასეთი მბრწყინავი თვალები მარტო კათოლიკებში შემხვედრია და ისიც მორწმუნე კათოლიკეთა შორის“. ესე იგი ამგვა-რი რწმენა ნიშანდობლივიც კი ყოფილა. ჩვენ გვინახავს უმშვენიერესი, ბრწყინვალე ქართული ოჯახები, მაგრამ ისეთი წესრიგი, შეიძლება ვთქვათ, პედანტურიც კი, კა-თოლიკებს რომ ახასიათებთ (ესაა ერთგვარი მო-ნესრი გებულობა ევროპული ტიპის), მე სხვა-გან არ შემინიშნავს.

მე არ მომწონს, რომ ბათუმის ეკლესია, რომელიც ზუბალაშვილმა ააშენა, ახლა „მართლმადიდებლურია“, არც ვიცი, რა ვუწოდო ამ ქმედებას. მახსოვს, დასავლეთ უკრაინაში, გაცხოველებული რელიგიური შეხლა-შემოხლისას, დიდი კამათი იყო ანალოგიურ საკითხებზე, მაგრამ სატელევიზიო გადაცემებისას აშკარად ჩანდა, რომ ეს იყო კათოლიკური ეკლესიები. არქიტექტურაც ამ-ჟღავნებს ამას. ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში იდგა მშვენიერი ორგანი. 1903 წელს აგებულ ამ ტაძარში 1910 წლიდან პატრი დონ გაბრიელი იყო. დღეს, დასავლეთან დაახლოების ყოვლისმომცველი დეკლარაციების ფონზე, იოლი წარმოსადგენია, თუ რაოდენ უხერხულია ბათუმში ჩამოსულ ევროპელ კათოლიკეთა განცვიფრება, როდესაც საუკუნოვანი ისტორიის კათოლიკურ ტაძარში მართლმადიდებელ ღვთის მსახურს აღმოაჩენენ.

პრიორიტეტები მართლმადიდებლობას თავისთავად აქვს – ეს ჩვენი ტრადიციული აღმსარებლობაა, მაგრამ კანონით ამის დამკვიდრების ცდა ჩემთვის გაუგებარია. მართლმადიდებლობა თავისთავად სახელმწიფო რელიგიაა, ისევე, როგორც საქართველოა ქართველების, აქ მცხოვრები ჰეგემონი ხალხის ქვეყანა. მით უმეტეს, რომ კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის ამგვარი გაყოფა ჩვენ არანაირად არ გვაძლევს ხელს. ვიმეორებ, კათოლიკობისაგან მართლმადიდებლობას არანაირი საფრთხე არ მოელის და ეს უნდა ესმოდეს ყველა მორწმუნე მართლმადიდებელს. უნდა დაიწეროს ბროშურები, სადაც კარგ ტონში იქნება განმარტებული ეს ყველაფერი: სულხან-საბა, სხვა უამრავი მამულიშვილი, უამრავი კარგი და დიდი ქართული საქმე.

მესხეთში კათოლიკობის მიღება გამაპმადიანების საფრთხის გამო მოხდა, მაგრამ, ამასთანავე, იქაური სომხური კათოლიკობა აშთობდა ქართულს და, სხვათა შორის, სამცხეში იმპერიის მიერ დაშვებული იყო კათოლიკურ ტაძრებში სომხურად წირვის აღსრულება, ქართულად კი არა. ჩვენმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა წარმოაჩინოს ეს კოლიზიები; ეს ყველას თანაბრად გვეხება. ხოლო ტელევიზიით ჩვენ ვისმენთ გამუდმებულ საუბრებს მასობრივ ნათლობებზე (გადანათვლაზე)...

ადამიანია ტაძარი ღვთისა და განა არ სჯობს, მას ვუშველოთ!

P. S. ცნობილი ქართველი პოეტის, მწერლის, მთარგმნელის, ლიტერატორის, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატის – თამაზ ჩხერიმელის სტატია დაიბეჭდა პრესაში – „ახალი ქართული გაზეთი“ – 1998 წლის სექტემბრის (№58) ნომერში.

უუფუნა ფეიქრიშვილი

ნანა მიზანდარი (საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „კარიტასის“ ქუთაისის ფილიალის თანამშრომელი)

ქუთაისის „სამედიცინო საზოგადოება“

საარქივო და სამეცნიერო წყაროებით აღიარებულია, რომ ქუთაისში მცხოვრები ქართველი კათოლიკები ძირითადად XIX საუკუნიდან აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის, ზოგადად, იმერეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში – ეკონომიკურ, მეცნიერულ, პოლიტიკურ ასპარეზზე; მათს ერთ-ერთ დიდ დამსახურებად სამართლიანად მიიჩნევენ აგრეთვე **სამკურნალო საქმის დანერგვასა და განვითარებას, სააფთიაქო საქმის აღორძინებას...** აქვე თუ იმასაც გავითვალინებთ, რომ **1926** წელს შედგენილი ქუთაისის კათოლიკეთა მრევლის სის მიხედვით აღრიცხული ქუთაისში მცხოვრები **346** ადამიანიდან **19** არის ექიმი და ფარმაცევტი (ნ. კვარაცხელია), ადვილად შეიძლება განისაზღვროს კათოლიკეთა მოღვაწეობის მნიშვნელობა და როლი არა მხოლოდ ამ რეგიონის მცხოვრებთათვის, არამედ ქუთაისის ექიმთა საზოგადოების შექმნასა და მის შემდგომ საქმიანობაში.

ქუთაისში „**სამედიცინო საზოგადოება**“ დაარსდა **1892** წელს. იგი ოფიციალურად გაფორმდა **15** სექტემბერს ჩატარებულ საზოგადოების წევრთა პირველ სხდომაზე. საზოგადოება თავდაპირველად აერთიანებდა 21 ექიმს (უმრავლესობა იყო უცხოელი). ამ საქმის ინიციატორები და შემდგომ ამ საზოგადოების ნამდვილი წევ-

რები იყვნენ ცნობილი ექიმები და საზოგადო მოღვაწეები: სამსონ თოფურია, დიმიტრი ნაზარიშვილი, გაბრიელ გოკიელი, სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილი, ლევან კოკოჩაშვილი, მიხეილ ბეთანელი და სხვები.

საზოგადოებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ სიმონ ხეჩინაშვილი, დიმიტრი ნაზარიშვილი, ე. როდზევიჩი, 1910 წლიდან – კვლავ ხეჩინაშვილი (რომელიც იმავდროულად იყო კავკასიაში ტუბერკულოზის წინააღმდეგ მეპრძოლი საზოგადოების თავმჯდომარე).

ექიმთა საზოგადოება (თავისი სამუშაო პროგრამის შესაბამისად) იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქალაქისა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში სანიტარულ - ჰიგიენური რეჟიმისა და ეპი-დემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას. საზოგადოების წევრები სამეცნიერო მუშაობასთან ერთად პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ; გარდა ამისა, საზოგადოება ქალაქის მისაღების მეშვეობით უფასო სამედიცინო დახმარებას უწევდა უღარიბეს მოსახლეობას.

„სამედიცინო საზოგადოების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს საკურორტო ადგილებისა და მინერალური წყლების შესწავლისა და კეთილმოწყობის საქმე, მათ შორის იყო წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები.

„საზოგადოება“ ზრუნავდა სამედიცინო დარგის მუშაკთა ახალი კადრების მომზადებაზეც. სწორედ ამ მიზნით (ექიმთა ძალისხმევით) **1928** წელს ქუ-

თაისში გაიხსნა **სამედიცინო ტექნიკური, რომელიც 1937 წელს გადაკეთდა **საფერშლო-სამეანო სკოლად, 1948 წლიდან მას ეწოდა **სამედიცინო სასწავლებელი.******

პირველივე წლებიდან ქუთაისის „სამედიცინო საზოგადოების“ მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო აქტიური მონაწილეობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ახლო ურთიერთობა ქართველ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან (ამგვარ ცალკეულ ეპიზოდებზე საუბარია წიგნის ძირითად ნაწილში). ამჯერად მაგალითისათვის დავასახელებთ ორიოდე ფაქტს: 1908 წელს ქართველი საზოგადოება ემზადებოდა აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილესათვის. ქუთაისის ექიმთა საზოგადება აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ორგანიზებას უკეთებდა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნას. საზოგადებამ მიიღო გადაწყვეტილება და ალძრა შუამდგომლობა ქუთაისის თვითმმართველობის წინაშე ქუთაისის №1 საავადმყოფოში ღარიბი ავადმყოფებისათვის ერთი უფასო საწოლის გამოყოფის თაობაზე, რომელსაც დაერქმეოდა „აკაკი წერეთლის სახელობის საწოლი“. მოგვიანებით ამ საავადმყოფოში დაწესდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეთა სამკურნალოდ უფასო საწოლი „ილიაჭავჭავაძის სახელობისა“ (აქ მკურნალობდა ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი).

წლების განმავლობაში ნაყოფიერი მოღვაწეობა-საქმიანობის პარალელურად „სამედიცინო საზოგადოება“ იცვლებოდა სტრუქტურულად და წევრთა შემადგელობითაც. მათი რიგები ივსებოდა ახალ-ახალი წევრებით (ექიმებით). ამიტომაც ერთიან სამედიცინო საზოგა-

დოებასთან ყალიბდებოდა ცალკეული სექციები დარგების შესაბამისად. მაგალითად, სხვადასხვა დროს შეიქმნა თერაპევტთა (1948 წელს), მეან-გინეკოლოგთა (1955), ოტორინოლარინგოლოგთა (1958), კარ-დიოლოგთა (1968) და ა. შ. გაერთიანებები. საზოგა-დოების ამ ქვესექციებში მსჯელობდნენ მკურნალობის დროს თავჩენილ ამა თუ იმ პრობლემებზე, ექიმთა დახე-ლოვნების მიზნით ატარებდნენ სამეცნიერო კონფერენ-ციებს, სადაც მოხსენებებს კითხულობდნენ ადგილობრი-ვი და წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული ექიმები.

დღეს მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაი-სის „სამედიცინო საზოგადეობამ“ დაარსებიდან ათეული წლების განმავლობაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძი-ება გაატარა. ყველა ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობ-დნენ ქართველი კათოლიკე ექიმები. ბევრმა მათგანმა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული საქმიანობით ფართოდ გაითქვა სახელი არა მხოლოდ ქუთაისში, არა-მედ საქართველოს მასშტაბითაც.

და ბოლოს: განსაკუთრებით საამაყოა ისიც, რომ ქუთაისელი კათოლიკე ექიმების ოჯახებში აღ-ზრდილმა შთამომავლობამ მედიცინის დარგშიც თა-ვიანთი პიროვნული ღირსებით, ფართო განათლებითა და, ზოგადად, მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობით საქვეყნოდ წარმოაჩინეს მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემული შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება და მისა-ბაძი კეთილშობილება-ქველმოქმედება.

ნუგზარ ბარდაველიძე
რეცენზია

უუფუნა ფეიქრიშვილი

ზაქარია მიხეილის (მიქელის) ქე ზუბალაშვილი

ზაქარია ზუბალაშვილი იყო XIX საუკუნეში კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარ-სებელი. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქარ-თული მედიცინის ალორძინება-განვითარებაში.

ზაქარია დაიბადა 1810 წელს თბილისში, იმ დროისათვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარე-თაც ცნობილი ვაჭარ-მრეწველების – კათოლიკე ზუბალაშვილების დიდი საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მიხეილ ივანეს ძე ზუბალაშვილის ოჯახში. აქაც, ტრადიციისამებრ, განსაკუთრებულ ყუ-რადლებას აქცევდნენ შვილების სწავლა-განათლებას, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ გონიერი, ცოდნით აღ-ჭურვილი ადამიანი დაიმკვიდრებდა საზოგადოებაში ლირ-სეულ ადგილს და ქვეყანასაც მოუტანდა სარგებლობას.

ზაქარიამ დაწყებითი განათლება მიიღო ჯერ ოჯახ-ში, შემდეგ კი – კათოლიკე მღვდლების დახმარებით კა-თოლიკურ სკოლაში. 1826 (სხვა ცნობით: 1825) წელს დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. მშობლებმა იგი იმავე წელს გაგზავნეს ვაჭრობისა და ბუღალტერიის შესასწავლად გერმანიაში, დერ-პტის უნივერსიტეტში. აქ ზაქარიას შესვედრია ერთი თბილისელი ვაჭარი შადინაშვილი, რომელსაც

ყმაწვილისათვის ურჩევია, ესწავლა ექიმობა. მართლაც, ზაქარია შესულა ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიიღო **მედიცინის და ქირურგიის დოქტორის ხარისხი**, დაპრუნდა საქართველოში და 1835 წლიდან თბილისში დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა (მკურნალობა), იმავდროულად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობასაც. 1836 წელს დერპტის უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიანიჭეს მეორე განყოფილების ექიმის წოდება.

1837 წლიდან ზაქარია ექიმად მუშაობდა ჯერ დუშეთში, შემდეგ კი – ახალციხის მაზრაში, 1839 წელს გადმოიყვანეს თბილისში და დაევალა ანტიეპიდემიური ლონისძიებების კოორდინატორობაც. ამიერიდან იგი მხოლოდ თბილისის გუბერნიის მკურნალი როდი იყო, საექიმო მომსახურებისათვის იგზავნებოდა სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, 1854 წელს მონაწილეობდა განჯის მაზრაში შავი ჭირის ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომების გატარებაში. აღსანიშნავია, რომ ზაქარიამ მალე მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი, როგორც კარგმა სპეციალისტმა, და დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

1844 წელს სადიის ერტაციო ნაშრომისა და საექიმო დამსახურებისათვის **ზაქარიას მიენიჭა შტაბ-სმკურნალის წოდება**. 1846 წელს პირველად ქართულ ენაზე გამოსცა „შემოკლებითი დარიგება ჯეროვანის ხმარებისათვის ქინაქინის მარილისა ადვილმოსარჩენად დღეგამოშვებითის ცივებისა“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია). ზ. ჭიჭინაძის თქმით, ზაქარია

ზუბალაშვილი იმ დროს ერთადერთი ქართველი ექიმი იყო და, აგრეთვე, პირველი ქართველი, ვინაც „უმაღლესი სამკურნალო განათლება მიიღო გერმანიაში“, საზღვარგარეთ. ზაქარია თავისი დროისათვის დიდად განათლებული ყოფილა, ზედმიწევნით იცნობდა ქართულ მწიგნობრობას, საფუძვლიანად ფლობდა ევროპულ ენებს; დედანში კითხულობდა ევროპულ ლიტერატურას (მაგალითად, მას ვალტერ სკოტის „აივენგო“ დედანში, ინგლისურ ენაზე, წაუკითხავს...). აინტერესებდა ამ ქვეყნის ისტორიაც. ევროპული ენებიდან (მეტნილად რუსულიდან) ქართულად თარგმნიდა სამედიცინო ლიტერატურასაც.

თანამედროვეთა გადმოცემით, ზაქარია – ეს ღვთისმოსავი და კაცთმოყვარე ადამიანი, საუკეთესო ექიმი – ღარიბებსა და გაჭირვებულთ უფასოდ მკურნალობდა, ავადმყოფებს წამლების გარდა ხშირად საჭირო საჭმელსაც (სურსათს) უგზავნიდა, „მისი სახლის კარი ყველა ხელმოკლე და ღარიბ სნეულთათვის მუდამ ღია იყო“. ღირსსაცნობია ისიც, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში ქოლერისა (1838, 1842, 1854 წ.) და შავი ჭირის (1865 წ.) ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქოლერით დაავადებულებს მკურნალობდა მის მიერვე დამზადებული წამლებით, თავადვე უვლიდა და ბევრი უიმედო ავადმყოფიც გადაურჩენია.

ზაქარია აქტიურად იღვნოდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შესაქმნელად, ამიტომაც იგი სამართლიანადაა მიჩნეული საქართველოში ამ საზოგადოების ერთ-ერთ მესაძირკვლედ. საგულისხმოა ისიც, რომ ზემოაღნიშნული საზოგადოება მხოლოდ სამეცნიერო ორ-

განიზაცია როდი იყო. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე საზოგადოებრივი ხასიათის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: სახალხო ჯანდაცვა, სანიტარია და ჰიგიენა, დაავადებები, სანიტარული განათლება და ა. შ.

„**1864** წლის აპრილიდან ზ. ზუბალაშვილი ითვლებოდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ნამდვილ წევრად. საზოგადოების სხდომებზე ხშირად გამოდიოდა მეცნიერული და ორგანიზაციული მნიშვნელობის მოხსენებებით: მეტად საინტერესოა მის მიერ 1866 წელს ერთ-ერთ სხდომაზე წაკითხული მოხსენება, რომელიც კავკასიაში ქოლერის ეპიდემიის შეწყვეტის საკითხს შეეხება; 1869 წელს წაკითხული ვრცელი მოხსენება თბილისში ბავშვთა თავშესაფრის დაარსებას ეხება, რაზედაც თავდადებით ზრუნავდა ეს ამაგდარი ექიმი“ (მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი ...საქართველოს მედიცინის ისტორია, გვ. 121).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო საზოგადოებამ ხალხის, განსაკუთრებით, ლარიბი მოსახლეობის საკეთილდღეოდ ბევრი რამ გააკეთა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1854 წელს „კავკასიის საექიმო გამგეობამ“ გადაწყვიტა გლეხობის დასახმარებლად ქართულ ენაზე გამოეცათ ბროშურები, რომლებშიც საუბარი იქნებოდა როგორც ადამიანთა, ისე მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ავადმყოფობაზე, მათს მკურნალობაზე, სოფლის მეურნეობის უკეთ გაძლილაზე და ა. შ. ეს მეტად საჭირო და საშური საქმე მიანდეს ზაქარია ზუბალაშვილს. იგი წლების განმავლობაში უდიდესი პასუხისმგებლობითა და ინტერესით

მუშაობდა ამ მიმართულებითაც; ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და ევროპელ მეცნიერთა ნაშრომების გათვალისწინებით წერდა (ან კიდევ ევროპული ენებიდან ქართულად თარგმნიდა) პატარ-პატარა წიგნებს, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ბროშურების სახით და სოფლის მოსახლეობას ურიგდებოდა თითქმის უფასოდ. მათ შორის იყო: „წერილი სოფულელ მუშას“, „დიფტერიტი“, „ხეხილის გამრავლება, მყნობა და მოვლა“, „საუნჯე მეურნისა“, „პურის ბოსტანი“ და ა. შ. თბილისში ამგვარი წიგნების ბეჭდვა-გამოცემას მომდევნო წლებშიც ძირითადად თაოსნობდნენ ისევ ზუბალაშვილები, ზაქარიას ნათესავები, პირველ რიგში, **სტეფანე ზუბალაშვილი.**

ზაქარიამ თავისი ნაშრომებით სამედიცინო დარგში ბევრი ახალი, საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ქართველობას, ძირითადად სოფლის მოსახლეობას.

ცნობილია ისიც, რომ საქართველოში, როცა 1840 წელს ვაზის სენი გაჩენილა. ვაზისა და ყურძნის მკურნალობა პირველად ზაქარიას შემოულია, თვითონვე ამზადებდა საჭირო წამლებს და უფასოდ ურიგებდა ღარიბ გლეხებს.

ზაქარია თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით, მაღალი ადამიანური თვისებებით, ქველმოქმედებით აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, უცხოეთის ბევრ ქვეყანაშიც. სახალხო მედიცინაში ორმოცნლიანი დაუღალავი პრაქტიკული თუ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არაერთგზის დაიმსახურა მაღლობა სამედიცინო საზოგადოებისაგან (გ.ნათაძე, კ.დემეტრაშვილი).

ზაქარიასა და მის მეუღლეს **ნატალიას** (თავად ან-დრონიკაშვილის ასულს) ჰყოლიათ სამი ვაჟი: **ალბერტი**, **ადოლფი** და **რუდოლფი** (საფიქრებელია, რომ შვილები თავისი ოჯახებით საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ).

ზაქარია ზუბალაშვილი გარდაიცვალა **1877** წელს. დაკრძალეს თბილისში კათოლიკეთა სასაფლაოზე.

დასასრულ, მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ზუბალაშვილი XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე, როცა „საქართველოში მხოლოდ 10 ექიმი იყო“ (ნ. ჩიხლაძე, მ. კერესელიძე) ღირსეულად იდგა ქართული სამამულო მედიცინის ისტორიის სათავეში როგორც საუკეთესო სპეციალისტი, ღრმად განსწავლული მკურნალი, შემოქმედი მკვლევარი და უსაზღვროდ კეთილშობილი პიროვნება, ხალხის (განსაკუთრებით, ღარიბი მოსახლეობის) ჯანმრთელობის უანგარო მსახური და ქველმოქმედი.

უუუუნა ფეიქრიშვილი

ქოქოჩაშვილები

შესავალი

კათოლიკე კოკოჩაშვილების წინაპრები მარ-
თლმადიდებელი ქოჩაშვილები ყოფილან. ამ გვარის
კათოლიკე პირველი თაობის წარმომადგენლად, ოფიცია-
ლური დოკუმენტებით, სახელდება აზნაური ქაი-
ხოსრო (ქაქუჩა/ქაქუცა) ქოჩაშვილი, დაბა-
დებული დაახლოებით 1715 წელს შორაპნის მაზრის სო-
ფელ საზანოში.

ახალგაზრდა ქაქუჩა მსახურობდა იმერეთის მეფის
სოლომონ I-ის კარზე. იგი გარკვეული დავალებით
გაჰყოლია მეფის ელჩობას თურქეთში, მაგრამ რამდენი-
მე ხნის შემდეგ დიდი უსიამოვნება შემთხვევია თურქებ-
თან, სიკვდილს გადარჩენილა იქ მყოფი ფრანგი კათო-
ლიკე იეზუიტი მამების დახმარებით. ერთხანს მათთან
ცხოვრობდა თურმე, მიუღია კათოლიკობა და საქართვე-
ლოში დაპრუნებულა ისევ კათოლიკე მამების ხელშეწ-
ყობითა და საფრანგეთის საელჩოს ნებართვით....

ქაიხოსრო დასახლებულა ახალციხეში, ცოლად შეურ-
თავს იქაური კათოლიკე ოჯახის ქალიშვილი, შეუცვლია
გვარი, გამხდარა ქოქაშვილი, იქვე დაუწყია სავაჭ-
რო საქმიანობა კათოლიკე პატრების რჩევა-დახმარებით....

ისტორიული წყაროებით, XIX საუკუნის დამდეგს
ქუთაისში ახალციხიდან ძირითადად კათოლიკე ვაჭარ-

მრეწველები გადმოსახლებულან. ისინი იმთავითვე გამოირჩეოდნენ განათლებით, გამჭრიახი გონიერითა და მრავალმხრივი საქმიანობით. ამ მხრივ ქუთაისელ კათოლიკეთა შორის დაწინაურებულა ქოქოჩაშვილების გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ივანე პეტრეს ძე, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა კოკოჩაშვილის გვარით. აქედან იწყება ქუთაისელი კათოლიკე კოკოჩაშვილების – საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული გვარის – ისტორია უამრავი ლირსეული პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობით, მათ შორის, სამედიცინო მიმართულებითაც.

ამ მოკლე ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მკითხველს (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) გავაცნობთ ამ გვარის იმ ადამიანებს, რომლებმაც პრაქტიკული საქმიანობით ქუთაისშივე ჩაუყარეს საფუძველი მედიცინის დარგებს, შემდეგ თეორიული სამეცნიერო მოღვაწეობითაც განავითარეს ტრადიციით გადმოცემული მიღწევები და თავადაც ჩაწერეს საინტერესო ფურცლები ქართული მედიცინის ისტორიაში.

შენიშვნა: კათოლიკე კოკოჩაშვილების ბევრი წარმომადებული, გარდა სამედიცინო საქმიანობისა, აქტიურად იყო ჩართული ვაჭრობაშიც, საფუძველს უყრიდნენ მრეწველობის დარგებსაც, მაგრამ ამჯერად ძირითადად წინ წამოვწევთ მათს უდიდეს ღვაწლს ქართული მედიცინის განვითარებაში.

ივანე ბეჭედეს ძე ქოქოხაშვილი

ივანე კოკოჩაშვილი დაიბადა 1799 წელს ახალციხეში, კათოლიკეთა ოჯახში. მისი მამა ვაჭარი იყო. აქლემების დიდი ქარავანით გაჰქონდა ევროპაში სავაჭრო საქონელი. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ქარავანს თავს დასხმიან ყაჩალები, პეტრე მოუკლავთ და ქარავანიც გაუნადგურებიათ. პეტრეს გარდაცვალებით ისარგებლეს თურმე ნათესავებმა და ოჯახს ახალციხეშიც გაუნიავეს მთელი ქონება. ამ უბედურების გამო მალე გარდაიცვალა პეტრეს მეუღლეც. ობლად დარჩენილი პეტრეს შვილები – მცირენლოვანი ძმები: **ივანე** და **ანტონი** – კეთილ ადამიანებს ქუთაისში გაუგზავნიათ საცხოვრებლად. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1812 წელს. რომ იტყვიან, ლვთის ანაბარად დარჩენილი 13 წლის ივანე გახდა ქუთაისის მკვიდრი; აქ მან იქაური კათოლიკე მღვდლების ხელშეწყობით დამოუკიდებლად გაიკვალა ცხოვრების გზა.

ივანემ ცოლად შეირთო ქუთაისელი კათოლიკე ქალი ანა არაზაშვილი. შეეძინათ სამი ვაჟი: პეტრე-პავლე, იაკობი და თომა (უმცროს ძმებს მემკვიდრე არ დარჩენიათ).

ივანე ბავშვობიდანვე ყოფილა დაინტერესებული სამედიცინო საქმით, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვდა ახალციხეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს – პატ-

რებს¹. როგორც წესი, მისიონერთა მიერ გახსნილ სამრევლო სკოლებში ანგარიშის, ენებისა და სხვა საგნების გარდა, ასწავლიდნენ „სამედიცინო ხელოვნება-საც“, ანუ მედიცინის „ანბანს“: მარტივი წამლების დამზადებას და ავადმყოფების სამკურნალოდ მათი გამოყენების წესებს. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ივანემ ქუთაისშიც გააგრძელა მუშაობა იქაური კათოლიკე მღვდლების დახმარებით. გარდა ამისა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე კათოლიკე პატრიებთან ურთიერთობით ჩამოყალიბდა ღირსეულ პიროვნებად: მათგან ისწავლა პატიოსანი შრომის სიყვარული, ცოდნა-განათლების აუცილებლობა, ქველმოქმედების ფასი (საბედნიეროდ, ეს კეთილშობილური თვისებები მემკვიდრეობით გადაეცა მის შთამომავლებსაც).

საარქივო მასალებისა და სხვა წყაროთა მოწმობით, ივანეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისში, საკუთარ სახლში, გაუხსნია „სამკურნალო აფთიაქი“. თვითონ ამზადებდა წამლებს და უფასოდ ურიგებდა ავადმყოფებს. განსაკუთრებით კარგად არჩენდა თურმე ყველანაირ მუწუსა, შინაგან და ქალთა სნეულებებს. წამლების ბალახებსაც თვითონ შოულობდა, რომ სხვისი ხელით მოტანილში შეცდომა არ მოსვლოდა. ზედმინევნით ჰქონია შესწავლილი ბალახების სახელები როგორც ქართული, ასევე ლათინური. გარდა ამისა, მის დამსახურე-

¹ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან საქართველოში მოლგანე კათოლიკე მისიონერები დახელოვნებული იყვნენ მედიცინაში. ისინი წამლების დამზადების წესებსა და მკურნალობას ასწავლიდნენ ადგილობრივ მოსახლეობასაც.

ბად მიაჩნიათ სამკურნალო მცენარეთა „პოტანიკური ლექსიკონის“ შედგენა ქართულ, ლათინურ, არაბულ, ოსმალურ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ახალციხელ და ქუთაისელ კათოლიკე პატრიეპთან განვრთნილმა ივანემ იმ დროისათვის ფართო განათლებით, უცხო ენების ცოდნითა და შრომისმოყვარეობით არნახულ წარმატებას მიაღწია მედიცინის დარგში. ფაქტობრივად, ქუთაისსა და იმერეთში მან დაუდო სათავე წამლების დამზადებასა და ავადმყოფების მკურნალობას. ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილს ავადმყოფებთან საქმიანობის გამო მოსვენება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ იყო მდიდარი, ღარიბად მოკვდა, რადგან, რასაც შეძლებული ავადმყოფებისგან ფულს იღებდა, იმას შეუძლო სნეულებს და ღატაკებს ახმარდა“.

ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი გარდა-იცვალა **1864** წელს.

ადამიანებისადმი ასეთმა ერთგულმა მსახურებამ უსაზღვრო ქველმოქმედებამ, მოუღლელმა შრომამ მთელი იმერეთის მოსახლეობაში ივანეს მოუტანა დიდი აღიარება, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

ივანე კოკოჩაშვილის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ, XIX საუკუნიდან მოყოლებული, მისმა შთამომავლებმა ქართული მედიცინის ხაზით ღირსეულად გააგრძელეს სახელოვანი წინაპრის მიერ გაკვალული გზა.

პეტრე-პავლე ივანეს ძე ქოქოხაშვილი

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა წარმატებით განავითარა მამის მიერ სამედიცინო მიმართულებით დაწყებული საქმიანობა და თავადაც დაუდო სათავე ბევრ ახალ წამოწყებას.

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი დაიბადა 1832 წელს ქუთაისში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო კათოლიკე პატრებთან სამრევლო სკოლაში, მათგან შეუთვისებია საქმის წარმოების წესები, ცოდნა-განათლების მნიშვნელობაც, მაგრამ, ჩანს, მისი, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახს, მამის მაგალითს.

ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურა-შიც აღნიშნულია: ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილს, რომელსაც კათოლიკე პატრების დახმარებით შეუსწავლია მკურნალობის საქმე და წამლების დამზადების ტექნოლოგია, ეს საქმე უსწავლებია შვილისთვის – პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილისათვის (ვლ. ულენტი, პ. გელბახიანი, ირ. ტატიშვილი).

პეტრე-პავლეს განათლება მიუღია ევროპაში. ბევრს მოგზაურობდა, ეცნობოდა იმ ქვეყნების ხალხთა ცხოვრება-საქმიანობას; ბერლინში ცხრა თვე გაუტარებია. იქ განსაკუთრებით დაინტერესებულა ექიმობით, ფარმაციით.

შენიშვნა: პეტრე-პავლეს ოჯახმა ქუთაისში დიდ წარმატებას მიაღწია არა მხოლოდ საექიმო, სააფთიაქო მიმართუ-

ლებით, არამედ სავაჭრო, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ხაზითაც. მაგალითად, პეტრე-პავლემ პირველმა დააარსა საქართველოში „სურნელოვანი სასმელი“ წყლის ქარხანა, აქვე ჰქონია პირველი ყინულის ქარხანა; ქალაქში გაუმართავს ხეტყის სახერხი საამქრო, პირველი აბანო, ბორჯომის მინერალური წყლის წარმოება... გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვით პეტრე-პავლეს სახელს უკავშირდება ქუთაისის წყალსადენის პირველი პროექტიც.

პეტრე-პავლესა და მის მეუღლე ანა კოსტანაშვილს ჰყავდათ ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი: სოფიო (1852-1919), ლევანი (1855-1931), ვასილი (1859-1948), ემილია (1865-1939), ივანე (1868-1910), ზაქარია (1872-1922). სამი ვაჟი (ლევანი, ივანე, ზაქარია) ფარმაცევტი იყო, მეოთხე (ვასილი) – იურისტი.

პეტრე-პავლემ **1860** წელს ქუთაისში გახსნა **პირველი აფთიაქი**¹. იგი წამლებსა და სხვა მედიკამენტურ მოწყობილობას იძენდა კონსტანტინოპოლიდან, რუსეთიდან, ბერლინიდან, ვარშავიდან, ვენიდან. „იმ დროს ეს იყო პირველი მაგალითი ქუთაისის გუბერნიაში, ქართველი კაცის მიერ აფთიაქის გახსნა კი პირველი მაგალითი მთელს საქართველოში“ (ნ. აბულაძე, მ. კეზევაძე).

სააფთიაქო საქმიანობის გასაფართოებლად მუშაობაში მამამ ადრეული ასაკიდანვე ჩართო ვაჟიშვილებიც (ყველა შვილს განაწილებული ჰქონდა თავისი საქმე).

¹ ქუჩას, სადაც ეს აფთიაქი გაიხსნა, შემდგომში ეწოდა აფთიაქარის ქუჩა.

კოკოჩაშვილების აფთიაქი 1875 წელს გაიხსნა ტყი-ბულში, ცოტა მოგვიანებით – ჭიათურაში, ბათუმსა და უნერაშიც. 1890 წელს ქუთაისის ცენტრში, „სობოროს“ ტაძრის გვერდით, გაიხსნა პირველი სააფთიაქო ნივთებისა და სამედიცინო ინვენტარის მაღაზია და ქიმიური ლაბორატორია, ასევე დამატებით შეიქმნა სააფთიაქო გაერთიანება. პეტ-რე-პავლეს ოჯახის ამ გაერთიანებას ცოტა მოგვიანებით ეწოდა „**ძმები კოკოჩაშვილების წარმოება (გაერთიანება)**“. კოკოჩაშვილთა „სააფთიაქო საწყობი და ქიმიური ლაბორატორია“ ათეული წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ამარაგებდა სამედიცინო საქონლითა და წამლეულობით.

პეტრე-პავლეს ოჯახს უკავშირდება საქართველოში ბორჯომის მინერალური წყლის (სამკურნალო დანიშნულებით) პირველი წარმოება და რეალიზაცია (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ). მამის ხელმძღვანელობით 1890-1895 წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა „ძმები კოკოჩაშვილების გაერთიანების“ საქმიანობა.

პეტრე-პავლეს, როგორც ნიჭიერი პიროვნების, დასახასიათებლად უნდა დავიმოწმოთ ერთი საგულისხმო დეტალიც: პეტრე-პავლე დაინტერესებული ყოფილა მინერალოგიითაც. მას ჰქონია სათანადო რეაქტივები და სხვადასხვა ადგილას აწარმოებდა მადნეულის ქიმიურ ანალიზებს. ასე აღმოაჩინა მან ლეჩეუმის მაზრაში ლიტოგრაფის ქვა, სოფელ კურსებში – ქვანახშირი, გოდოგანში – მარმარილო (ლ. ბეგიშვილი).

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი გარდაიცვალა 1917 წელს, დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩნიის საგვარეულო სასაფლაოზე.

შეუძლოთა (ღარიბთა, ხელმოკლეთა – უ. ფ.) მოყვარული, მათი მფარველი, უფასოდ წამლების მიმწოდებელი და უფასო მკურნალი, – აი, ასეთად დარჩა ათწლეულების მანძილზე პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი ხალხის გულში (ნ. აბულაძე, მ. კეზევაძე).

დიახ, ლირსეულად განვლო თავისი ცხოვრების საინტერესო გზა ამ სახელოვანი გვარის ერთ-ერთმა რჩეულმა ადამიანმა, უაღრესად მორწმუნე და ქველმოქმედმა კათოლიკემ – პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა, დატოვა მრავალი შთამომავალი: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები – თაობები, რომლებმაც ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მათი წინაპრების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში წამოწყებული საქმენი კიდევ უფრო განვითარეს და გააძლიერეს.

კოკოჩაშვილები დღენიადაგ იღვწოდნენ, იბრძოდნენ მოყვასის არა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, არამედ საზოგადოების, ადამიანების სულიერების ამაღლებისათვის, ახალგაზრდობის წინსვლა-განათლებისათვის.

ლევან ბეტრე-ბაკლეს ძე ქოქოხაშვილი

ლევან კოკოჩაშვილი დაიბადა ქუთაისში 1855 წელს, ქალაქში უკვე საკმაოდ ცნობილი კათოლიკეს – პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო კათოლიკური ეკლესის სამრევლო სკოლაში, იმავდროულად მის სწავლა-აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მშობლებიც.

ლევანმა დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი ფარმაცევტის მაგისტრის ხარისხით, შემდეგ მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა პროვიზორის წოდება.

იმის გამო, რომ პეტრე-პავლეს არ ჰქონდა უმაღლესი სპეციალური განათლება ფარმაციის პროფილით, თავდაპირველად თავის აფთიაქში პროვიზორებად მიწვეული ჰყოლია ი. იავარსკი, დ. ანციპა, 1871 წლიდან კი პეტრე-პავლემ აფთიაქის მართვა მიანდო იმხანად საქართველოში გადმოსახლებულ ემიგრანტ უცხოელს ცეზარ ივანოვსკის, რომელიც პროვიზორად მუშაობდა რამდენიმე წელი.

1880 წლის 8 აგვისტოდან კოკოჩაშვილების აფთიაქის მმართველად მამამ დანიშნა უფროსი შვილი ლევანი. ჩანს, ლევანი კარგად უძღვებოდა სააფთიაქო საქმეს, რომელიც წლითიწლობით უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა: ერთი მხრივ, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ სააფთიაქო საშუალებებითა და სამედიცინო მომსახურეობით, იმავდროულად მნიშვნელოვნად იზრდებოდა ხილეული წყლების („სუნოვანი“ ტკბილი სასმელების) ქარხნის წარმადობა.

ლევან კოკოჩაშვილის აქტიურ საქმიანობას უკავშირდება ბორჯომის მინერალური წყლის, როგორც სამკურნალო საშუალების, წარმოება-რეალიზაციაც.

1889 წელს კოკოჩაშვილებმა ბორჯომის წყალი გააგზავნეს პოლონეთში, ვარშავის ჰიგიენის ლ. ლიგოს ლაბორატორიაში ქიმიური ანალიზის დასადგენად. აქ ბორჯომის წყალი აღიარეს „კეთილხარისხოვან“ სითხედ, შეიცავდა არაერთ სასარგებლო ქიმიურ კომპონენტს: მაგნიუმს, ნატრიუმს, კალიუმს, სტრონციუმს, რკინის ოქსიდის კარბონატებს და ა. შ. გაირკვა, რომ იმ დროისათვის მსოფლიოში არცერთი მინერალური წყალი არ შეიცავდა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ამდენ ნივთიერებას... (შ.ისაკაძე, ლ.ბეგიშვილი)

1885 წელს ლევანი დაქორწინდა პოლონელი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ივაშკევიჩის ქალიშვილ სოფიაზე. შეეძინათ ხუთი შვილი: ელენე (ლილე), თამარი, ბარბარე (ბაბუცა), ვანდა, ეკეტერინე (კიწი/კიტი). ამათგან ორმა უმაღლესი განათლება მიიღო სამედიცინო განხრით.

ლევან კოკოჩაშვილი გარდაიცვალა 1931 წელს, დაკრძალულია ქუთაისში.

თამარ ლევანის ასული ქოქოჩაშვილი (1890-1969)

1917 წელს დაამთავრა პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი. იგი იყო პირველი ფარმაცევტი, პროფესიონი ქალი საქართველოში. ქალბატონი თამარი მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურა თავის პროფესიას, ადამიანთა ჯანმრთელობას...

ივანე ბეტქე-ბაკოს ძე ქოქოხაშვილი

ივანე კოკოჩაშვილი დაიბადა 1868 წელს ქუთაისში ცნობილი კათოლიკეების ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა გიმნაზია.

1889-1893 წლებში სწავლობდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ფარმაცევტის სპეციალობით; წარმატებული სწავლისათვის დაჯილდოვეს უნივერსიტეტის სახელობითი ოქროს ჟეტონით.

ივანე კოკოჩაშვილი – განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა – დაბრუნდა ქუთაისში და ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურად ჩაერთო საქმიანობაში მედიცინის განხრით. იყო წარმატებული პროვიზორი, რასაც უთუოდ განაპირობებდა რამდენიმე ფაქტორი: ოჯახური ტრადიცია, მრავალმხრივი ფართო განათლება და ისიც, რომ მას საერთოდ ძალიან ჰყვარებია მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში, რათა უკეთ გაეცნო იქაური ცხოვრება და სამრეწველო-სავაჭრო, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული ევროპული გამოცდილება საქართველოში გადმოეტანა. მაგრამ, სამნუხაროდ, ბედისწერამ ნაადრევად დაუსვა წერტილი ამ ერთ-ერთი ღირსეული ქართველის ცხოვრებას – 1910 წელს გულის მწვავე შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა 42 წლის ასაკში.

ცნობილია, რომ 1905-1907 წლების რევოლუციების შემდგომ პერიოდში მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით ქუთაისშიც გრძელდებოდა ინტელიგენციისა და საქმიანი მოქალაქეების მიმართ სხვადასხვა სახის რეპრესიები: ფუ-

ლის გამოძალვა (ანუ დღევანდელი ტერმინით – „შეწერა“), ნივთიერი ქონების წართმევა და კიდევ არა ერთი შევიწ-როება-განუკითხაობა. ასეთმა „პოლიტიკამ“ იმ წლებში თურმე ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწი-რა... ივანეს ახლობლების გადმოცემით, ივანეც ერთ-ერთი ამათგანი იყოო: ერთ დღეს საკუთარ აფთიაქში, სამუშაოდ წასული, ოჯახის წევრებმა გარდაცვლილი ნახეს.

ივანესა და მის მეუღლეს – მარიამ მამუ-ლაშვილს ხუთი შვილი შეეძინათ. ამათგან ორი პავ-შვობის ასაკში დაღუპულა, მესამე – უმცროსი ვაჟი ლეონარდო, ქუთაისის არქიტექტორი და მშენებელი, ნიჭიერი და პერსპექტიული ინჟინერი, 27 წლის ასაკში „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს და **1937** წელს საფიჩნიის ტყეში სხვა „მსჯავრდებულებთან“ ერთად დახვრი-ტეს. იგიც, მამის მსგავსად, შავბნელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მართალია, 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ლეონარდოს რეა-ბილიტაციის უწყება ოჯახს გადასცეს, მაგრამ ახალ-გაზრდა კაცის სიცოცხლეს ვინ აღადგენდა?!?

მიუხედავად ოჯახური ტრაგედიისა, ივანე კოკოჩაშვი-ლის უფროსმა ვაჟებმა – მიხეილმა და ვიქტორმა ნიჭიერებასთან შეუღლებული შრომისმოყვარეობით და პიროვნული თვისებებით, რასაც ემატებოდა ფართო გა-ნათლება და პროფესიის სიყვარული, ღირსეულად გააგ-რძელეს ოჯახური ტრადიციები: მიხეილი გახდა სამედი-ცინო დარგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეცილისტი – ბავშვთა ქირურგი, ვიქტორი კი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი – ქიმიკოსი.

თინათინ კოკოჩაშვილი
(მიხეილ კოკოჩაშვილის ძმისშვილი)

მიხეილ ივანეს ქე ე კ უ რ გ ი შ ვ ი ლ ი

გამოჩენილი ქართველი ბავშვთა ქირურგი მიხეილ კოკოჩაშვილი დაიბადა **1901** წლის 10 მარტს ქალაქ ქუთაისში ღრმა მორწმუნე კათოლიკეთა – ივანე და მარიამ კოკოჩაშვილების ოჯახში. მამა – ივანე განათლებით პროვიზორი იყო (ფლობდა საკუთარ აფთიაქს), დედა კი – პედაგოგი.

მიხეილს 9 წლის ასაკში გარდაეცვალა მამა, ამიერიდან ოთხი შვილის მოვლა დედამ იყისრა. ოჯახის უზომო სიყვარულმა შეაძლებინა ქალბატონ მარიამს სამი ვაჟიშვილისათვის მიეცა კარგი განათლება, აღეზარდა პატიოსან, კეთილშობილ და შრომისმოყვარე ადამიანებად.

პირველდაწყებითი განათლება მიხეილმა მიიღო ქუთაისის უბინოდ ჩასახვის კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში, სადაც ძმასთან – ვიქტორთან ერთად ხშირად მონაწილეობდა სასკოლო ღინისძიებებში (დადგმებში). 9 წლის მიხეილმა სწავლა გააგრძელა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა **1919** წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

დაიწყო მიხეილისათვის სრულიად ახალი ცხოვრება დედაქალაქში. ნიჭიერი, ბეჯითი სტუდენტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ლექტორ-მასწავლებლებს. ჯერ კიდევ

მეორე კურსის სტუდენტი მუშაობდა ცნობილ ანატომთან – პროფესორ ა. ხატიაშვილთან. სტუდენტობის პერიოდშივე ასრულებდა ასისტენტის მოვალეობას, შემდეგ კი 1924 წელს, როცა დაამთავრა უნივერსიტეტის სრული კურსი, როგორც უკვე კარგი სპეციალისტი, ნიჭიერი და სანიმუშო პიროვნება, აირჩიეს საშტატო ასისტენტის თანამდებობაზე.

1926 წელს მიხეილი სამუშაოდ გადადის პოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში, რომელსაც იმ ხანებში ხელმძღვანელობდა გამორჩენილი ქირურგი, პროფესორი გრ. მუხაძე. ამ პერიოდიდან იწყება მისი მუშაობის ახალი და მეტად ნაყოფიერი ეტაპი. ანატომიის ღრმა ცოდნამ ახალგაზრდა ექიმს საშუალება მისცა მოკლე დროის განმავლობაში აეთვისებინა ქირურგიის საფუძვლები და განეგრძო მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით.

1932 წელს, პირველი ქართველი ბავშვთა ქირურგის – მ. კილოსანიძის გარდაცვალების შემდეგ, მ. კოკოჩაშვილი დაინიშნა ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიული განყოფილების გამგედ; იმავე წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის ახლადდაარსებული კათედრის გამგედ (ბ-ნი მიხეილი ამ კათედრას განაგებდა გარდაცვალებამდე).

1935 წელს მიხეილ კოკოჩაშვილმა წარმატებით დაიცვა ბავშვთა ქირურგიაში სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ავერტინი, როგორც ნაკონიჟული ნივთიერება“ (დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1934 წელს, ტფ., 145 გვ.). მიენიჭა მედიცინის მეც-

ნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1936 წელს კი – პროფესორის წოდება.

ბავშვთა ქირურგიაში არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელსაც ბ-ნი მიხეილი არ შეხებოდეს თავის შრომებში და არ გამოეთქვას საგულისხმო მოსაზრებები.

ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი ექიმი მუდამ იდგა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. ყოველივე ამან მთელს საქართველოში მოუპოვა დიდი სახელი და ავტორიტეტი; მეტიც: საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც აღიარებული იყო ერთ-ერთ წამყვან ბავშვთა ქირურგად.

მ. კოკოჩაშვილი ავტორია 85 სამეცნიერო შრომისა, მათ შორის აღსანიშნავია წიგნები, მონოგრაფიები: „ბავშვთა ტრამვატიზმი და მასთან ბრძოლა“ (1951); „მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობა და მასთან ბრძოლა“ (1955); „ჩვილ ბავშვთა ასაკის ქირურგიული დაავადებანი (1956); „ძვალ-სახსრების ტუბერკულოზი“ (1958); „ბარძაყის ამოვარდნილობა“; „მწვავე მუცელი ბავშვთა ასაკში“ და სხვ. მასვე ეკუთვნის აგრეთვე „ბავშვთა ასაკის ქირურგია ორთოპედიით“ (დაიბეჭდა 1952 წელს, 461 გვ.) – ეს იყო ბავშვთა ქირურგიაში ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სახელმძღვანელო, რომელიც შეადგინა მრავალწლიანი პრაქტიკული მოღვაწეობისა და მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე (მეორედ გამოიცა 1955 წელს).

1961 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მიხეილ კოკოჩაშვილი ძირითადად იკვლევდა ბავშვთა ასაკის ქირურგიის, ტრავმატიზმის, უროლოგიური

და ორთოპედიული დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და მიმდინარეობას. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა მეწვე-ბარძაყის სახსრებში თანდაყოლილ ამო-ვარდნილობასა და ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულო-ზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

ბ-ნი მიხეილი იმავდროულად იყო პრაქტიკოსი ქირურგი, ამიტომ მას ხშირად უწევდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გასვლა ოპერაციების ჩასატარებ-ლად. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა მშობ-ლიური ქუთაისის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს-თან: ხშირად ატარებდა ოპერაციებს, კონსულტაციებს უწევდა იქ მომუშავე ახალგაზრდა ქირურგებს.

მ. კოკოჩაშვილი სისტემატურად მონაწილეობდა მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო კონგრესებში, სიმპო-ზიუმებში, კონფერენციებში. აქტიურად იყო ჩართული მსოფლიოს ბავშვთა ქირურგის განვითარებასა და კვლევაში; საქართველოში შექმნა პედიატრ-ქირურგთა პირველი არაჩვეულებრივი სკოლა. მისი მოწაფეები იყ-ვნენ პროფესორები: ლევან ავალიანი, გივი უვანია, ჯიმ-შერ ნატრიაშვილი და სხვანი. თავის პროფესიაზე უზო-მოდ შეყვარებული პროფესორი კოკოჩაშვილი იყო კო-ლეგების, მედ-ბერსონალისა და სტუდენტების მიმართ მეტად ყურადღებიანი, გულისხმიერი და მომთხოვნიც.

სამეცნიერო საზოგადოებამ, ოფიციალურმა ხელი-სუფლებამ ქართული მედიცინის განვითარებაში გაწეუ-ლი ღვანლისათვის მიხეილ კოკოჩაშვილი დააჯილდოვა ლენინის ორდენით, მედლებით, მაგრამ მის-თვის არანაკლები ჯილდო გახლდათ პაციენტების, რიგი-თი ადამიანების სიყვარული და მადლიერება.

მიხეილ კოკოჩაშვილი გარდაიცვალა 1963 წლის 7 სექტემბერს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

მიხეილ კოკოჩაშვილსა და მის მეუღლეს – ნინა მებურიშვილს ჰყავდათ ორი შვილი: ანა (1934-2012) და თეიმურაზი (1936-1989).

ანა (კისა) კოკოჩაშვილი საკმაოდ წარმატებული ექიმი პედიატრი იყო. მუშაობდა თბილისში, პედიატრიის ინსტიტუტში (მისი ვაჟი ირაკლი ამჟამად მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში).

თეიმურაზ კოკოჩაშვილი, პროფესიით კიბერნეტიკოსი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე. მისი შვილები (მაია, მიხეილი), შვილიშვილები (ილია, მარიამი) წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში. მათში განაგრძობს სიცოცხლეს მიხეილ კოკოჩაშვილის გენი.

ბიძარებით დაკავშირებით აქვე გთავაზობთ ჩემს ორიოდე მოგონებას:

- ბავშვობაში მეტად ცელქი და ონავარი ვიყავი. ერთხელაც ეზოში ცუდად წავიქეცი და ასფალტს დავარტყყი თავი. ძია მიშა ძალიან შეწუხდა, დამინიშნა მკურნალობა. ყოველდღე მაკითხავდა სახლში, პირნათლად ხომ ვასრულებდი მის დანიშნულებას, რომ მომავალში არ მქონდა რაიმე გართულება.

- ჩემი ბავშვობის დროს სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი, დეკანატი და ბიბლიოთეკა მელიქიშვილის

გამზირზე, თარხნიშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე შენობაში იყო განთავსებული. ჩვენ ორი სახლის გამოტოვებით ვცხოვრობდით. ძია მიშა ხშირად გვეწვეოდა ხოლმე სამედიცინო ინსტიტუტის იმდროინდელ რექტორთან – მიხეილ სააკაშვილთან ერთად (ისიც კათოლიკე ოჯახიდან იყო).

■ ძია მიშას ჩვენთან სტუმრობა ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით ხშირ-ხშირად მოდიოდა მაშინ, როცა ბებიაჩემი მარიამი ჩამოსული იყო ქუთაისიდან. ბებიას უხაროდა შვილის ნახვა, საგანგებოდ ემზადებოდა, გემრიელ ნამცხვარს გამოაცხობდა და ყავით უმასპინძლდებოდა. ძია მიშა და მამაჩემი – ვიქტორი დედის გვერდით ძალიან ბედნიერები იყვნენ...

■ კარგად მახსოვს ის საბედისნერო დღე – **1963** წლის 7 სექტემბერი – ძია მიშას გარდაცვალების თარიღიც. იმ დღეს ძია მიშას სამი რთული ოპერაცია ჰქონია ახლანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე პიმენ ყურაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში (ახლა მთანმინდის გამგებაა ამ შენობაში, რომელიც ქველმოქმედმა ნიკოლოზ ზუბალაშვილმა ღარიბთა თავშესაფრად ააგო 1906 წელს). ძია მიშამ თავისი საქმე რომ დაამთავრა და კიბეებზე ჩამოდიოდა სახლში წასასვლელად, ამ დროს მასთან მიიჭრა ქალი ტირილით: „მიშველეთ, ექიმო, შვილი მეღუპებაო!“ ექიმი სასწრაფოდ უკან აბრუნდა და შევიდა საოპერაციოში. ძია მიშა რამდენიმე საათი იბრძოდა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად... მადლობა უფალს, ყმაწვილის გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ ექიმს, სახლში დაბრუნებულს, გუ-

ლის შეტევა დაემართა და მიოკარდიუმის ინფარქტით უეცრად გარდაიცვალა 62 წლის ასაკში გაგარინის ქუჩაზე მდებარე მის სახლში. აქედან ძია მიშა გადაასვენეს მედიცინის მუშაკთა სახლში (ინგოროვას ქუჩაზე), გაიმართა პანაშვიდები. უამრავი ხალხი მოდიოდა გამოსათხოვებლად. დიდი გულისტკივილით გააცილა საზოგადოებამ თავისი გამორჩეული მეცნიერი და ექიმი, უკვე საქვეყნოდ აღიარებული ბავშვთა ქირურგი, სამუდამო განსასვენებლისაკენ მიმავალ გზაზე.

მძიმე იყო ეს დღეები ჩვენთვის – ნათესავებისთვის, უსაზღვრო იყო ტკივილი და მწუხარება დედისა (ბებიაჩემისა), რომელიც მეოთხე შვილის გარდაცვალებასაც მოესწრო. მისი თვალების გამოხედვა, სასოწარკვეთილება ახლაც მზარავს ხოლმე...

მიხეილ ივანეს ძე კოკოჩაშვილის სახით კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი შეუერთდა მარადისობას!

ღმერთმა გაანათლოს ზეციურ საუფლოში დამკვიდრებული კათოლიკე კოკოჩაშვილების სულები!

ანა თეიმურაზის ასული კოკოჩაშვილი
(ზაქარიას შვილიშვილის შვილიშვილი)

ზაქარია ბეჭედე-ბაკლეს ძე ეთერხაშვილი

შესავალი

მკითხველო, სანამ ჩემი წინაპრების ცხოვრება-საქ-
მიანობის შესახებ ვისაუბრებდე, მანამდე მოგიყვებით
მეხსიერებაში დღემდე შემორჩენილ შთაბეჭდილებას
„ფრანგების უბანზე“, რომელიც იმ დროისათვის
ქუთაისში ცნობილი იყო არა მარტო როგორც ე. წ.
„ევროპული კუნძული“, არამედ ევროპულად გა-
ნათლებული ინტელიგენციით, საქმიანი ადამიანებით;
მათი კეთილშობილება-ქველმოქმედება კი უკვე საქვეყ-
ნოდ იყო აღიარებული.

...ვიდრე ჩვენში ბატონყმობა გადავარდებოდა და
ფეოდალები მეფეებს ეურჩებოდნენ, შინაური თუ გარეშე
მტერი ნამდვილად არ აკლდა იმერეთის სამეფოს.

„ქალაქის გასაცოცხლებლად, ომებით გაპარტახე-
ბულ მე-18 საუკუნის ქუთაისში მეფე სოლომონ
მეორეს კათოლიკე მისიონერები ჩამოუსახლებია. მი-
სიონერები ფრანგების უბნად წოდებულ ტერიტორიაზე
(დღევანდელი ვარლამიშვილის ქუჩა) დასახლებულან და
ქუთაისისთვის მართლაც სულ მალე დაუტყვიათ ხელი.
ბევრი მათგანი ფლობდა სამოქალაქო დისციპლინებს:
ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმი-
ას, მხატვრობას. იცნობდნენ ევროპის ახალ მიღწევებს

მეცნიერების სხვადასხვა დარგში და თავიანთ მიერ გახ-
სნილ სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნებთან
ერთად ამ ახალ მიღწევებსაც აცნობდნენ ქართველ
ახალგაზრდობას“, – ნათქვამია პროფესორ შ. ლომსა-
ძის ჩანაწერებში.

ისტორიული წყაროების მიხედვით, სწორედ კათო-
ლიკების სახელს უკავშირდება ქუთაისში მრეწველობი-
სა და ვაჭრობის განვითარება. მენარმეობის გარდა, ისი-
ნი სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ,
როთაც საქართველოში ევროპული ღირებუ-
ლებები და კულტურა შემოჰქონდათ. კათოლი-
კეების, იგივე ფრანგების, უბანი ქუთაის-
ში იყო ერთგვარი სარკმელი ევროპსთან.

კათოლიკე და მართლმადიდებელი აღმასრულებ-
ლობის მქონე ადამიანები ქუთაისში მეგობრულად ცხოვ-
რობდნენ მრავალი წელი, ორი სხვადასხვა კულტურის
თანარსებობა კი ქალაქს მრავალფეროვნებას სძენდა.

ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის ნიშა-
ნია ის ფაქტიც, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში მეცე
სოლომონ მეორემ კათოლიკებს უბოძა „წყალობის
სიგელი“ და ადგილი ქუთაისში, სადაც 1826 წელს ეკ-
ლესის მშენებლობა დაიწყო... ქუთაისში, ე. წ. „ფრანგე-
ბის უბანში“, კათოლიკეები ახლა თითქმის აღარ ცხოვ-
რობენ. ქალაქში, სადაც თავის დროზე 2000-ზე მეტი კა-
თოლიკე ცხოვრობდა, დღეს მხოლოდ 200 დარჩა. კვალი,
რაც კათოლიკეების არსებობაზე, მათს წარსულსა და
დღევანდელობაზე მიუთითებს, ჩრდილშია, მავანთა მიერ
ერთგვარად საგანგებოდაა მიჩქმალული. სამაგიეროდ,
რჩება შენობები და სამაგალითო ისტორიები, მოგონებე-

ბი სახელოვან ადამიანებზე, რომლებიც კვლავაც აცოც-ხლებენ თვით ქალაქის წარსულს, იმავდროულად წარმო-აჩენენ „ფრანგების უბანში“ მცხოვრებთა ღვანლსა და დამსახურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით...

* * *

ქუთაისელი კათოლიკე კოკოჩაშვილების დიდი საგ-ვარეულოს ისტორია იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან, როცა ახალციხიდან ქუთაისში უმცროს ძმასთან ერთად ჩამოვიდა ობოლი ბიჭი ივანე პეტრეს ძე კოკო-ჩაშვილი და კათოლიკე მისიონერებთან ნასწავლი სა-მედიცინო ხელოვნების ცოდნით თავისისავე სახლში გახ-სნა „სამკურნალო აფთიაქი“, სადაც ამზადებდა მცენა-რებისგან წამლებს და თავადვე მეურნალობდა სნეუ-ლებს თითქმის უფასოდ. ეს იყო ქუთაისსა და მთელს დასავლეთ საქართველოში ნამდვილი შვება, განსაკუთ-რებით ღარიბთათვის.

მამის მიერ დაწყებული საქმე უფრო განავითარა შვილმა – პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილმა.

ოფიციალურ დოკუმენტებში, სპეციალურ წერი-ლებში საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილის ოჯახის საქმიანობა სამედიცი-ნო მიმართულებითა და აგრეთვე მრეწველობაში სიახ-ლების შემოტანა-დანერგვით, ამიტომ ამჯერად ამ სა-კითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ზაქარია კოკოჩაშვილი დაიბადა 1872 წელს ქუთაისში, იმდროისათვის ცნობილი კათოლიკე მრეწველისა და აფთიაქარის პეტრე-პავლე კოკოჩაშვი-

ლის ოჯახში. ყველაზე უმცროსი (მეექვსე) შვილი მშობლებისა და უფროსი და-ძმების მაგალითზე ბავშვობი-დანვე ხედავდა, რომ მათს ოჯახში სუფევდა შრომის სიყვარული, შვილების განათლებაზე ზრუნვა და გაჭირვებულთა დახმარების დიდი სურვილი. ამ მიმართულებით წინაპრების ტრადიციის გამგრძელებელი მშობლები შვილებისგანაც მოითხოვდნენ ოჯახური ტრადიციის დაცვასა და გაღრმავებას.

უფროსი ძმების მსგავსად, ზაქარიამ დაწყებითი განათლება მიიღო ოჯახსა და კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა, სწავლობდა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში პროფესიონალობით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მამის ხელმძღვანელობით ისიც აქტიურად ჩაერთო „ძმები კოკოჩაშვილების გაერთიანების“ საქმიანობაში.

ირკვევა, რომ ზაქარიამ დამოუკიდებლადაც წამოიწყო საქმეები: 1902 წელს ახლანდელი წერეთლის ქუჩის დასაწყისში შეიძინა აზნაურ სეფე ჩხეიძისგან მიწის ნაკვეთი ერთსართულიანი სახლით და მის ადგილზე ააშენა ორსართულიანი ქვის შენობა (ყოფილი ოფიცერთა სახლის სასადილო). პირველ სართულზე ცნობილ ქუთაისელ ვაჭარ სტეფანე ფირალიშვილთან ერთად გამართა კინოთეატრი (სახელად უწოდა „თამარი“ თავისი ქალიშვილის საპატივცემულოდ), მეორე სართულზე კი განთავსებული იყო სააფთიაქო მაღაზია და საჩაიე.

ზაქარიამ ცოლად შეირთო უოზეფინა ფირალიშვილი (ფირალოვა). შეეძინათ ხუთი შვილი: კონ-

სტანტინე, ნინა, თამარი, ქეთო და ვენერა.

გარდა იმისა, რომ ზაქარია კარგი ფარმაცევტი იყო, ქალაქში მას იცნობდნენ თავისი ხასიათითაც: მეტად მეგობრულსა და კომუნიკაბელურს, ახლო ურთიერთობა ჰქონია საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, მათ შორის, აკაკი წერეთელთან, ვუკოლ ბერიძესთან (რომელიც მისი შვილიშვილის – ვახტანგის ნათლითაც იყო) და სხვებთან.

სამწუხაროდ, ვერც ზაქარია ასცდა თურმე იმ ეპოქის პოლიტიკურ რეჟიმს.

შთამომავლების მოგონებებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ასეთი ვერსია: 1920-იანი წლების დამდეგიდან, როცა ახალმა ბოლშევიკურმა მთავრობამ პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა ქართველ საქმიან ადამიანებს – ვაჭარ-მრეწველებს – და დაიწყეს არა მხოლოდ მათი კუთვნილი ქონების ჩამორთმევა, არამედ დახვრეტასაც კი არ ერიდებოდნენ, ამის გამო მათ მიერ „ხალხის მტრებად“ შერაცხილი პატიოსანი, განათლებული ქველმოქმედი და ღირსეული პიროვნებები ახალ რეჟიმს ფიზიკურადაც ენირებოდნენ...

ახლობლები ფიქრობენ, რომ ასეთი ბედი ეწია მათს დიდ ბაბუას – ზაქარიასაც: როცა მას ახალმა მთავრობამ მთლიანად ჩამოართვა წლების განმავლობაში შეძენილი ქონება, იგი (ხუთი შვილის მამა) **1922** წელს გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა.

ზაქარია კოკოჩაშვილი დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხის საგვარეულო სასაფლაოზე, მამისა და ძმის (ივანეს) გვერდით.

ქონის ტანტინე ზაქარიას ძე ქოქოხაშვილი

პეტრე-პავლეს შვილიშვილი, კონსტანტინე კოკოჩაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1893 წელს. სწავლა-განათლების პირველი საფეხური გაიარა ოჯახსა და კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში. 1912 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა გააგრძელა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში (აქ სწავლობდა მისი და - ვერაც).

1917 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთხანს მუშაობდა თბილისში, ხოლო 1921 წლიდან გადმოდის ქუთაისში და მუშაობას იწყებს უბნის ექიმად... 1927 წელს ის ინიშნება ქუთაისის მთავარი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგედ... შემდეგ წლებში კონსტანტინე კოკოჩაშვილი, როგორც ექიმი, მუშაობდა სხვადასხვა ადგილზე, სადაც კი ამას საჭიროება და მისი პროფესიონალიზმი მოითხოვდა: სამაღლარიო საავადმყოფოში, ფიზიო-თერაპიულ დისპანსერში, პოლიკლინიკებში და ა. შ.

წლების განმავლობაში დაგროვილმა უდიდესმა თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ბატონი კონსტანტინე ქალაქის წამყვან ინფექციონისტად აქცია. მისი მეოხებითა და უშუალო ხელმძღვანელობით ქუთაისის მაზრაში ლიკვიდრებულ იქნა საშიში გადამდები სნეულებები... გარდა ამისა, კონსტანტინე გახლდათ არა მხოლოდ მრავალმხრივად განათლებული პიროვნება, არამედ გამორჩეული მუსიკალური ნიჭითაც დაჯილდოებული. ახლობელთა მოგონებებით, ის ბავ-

შვობიდან აქტიურად მონაწილეობდა ბიძაშვილების (ვა-სილის ვაჟების) მიერ საკუთარი „ორკესტრის“ თანხლე-ბით მოწყობილ საოჯახო კონცერტებში. იყო თავისი საქმის უაღრესად მცოდნე, ავადმყოფთა მიმართ გუ-ლისხმიერებით გამორჩეული და თავმდაბალი ადამიანი.

კონსტანტინე ზაქარიას ძე იყო ექიმთა საზოგადოე-ბის აქტიური წევრი, ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით სიმპოზიუმებზე, ექიმთა დახელოვნების კურსებზე, ასე-ვე, სხვა ორგანიზაციების კოლექტივების წინაშე ლექცი-ებით გადამდებ სწორებათა პრევენციისა და მკურნა-ლობის შესახებ. მისი ხელმძღვანელობით ქალაქში გაი-ზარდა ექიმ-ინფექციონისტთა მთელი თაობა.

კონსტანტინე კოკოჩაშვილის მრავალწლიანი ღვან-ლი სამედიცინო სფეროში ჯეროვნად იქნა დაფასებული. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუ-ბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, დაჯილდოებული იყო ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი – ლენინის ორდენითა და მედლებით.

კონსტანტინეს მეუღლე გახლდათ პოლონელი აიდა ვრობლევსკაია. ჰყავდათ ორი შვილი: ვახ-ტანგი (ექიმი) და თეიმურაზი (ქალაქში ცნობილი პე-დაგოგი; წლების მანძილზე მე-10 და მე-17 საშუალო სკო-ლების დირექტორი).

კონსტანტინე ზაქარიას ძე კოკოჩაშვილი გარდაიცვალა **1964** წელს, 20 აპრილს, დაკრძალულია ქუთაისში მეუღლესთან ერთად საფიჩხიის საგვა-რეულო სასაფლაოზე.

ვახტანგ ქონიშვილის ბეჭედის შეკვეთი

ვახტანგ კოკოჩიაშვილი იყო საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამედიცინო სამსახურის გვარდის კაპიტანი, დიდი სამამულო ომის ვეტე-რანი, სამხედრო სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი. დაიბადა 1918 წლის 23 თებერვალს ქ. ქუთაისში.

1932 წელს ვახტანგ კოკოჩიაშვილმა წარჩინებით და-ამთავრა ქ. ქუთაისის მეცნიერებული მეცნიერებით – თბილისის სახელ-მწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატ-რიის ფაკულტეტი. ბავშვობიდან ვახტანგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით სწავლობდა სამხედრო საქმეს. მსახურობდა ქ. თბილისის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. მან მიიღო სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის წოდება. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. ასევე მონაწილეობას იღებდა გერმანელი ფაშისტებისაგან ბულგარეთის გათავისუფლებაში. ამზადებდა ბულგარეთის სახალხო არმიის საჰაერო ძალების კადრებს. დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის საჰაერო ძალების ურთიერთანამშრომლობაში. ტექნიკურ დახმარებას უწევდა მათ ომისშემდგომ პერიოდში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, ვახტანგ კოკოჩიაშვილი დაჯილდოებულ იქნა სახალხო არმიის მედლით (მედალი გადასცა ბულგარეთის სამხედრო საჰაერო ძალების ავიაციის მთავარსარდალმა კუტაზოვმა).

სამამულო ომის დღეებში ვახტანგ კოკოჩაშვილმა საუკეთესო ქირურგის სახელი დაიმსახურა. მის მადლიან ხელს არაერთი მძიმე დაჭრილი მებრძოლი განუკურნავს და მწყობრისათვის დაუბრუნებია. ერთხელ თურმე გვიან ღამით საოპერაციოდ მიუყვანეს მძიმედ დაჭრილი მებრძოლი კლიმოვი – მას ჭრილობა ჰქონდა მიყენებული სახეში, ვერაფერს ხედავდა. თვალები სისხლით ჰქონდა ამოვსებული და გამშრალი ტუჩებით ჩურჩულებდა: „ექიმო, რაც შეიძლება მალე მომარჩინე, რომ კვლავ შევებრძოლო ფაშისტებს“. ექიმი ვახტანგი სწრაფად შეუდგა მუშაობას. ოპერაციამ ბრნყინვალედ ჩაიარა. კლიმოვს სახეზე ჭრილობის ნაკვალევიც აღარ დარჩა.

ვ. კოკოჩაშვილმა ბრძოლის ველზე მრავალი ადამიანი დაუბრუნა მწყობრს და თითოეული მათგანი გულმხურვალედ იხსენებდა ექიმს. ის მთელს თავის მჩქეფარე სიცოცხლეს ამ ძნელსა და კეთილშობილურ საქმეს ახმარდა.

ბატონი ვახტანგი საუკეთესო ექიმი იყო, ძნელ პირობებში ქირურგის დანით ურთულეს ოპერაციებს აკეთებდა, ოსტატურად კურნავდა ნაწლავებს, თავის ქალის საშიშ ჭრილობებს; უთვალავ ღამესა და დღეს ატარებდა დაჭრილი მებრძოლების სასთუმალთან. დასვენების იშვიათ წუთებში მას უყვარდა საკუთარი პაციენტების მოგონება. ეს მოგონება ხასიათდება უსაზღვრო სიყვარულით ადამიანების მიმართ.

ვახტანგს უსაზღვროდ უყვარდა მშობლები. ეს სიყვარული განსაკუთრებით ჩანდა მის მიერ მშობლებისადმი მიწერილ წერილებში.

აი, ერთ-ერთი წერილი, რომელიც მან მშობლებს ფრონტიდან მისწერა.

„სალამი დედასა და მამას. მოგიყითხავთ სიყვარულითა და პატივისცემით. კოცნით მომიკითხეთ ჩემი ძამიკო თეიმურაზი. ჩემი დარდი ნუ გექნებათ, კარგად ვარ. სხვებთან ერთად მეც ვიბრძვი და ღირსეულად ვიხდი ჩემს კეთილშობილურ ვალს სამშობლოს წინაშე. მე კვლავ ფრონტზე ვარ. რთულ პირობებში საოპერაციო მაგიდასთან მუშაობა ძლიერ საინტერესოა. ომში მოსალოდნელია ყოველგვარი სიძნელე, რომელთა გადალახვა და დაძლევა უნდა ვისწავლოთ ფრონტელმა ექიმებმა. ყველაფერი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის რომ დაჭრილი მებრძოლები სავსებით ჯანსაღი დავუბრუნოთ წითელ არმიას. ჩვენგან მებრძოლი ისე უნდა წავიდეს, რომ მისი ხელი მტერს აუცდენლად და მთელი ძალით ანადგურებდეს... მშობლებო, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ღირსეულად გამემართლებია სამშობლოს მაღალი წოდება, რისთვისაც მთავრობამ დამაჯილდოვა მედლით „მამაცობისთვის“. გჯეროდეთ, გამარჯვებული დავბრუნდები.

თქვენი შვილი ვახტანგი.“

ვახტანგ კოკოჩაშვილი იყო სსრკ ჯანდაცვის სისტემის მუშავი. მას უდიდესი ღვანლი მიუძღვის ჯანდაცვის განვითარებაში. აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ჯანდაცვის სისტემის ყველა ღონისძიებაში. სამედიცინო დახმარებას უწევდა მოსახლეობას. დაჯილდოებულია სამხედრო ნიშნებით და სიგელებით.

1940-1975 წლამდე იყო წითელი არმიის სამედიცინო პუნქტის უფროსი ექიმი, ავიამედიცინის უფროსი ექიმი, სამხედრო სასწავლებლის სამედიცინო სამსახურის უფროსი.

შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს აკადემიკოს კ. დ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელად.

არის რამდენიმე ნაშრომის ავტორი. ერთ-ერთი, „რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკა მედიცინაში“, გამოიცა სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

მისი ნაშრომია ასევე „ბრძოლით მოპოვებული სახელი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972 წელი).

იყო ფილატელისტთა კლუბის ხელმძღვანელი, მონაწილეობა მიიღო ფილატელისტთა გამოფენაში. დაჯილდოებულია სიგელებით.

ვახტანგ კოკოჩაშვილი გარდაიცვალა 1996 წელს. დაკრძალულია თბილისში, მეუღლესთან ერთად საბურთალოს სასაფლაოზე.

ვახტანგი 25 წლის ასაკში დაქორწინდა. მისი მეუღლე – ქალბატონი მერი მოწონელიძე – პროფესიით ექიმი-პედიატრი გახლდათ. წლების მანძილზე ის იყო თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი. ახალგაზრდებმა ერთმანეთი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გაიცნეს, თანაკურსელები იყ-

ვნენ. შეეძინათ ქალიშვილი ნათელა კოკოჩაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი, პროფესორი, მუშაობდა ქ. თბილისის №1 ექსპერიმენტაციურ სკოლაში და ასევე ლექციებს კითხულობდა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ვახტანგი გამოირჩეოდა ოჯახისადმი ერთგულებით. იყო ძალიან თბილი, მოსიყვარულე, გულისხმიერი და მზრუნველი, ყველას უწევდა საჭირო დახმარებას. ვახტანგი ასევე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება იყო, უყვარდა ფორტეპიანოზე დაკვრა და სიმღერა. საკუთარი შვილიშვილი არ ჰყავდა, მაგრამ უაღრესად უყვარდა ბავშვები. მისი ძმის შვილიშვილებისადმი იჩენდა უსაზღვრო მზრუნველობას და სითბოს. ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები და მოგონებების დიდი წილი სწორედ ვახტანგი ბაბუს უკავშირდება. მე და ჩემი ძმა, თეიმურაზი, ქუთაისიდან ხშირად ჩავდიოდით თბილისში. ვახტანგი ბაბუ და მერი ბებო სიხარულით გვხვდებოდნენ, გვიმასპინძლდებოდნენ საუკეთესო, საკუთარი ხელით დამზადებული კერძებით და ტკბილეულით, რომლის გემო და სურნელი დღემდე მაქვს შემორჩენილი. გვხვდებოდნენ საჩუქრებით. ყველაზე საინტერესო მომენტი დგებოდა მაშინ, როდესაც ვახტანგი ბაბუ თავის კაბინეტში შევიყვანდა და დიდი მარკებით დახუნდლულ ალბომებს სათუთად გადმოიღებდა თაროდან და გადაშლიდა. ამ ალბომებში მთელი კაცობრიობის დიდი ისტორია ინახებოდა. ვახტანგი ბაბუ ამ ისტორიის დიდი ნაწილი გახლდათ, ის ხომ ფილატელისტთა კლუბის თავმჯდომარე იყო. ყველა მარკის შექმნის ისტორია და მნიშვნელობა იცოდა, ჩვენც

გვიყვებოდა, გვაცნობიერებდა, გვაცნობდა თითოეულ მათგანს, როგორც რაღაც სულიერს, ძალიან სათუთსა და ნაზ არსებას. ბოლოს გვეტყოდა: „აბა, აირჩიეთ, რომელიც მოგწონთ და თქვენი იყოს“. რამდენიმე ლამაზ მარკას სათუთად ამოიღებდა ალბომიდან და გვაჩუქებდა. ვგრძნობდი იმ სიფაქიზეს, სიყვარულს ამ პატარა მარკების მიმართ. ახლა ვხვდები, თუ რაოდენ ძვირფასი იყო მისთვის თითოეული, რამდენ საიდუმლოს იტევდა თითოეული მათგანი. იმდენად ძლიერი იყო ეს სითბო, რომ მე და ჩემს ძმას, თითქოს და, გადაგვედო ეს გატაცება. ძალიან დავინტერესდით ამ საქმით და ვცდილობდით ჩვენი ვახტანგი ბაბუსთვის მიგვებაძა. ჩვენც დავიწყეთ მარკების შეგროვება. შემდეგ კი ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ვის უკეთესი მარკა ჰქონდა. ვახტანგი ბაბუს წინაშეც თავს ვიწონებდით. მასაც ეამაყებოდა, რომ მის პატარა ძმისშვილიშვლებს ამ საპატიო საქმის მიმართ დიდი სიყვარული და ინტერესი ჩაუნერგა. რადგან საკუთარი ბაბუა – თეიმურაზი, სამწუხაროდ, მე არ მახსოვს, მის სახეს ჩემს გვერდით ვახტანგში ვხედავდი.

ლევან ბეგიშვილი (საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის – „კარისტასის“ ქუთაისის ფილიალის თანამშრომელი, ქუთაისის ახალგაზრდული დღის ცენტრის „გვირილას“ დირექტორი)

ნინა ზაქარიას ასული კოქჩაშვილი

ოჯახური ტრადიციის გამგრძელებელი, დამსახურებული პროვიზორი (პეტრე-პავლეს შვილიშვილი) ნინა კოკოჩაშვილი დაიბადა **1896** წელს ქუთაისში. 1914 წელს დაამთავრა წმ. ნინოს სასწავლებელი და ლათინურ ენაში გამოცდის შემდეგ მიიღო აფთიაქის მოწაფეობა. **1915** წლიდან ქალბატონი ნინა უკვე პროვიზორია და, ამ ხნიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრების მანძილზე ამ პროფესიის ერთგული დარჩა.

ძირძველ ქუთათურებს (ჯერ კიდევ ბევრს) ემახ-სოვრებათ სანდომიანი სახის, ჭალარა, სიმპათიური ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით აძლევდა ხოლმე პროფესიონალურ რჩევა-დარიგებებს №4 აფთიაქში შემოსულ პაციენტებს, სადაც მან წლების უმეტესი ნაწილი გაატარა და აქვე დაასრულა თავისი ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობა, გარდაიცვალა **1973** წელს თბილისში.

ქალბატონი ნინა დაქორწინებული იყო ქუთაისელი ტრადიციული კათოლიკური გვარის, ბეგიშვილების, ერთ-ერთ წარმომადგენელზე – კონსტანტინე (კო-ტე) ბეგიშვილზე, ხოლო ოჯახის სამედიცინო ტრადიციის გამგრძელებელი შემდგომში გახდა მათი ვაჟიშვილი, **თენგიზ კონსტანტინეს ძე ბეგიშვილი**, თბილისში ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა პერიოდის დროს №4 სამმართველოს საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

თამარ ოთარის ასული კოკოჩაშვილი
(შალვა კოკოჩაშვილის შვილიშვილი)

შალვა კასილის ქა ქოქაშვილი

შალვა კოკოჩაშვილი დაიბადა 1890 წლის 2 მაისს ქალაქ ქუთაისში ვასილ პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილისა და ლუცია ყაუხჩიშვილის ოჯახში. ქუთაისელი კათოლიკე კოკოჩაშვილების ტრა-დიციისამებრ, აქაც განსაკუთრებული ყურადღება ექცე-ოდა შვილების სწორი მიმართულებით აღზრდას, მათს განათლებასა და კათოლიკეთა ნიშანდობლივი თვისებე-ბის (რწმენის ერთგულება, საქმისადმი პასუხისმგებლობა და ქველმოქმედება) ჩანერგვა-განვითარებას. ასეთ ოჯა-ხურ ატმოსფეროში აღიზარდა შალვა და მისი და-ძმები: თინათინი, გიორგი და არჩილი.

შალვა კოკოჩაშვილის სწავლისა და სამსახურეობ-რივი საქმიანობის ოფიციალური ქრონიკა ასეთია:

1908 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია;

1908-1910 წლებში სწავლობდა ქ. ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტში, 1910-1913 წლებ-ში კი - ქ. პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში.

1913 წლის 7 სექტემბერს მიენიჭა დიპლომით ექი-მის ხარისხი სამკერდე ნიშნის ტარების უფლებითა და სავალდებულო სამხედრო სამსახურით. დამთავრებისთა-

ნავე, როგორც სამხედრო ექიმი, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში;

1913-1914 წლებში მსახურობდა თურქეთის (ყაზახეთი) ქ. მერვის ადგილობრივი ლაზარეთის უმცროს ორდინატორად, ასევე – ქ. პეტერბურგის ბავშვთა კლინიკაში;

1914-1915 წლებში იყო მე-14 სათადარიგო საარტილერიო პოლკის უფროსი ექიმი. მონაწილეობდა თურქებთან შეტაკებაში, მიიღო საბრძოლო დაზიანება, 1915 წლის მაისში ტყვია მოხვდა თავის არეში, რამაც კონტუზია გამოიწვია. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენით (ხმლებითა და ბაფთით);

1915-1918 წლებში ქ. მერვში მუშაობდა სათადარიგო პოლკის უფროს ექიმად;

1916 წელს მიენიჭა ტიტულოვანი მრჩევლის ჩინი;

1917 წელს სამხედრო მოქმედებებში სანიმუშო და თავდადებული შრომა-საქმიანობისათვის დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის II ხარისხის ორდენით (ხმლებითა და ბაფთით) და წმინდა ანნას III ხარისხის ორდენით (ხმლებითა და ბაფთით);

1918 წელს დაინიშნა შავი ზღვისპირეთის ფრონტის უფროს ექიმად;

1918 წელს მუშაობდა ქ. ქუთაისში სასკოლო სანიტარულ ექიმად, სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში პედიატრიის დარგში;

1919 წელს იყო დივიზიისა და ბატალიონის ექიმი;

1918-1920 წლებში ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის უმცროსი და უფროსი ორდინატორია;

1920 წელს დაბა აბასთუმანში მსახურობდა კლიმატური სადგურის უფროსად ექიმის თანამდებობაზე, ამავე დროს – აბასთუმნის ტუბსანატორიუმის დირექტორად;

1920-1927 წლებში იყო სკოლის ექიმი მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიაში (ქ. ქუთაისი);

1921-1937 წლებში პედიატრად მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის განყოფილებაში და აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებაში. იყო ქუთაისის ამბულატორიის ექიმი;

1926 წელს სამუშაოდ მიავლინეს ქ. ლენინგრადში ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებებში;

1925-1926 წლებში იყო ქუთაისის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე;

1926 წლის 15 ივლისს დაინიშნა ქ. ქუთაისის ტუბდისპანსერის პედიატრად. იმავე წელს შალვა კოკოჩაშვილის ინიციატივით შეიქმნა ქ. ქუთაისის ტუბერკულოზური დისპანსერის ბავშვთა განყოფილება (ბავშვთა კაბინეტს თავად ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე);

1931-1938 წლებში იყო ქუთაისის ქალაქის მთავარი პედიატრი;

1937-1938 წლებში შალვა კოკოჩაშვილის ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ბავშვთა პირველი საავადმყოფო, სადაც თავად მუშაობდა მთავარ ექიმად. ამ სამკურნალო დაწესებულებას საკუთარი სახსრებით შესძინა ბევრი რამ: მედიკამენტები, ინვენტარი, თეთრეული და სხვ.

გარდა ამისა, შალვა ექიმის უშუალო თაოსნობით ქუთაისის ბაგა-ბალებსა და სკოლებში პირველად მოეწყო ორგანიზებული ჭლექსანინააღმდეგო აცრები. მან შეიმუშავა და იყენებდა ბავშვთა კუჭ-ნაწლავის დაავადების ბაქტერიოფაგით მკურნალობის ახალ მეთოდებს. ქალაქის პედიატრებთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ბაგა-ბალებში, სკოლებსა და პოლიკლინიკებში ბავშვთა ტუბერკულოზის პროფილაქტიკისა და დაავადებასთან პრძოლის საქმეში.

ასეთია შალვა კოკოჩაშვილის შრომითი საქმიანობის ძირითადი ოფიციალური ნუსხა, მაგრამ ამ მშრალი სტატისტიკის მიღმა დგას მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გულმოწყალე ადამიანი, რომლისთვისაც უფალმა არ დაიშურა სულიერი და ფიზიკური მომხიბვლელობა: „როგორ უხდებოდა ქუთაისის ლამაზ ქუჩებს თავადაც ლამაზი ექიმი, შემართული, თავაწეული, მომღიმარე, ცისფერთვალება, მუდამ სადღაც რომ მიიჩქაროდა, მაგრამ არცერთი ნაცნობი არ გამორჩებოდა მისალმებისა და თბილი მოკითხვის გარეშე“ (ვერა თოფურიას მოგონებებიდან).

შალვა კოკოჩაშვილის, როგორც პიროვნებისა და საუკეთესო ექიმის, ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებულია მშობლების როლი.

შალვას მამა – ვასილ პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი სახალხო მოსამართლე იყო, დიდად განსაზღვლული იურისატი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ჩინებული მცოდნე. მუშაობდა მოსამართლედ, ნოტარიუსად. მისი ლექსიკა მდიდარი იყო გონებამახვი-

ლობითა და ხუმრობებით. საოჯახო არქივში ვასილ კო-კოჩაშვილის კორესპონდენციაში, სამუშაო და პირად სა-ბუთებში ბევრი საგულისხმო ფაქტია წარმოდგენილი.

დატვირთული სამუშაოს მიუხედავად, ვასილი დიდ მონანილეობას იღებდა შვილების აღზრდაში: უტარებდა ლიტერატურულ საღამოებს, აცნობდა შოთა რუსთა-ველს; ასევე ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან გატაცებით უკითხავდა სა-უკეთესო ადგილებს. შემდეგ ბავშვებს სათითოოდ წაა-კითხებდა და მათ თავის აზრს გამოათქმევინებდა წა-კითხულის შესახებ. ამით შვილებს ასწავლიდა მშობლიუ-რი ენის სიყვარულს, დამოუკიდებელ აზროვნებასა და ქართულად სწორ მეტყველებას.

შალვას ძმა გიორგი იხსენებდა: „მახსოვს მამაჩე-მი, რომელსაც კარგი დიქცია ჰქონდა, საღამოობით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს გვიკითხავდა. არ დამავიწყდება მის მიერ შთამბეჭდავად წაკითხული „გლახის ნა-ამბობი“, „კაცია-ადამიანი!?", „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“. ასეთი საღამოები ჩვენთვის მეორე სასწავ-ლებელი იყო“.

შალვას დედა – ლუცია ყაუხჩიშვილი, ფრიად განათლებული ქალბატონი, ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს, ჩინებულად იცოდა ლიტერატურა და მუსიკა. დედამ ხელოვნების სიყვარული შვილებსაც შთაუნერგა ადრეული ბავშვობიდან.

ქალბატონი ლუცია თავის დასთან – ცნობილ პედა-გოგ მარიამ ყაუხჩიშვილთან ერთად განსაკუთრე-

ბით ზრუნავდა ზაქარია ფალიაშვილზე, რომელიც კოკოჩაშვილების ოჯახში „ბლუტტერის“ პიანინოზე მეცადინეობდა. ზაქარია და ივანე ფალიაშვილები ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. მათი საოცარი შესრულება ბავშვებს უფრო მეტად უძლიერებდა მუსიკის შესწავლის ინტერესს.

ვასილის შვილებმა მშობლებს მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა სთხოვეს. მშობლებმა სიამოვნებით შეუსრულეს თხოვნა და უყიდეს ინსტრუმენტები: შალვას – ბალალაკა, გოგის – მანდოლინა, არჩილს – ვიოლინო. ძმებს მათი ტოლი ბიძაშვილები: ვანდა (ფორტეპიანოსთან) და კონია კოკოჩაშვილებიც შეუერთდნენ, მეგობრები – დავითი და ალიოზი მღეროდნენ. საოჯახო წრეში პატარა ორკესტრი ხშირად მართავდა კონცერტებს... უფროსი თაობის წარმომადგენლებიც სიამოვნებით მონაწილეობდნენ ამ მუსიკალურ საღამოებში.

ვასილ და ლუცია კოკოჩაშვილების ოჯახში დავანებული ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, ლიტერატურითა თუ ხელოვნების დარგებით გატაცება ტრადიციულად გაგრძელდა მათი შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებაშიც.

შალვა დაქორწინდა კახელი თავადის ასულზე – ნინო ჩოლოყაშვილზე. შეეძინათ ოთხი შვილი: თინათინი, რუსუდანი, ოთარი და გულნარა.

ნინო ალექსანდრეს ასული ჩოლოყაშვილი ქართული და რუსული ენების პედაგოგი იყო, განათლება მიიღო თბილისში, მუშაობდა თელავის სკოლაში. იგი სხვა საგნებთან ერთად მათემატიკასაც ასწავლიდა. ნინო არაჩვეულებრივი დიასახლისი გახლდათ. იცოდა კერვა, ქარ-

გვა, ქსოვა (მათ შორის, ფარდაგებისაც), ხეზე ხატვა, ფეხსაცმელების კერვა და შეკეთებაც. ნინოს მიერ მომზადებული კერძები ცნობილი იყო სანათესაოსა და მეგობართა წრეებში. უყვარდა გემრიელად მომზადება და უდიდეს უურადღებას აქცევდა სუფრის განყობისა და სერვირების წესებს. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ნინო (მართლმადიდებელ ოჯახში დაბადებული) ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლი გახდა, ქმარ-შვილებთან ერთად სისტემატურად დადიოდა ეკლესიაში.

ექიმ შალვას, მიუხედავად მრავალმხრივი მიმართულებით შრომა-საქმიანობისა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა დარგის ცნობილ მოღვაწეებთან. მათს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ: მედიცინის დოქტორი დიმიტრი ნაზარიშვილი, პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, მსახიობი ეფემია მესხი, მწერლები – ნინო და ილია ნაკაშიძეები, ენათმეცნიერი ვუკოლ ბერიძე, მხატვარი და გამომგონებელი დავით კაკაბაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერთებული ბერიძე და მრავალი სხვა.

შალვა კოკოჩაშვილი ფლობდა ფრანგულ, რუსულ, ლათინურ ენებს; იყო მრავალმხრივ განათლებული. ატარებდა შეხვედრებს, კითხულობდა საჯარო ლექციებს პედიატრიის, ტუბერკულოზის თავიდან აცილებისა და ბრძოლის ღონისძიებების, საექიმო-სანიტარული განათლების, ბუნებისმეტყველებისა და სხვა საკითხებზე. ყველა აღიარებდა, როგორც გამოცდილ პედიატრს. ბავშვთა საუკეთესო ექიმსა და იმავდროულად საინტერესო მოსაუბრეს. წიგნებით დატვირთული მოდიოდა შინ, ენა-

ფოდა როგორც სამედიცინო, ასევე მხატვრულ ლიტერატურას, აინტერესებდა ფილატელია. კოკოჩაშვილების საოჯახო ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი და ძალზედ საინტერესო იყო.

შალვა თავის მრავალწლიანსა და მდიდარ სამედიცინო გამოცდილებას ხშირად უზიარებდა ახალგაზრდა ექიმებს, სამედიცინო დარგში სამეცნიერო ნაშრომებისათვის ამზადებდა რეცენზიებს, კითხულობდა მოხსენებებს ქუთაისის ექიმთა საზოგადოებაში, ასევე ტუბერკულოზის საკითხებზე გამართულ კონგრესზე და სხვ. შალვას უმცროსი და თინათინი ტუბერკულოზით გარდაიცვალა 19 წლის ასაკში. ოჯახის ამ უდიდესმა ტრაგედიამ განაპირობა ექიმობისაკენ შალვას ლტოლვა და უდიდესი მონდომება ტუბერკულოზით დაავადებულთა კურნებაში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ექიმ შალვა კოკოჩაშვილის დაინტერესება საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმეებით, რაშიც მას ტოლს არ უდებდა მისი მეუღლე ქალბატონი ნინო. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქ. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში, შესწირეს მნიშვნელოვანი თანხა და საოჯახო რელიკვიური ნივთები.

შალვას ოჯახი ყოველთვის მონაწილეობდა დღე-სასწაულში – „გვირილობა“ და სხვა საქველმოქმედო საქმიანობაში. „გვირილობა“ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში დამკვიდრებული საქველმოქმედო დღესასწაული იყო და ტარდებოდა გაზაფხულზე დაავადებულთა დასახმარებლად. გვირილას, როგორც ბუნებ-

რივ ანტიბიოტიკს, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა ტუ-ბერკულოზთან ბრძოლაში.

ერთი დეტალიც: შალვა კოკოჩაშვილი წლების გან-მავლობაში საექიმო დახმარებას უწევდა მარიამ ყაუხ-ჩიშვილის სახელობის სასწავლებელს. მეცადინეობებს ატარებდა ჰიგიენის საკითხებზე, თავისი სახსრებით შე-უძინა სასწავლებელს ინვენტარი, სასწავლო-თვალსაჩი-ნო ნივთები...

შალვა კოკოჩაშვილმა საინტერესოდ და ნაყოფიერად განვლო ცხოვრების გზა. მის პროფესიულ საქმიანობას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ქველმოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ სამეცნიერო წრეებში, ხელისუფლე-ბის ორგანოებში. სწორედ განსაკუთრებული დამსახურე-ბისათვის **1951** წელს დააჯილდოვეს იმ დროისათვის ქვეყ-ნის უმაღლესი ჯილდოთი – ლენინის ორდენით.

შალვა კოკოჩაშვილი გარდაიცვალა **1955** წელს, **20** მარტს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სა-საფლაოზე. ჭეშმარიტად ვალმოხდილი წავიდა იგი ამ ქვეყნიდან, თან გაიყოლა უსაზღვრო სიტბო-სიყვარული, გულწრფელი მადლიერება.

შალვა ვასილის ძე კოკოჩაშვილი თანამედროვეთა მეხსიერებაში დარჩა ამ საოცარი ადამიანის პიროვნული და პროფესიული თვისებებით: ათლეტური აღნაგობის ახოვანი, ვაჟკაცური, ძალზე მიმზიდველი, ცისფერთვა-ლება ექიმი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულის-ხმიერებითა და ყურადღებით... მოუსვენარი ბუნებითა და დაუცხრომელი ენერგიით, დაუზარელი და მშრომელი, დახმარებისათვის ყოველთვის მზადმყოფი ადამიანი...

ქუთაისში მის თანამედროვეებს ახსოვთ ექიმის სახლი და მ. ლერმონტოვის ქუჩა № 16, რომელიც მუდამ სავსე იყო ეტლებითა და ჩარდახიანი ურმებით.

შალვა კოკოჩაშვილის სიცოცხლე კვლავ გრძელდება მის შთამომავლებში, თანამედროვეთა მოგონებებში.

თთარ შალვას ძე კოკოჩაშვილი (მეცნიერი, ინჟინერი, გამომგონებელი, ლექტორი, პოეტი): „დილიდან შუადღემდე რაიონებიდან, სოფლებიდან მოჰყავდათ პაციენტები. ექიმი ყველასთვის პოულობდა დროს. ვისაც მოსვლა უჭირდა, უძლურთან თავად მიდიოდა; თუკი შორეულ სოფელში ცხოვრობდა ურმით ან ეტლით მგზავრობდა. ხშირად მიჰყავდათ რაიონებში.

პაციენტისგან გასამრჯელოს არ იღებდა, პირიქით, მათ ფულითა და წამლებითაც ეხმარებოდა, განსაკუთრებით ღარიბებს უმართავდა ხელს.

...ერთხელ მამას საგადასახადო უწყისი მოუტანეს, სადაც ძალიან დიდი თანხა იყო მითითებული. მამამ „ფინგანს“ (საფინანსო განყოფილებას) მიაკითხა და უფროსს მის თანამშრომლებთან ერთად მხოლოდ ერთი კითხვით მიმართა:

– როცა მოვდივარ და თქვენს ბავშვებს ვმკურნალობ, ფულს მაძლევთ თუ არა?

– ბატონო შალვა, თქვენ არ იღებთ ფულს, – ერთხმად უპასუხეს „ფინგანის“ წარმომადგენლებმა.

– მაშინ რატომ წარმომიდგინეთ ამდენი გადასახადი?

- ბატონიშვილი, იმიტომ, რომ ყველაზე მეტი რეცეპტი თქვენგან არის გაცემული.
- ამ რეცეპტებში თქვენი ოჯახების რეცეპტებიც ხომ შედის?

– რასაკვირველია, – უპასუხა უფროსმა.

– მაშინ გადაეცით თქვენს დაწესებულებას, რომ შალვა კოკოჩაშვილი უფასოდ აღარავის მიიღებს. ეს საგადასახადო უწყისი და თანხა, რომელიც თქვენ წარმომიდგინეთ, იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ჩემი შემოსავალი. ყველას გადასახადს გამოვართმევ, უფასოდაც აღარავის ვუმკურნალებ...

მამა „ფინგანიდან“ სახლში დაბრუნდა.

ნახევარი საათიც კი არ იყო გასული, რომ „ფინგანიდან“ წარმომადგენელი მოვიდა და მოუტანა სრულიად ახალი და გასწორებული საგადასახადო უწყისი“.

კიდევ ერთი სევდიანი მოგონება:

„საერთოდ მამა საჩუქრებს არასდროს არ იღებდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა მუსულმანი ოქრომჭედელი მოვიდა მამასთან და თავისი სნეული შვილი ანიფი მოუყვანა გასასინჯად (მას შალვა ექიმი ადრეც მკურნალობდა, მაგრამ საბრალო ბავშვს უკურნებელი სენი სჭირდა). შალვა ექიმმა ბავშვი გასინჯა და დაღვრემილმა მშობელს უთხრა, რომ უმძიმესი ავადმყოფობა აქვს და რამდენიმე დღეში გარდაიცვლებაო, ვერაფრით ვერ ვუშველიო...

გავიდა რამდენიმე დღე და ბავშვის მამამ შეატყობინა შალვა ექიმს შვილის დაღუპვა. ცოტა ხნის შემდეგ კი ექიმს ოქრომჭედელმა მამამ საჩუქარი მოუტანა. შალვამ სასტიკუ უარი განუცხადა. უარმა პაციენტის მამა ძალი-

ან გაანაწყენა. ძალა დაატანა ექიმს: აქედან არ წავალ, თუ ამ საჩუქარს არ დაიტოვებ, ჩემი ხელით გავაკეთე ბავშვის სამახსოვროდო.

ექიმმა გახსნა საჩუქარი. ეს იყო ხელნაკეთი ვერცხლის საჭიქე. იმ დღიდან ჩაის მხოლოდ ამით სვამდა.

საჭიქეზე რელიეფური გამოსახულებაა, რომელზეც ბოროტვალება საზარელი არსება—სნეულებაა ამოტვიფრული, მის წინ კი — საბრძოლო სამოსითა და ჩაფხუტით, ცხენზე ამხედრებული ხმალამოლებული შალვა ექიმი. საჭიქეზე წარწერაა: „სახსოვრად ექიმ კოკოჩაშვილს დაუვიწყარი ანიფის ხსოვნისათვის“.

დიდი ტრადიციების მქონე ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა შალვა კოკოჩაშვილმა გააგრძელა წინაპართა ტრადიცია და მისი ცხოვრების ყველაზე დიდი საქმე სნეულთა დახმარება გახდა.

დიდმა ბაბუამ, ივანე კოკოჩაშვილმა საექიმო და სააფთიაქო საქმე იცოდა, ბაბუამ — პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა 1860 წელს ქუთაისში პირველი აფთიაქი დაარსა (აფთიაქი ბაზართან, ვასილის სახლის ქვეშ იყო განთავსებული). პეტრე-პავლემ ქუთაისში მოაწყო სურნელოვანი სასმელი წყლის პირველი ქარხანა. მან აქ დაასაქმა მოზარდი მიტროფანე ლალიძე, შემდგომ შეგირდად აიყვანა და კოკოჩაშვილების ტკბილი წყლის რეცეპტიც ასწავლა.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„ეს დიდი სამახსოვრო საქმეა ქართველის კაცისგან. მის მერე სააფთიაქო მაღაზია, მის მერე სამაგალითოდ მოხერხებული სუნოვან სასმელ წყლის ქარხანა, მარ-

თლაცა და სამაგალითო იყო და არის კიდევაც მთელ მხარეში.“

აფთიაქი მთავრობამ წაიღო.

ოთარის მოგონება: „საპჭოთა კავშირის პერიოდში ექიმის ოჯახს წამლები უფასოდ ეძლეოდა. როცა შალვა მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში მკურნალად მუშაობდა, აფთიაქიდან გამოჰქონდა წამლები და ბავშვებს ურიგებდა. მამაჩემი სკოლაში ხშირად დადიოდა და სისტემატურად სინჯავდა მოსწავლეებს, ყველას უფასოდ მკურნალობდა თავისი ნებით.

პირველად ვცხოვრობდით ქ. ქუთაისში ძველი სადგურის ახლოს. მამა მთავარი ექიმი იყო და ჰოსპიტალში ვცხოვრობდით. მერე გადავედით ჯაფარიძის ქუჩაზე (ახლა გელათის შესახვევია). ბოლო ჩვენი საცხოვრებელი სახლი რუსთაველზე იყო. ქუთაისში ებრაელების უბანში დიდი ხანძარი გაჩნდა. რუსთაველზე მაშინ ჩვენი სახლი დაიწვა, დიდი ზარალი მიაყენა ოჯახს ხანძარმა. როცა სახლი დაიწვა, შალვა ოჯახით ცალკე ცხოვრობდა. ხანძრის ქრობისას ზოგიერთნი ვითომ გვეხმარებოდნენ, სინამდვილეში კი ბევრი რამ მოიპარეს. ჯაფარიძის ქუჩაზე, კომუნისტების დროს გაქცეული ებრაელების ბინა მთავრობას დარჩა. გოგი და არჩილი თბილისში იყვნენ. არჩილი თბილისში ცხოვრობდა, გოგი-მარიამთან. მარიამ ყაუხჩიშვილს ჰქონდა 2 ოთახი, იქვე იყო ბიბლიოთეკა. 1928-1955 წლებში ჩვენ ტიციან ტაბიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით.

როგორც ქართველთა უმეტეს ოჯახებს, 1937 წელი ჩვენთვისაც საშინელი იყო....

იმ ავადსახსენებელ წელს სახლიდან გაიყვანეს შალვას უმცროსი ძმა, არჩილ კოკოჩაშვილი, უნიჭიერესი მუსიკოსი-მევიოლინე, იგი 1938 წელს დაიღუპა.

ბევრი გაჭირვება გადაიტანა ჩვენმა ოჯახმა ომიანობის პერიოდშიც. დედა ომის წლებში აფთიაქისათვის ამზადებდა წამლებისა და სამედიცინო ხელსაწყოებისათვის სპეციალურ ყუთებს, საგვარეულო ნივთებს საკვებში ცვლიდა“...

შალვა კოკოჩაშვილის ოჯახი ქუთაისში ცნობილი იყო თავისი დიდი სტუმართმოყვარეობით. ოჯახის ოთხი სტუდენტი შვილის (რუსუდანი და გულნარა-ექიმი პედი-ატრები, რუსუდანის ქალიშვილი ნინო ბოკერიაც ექიმია, თინათინი-ეკონომისტი, ოთარი-მეცნიერი, ინჟინერი, გამომგონებელი) მეგობრები ექიმ შალვას განსაკუთრებით უყვარდა და, როცა კი დროს გამონახავდა, ესაუბრებოდა. ახალგაზრდებს ბევრს ასწავლიდა, მათ შორის მომავალი ექიმებიც იყვნენ, ყველას თბილად მოიკითხავდა.

შალვას შვილიშვილი ინესა ისაკაძე იხსენებს, რომ ბაბუასთან ერთად ხშირად უსმენდა საოპერო მუსიკას. ბავშვობაში, შვილიშვილი შალვა და შალვას ძმის, არჩილის ვაჟი მერაბ კოკოჩაშვილი სიხარულით სტუმრობდნენ ქუთაისს, სწავლობდნენ და ერთობოდნენ ბაბუას სახლში.

ექიმ შალვა კოკოჩაშვილს ურიცხვი ბავშვი ჰყავს სიკვდილს გადარჩენილი და ჭეშმარიტად სახალხო ექიმად იყო აღიარებული.

მამაჩემს – ოთარის მოგვიანებითაც ხშირად ხვდებოდნენ შალვა ექიმის ყოფილი პაციენტები, მათი მშობლები

და ოჯახის წევრები. ისინი ახლაც მადლიერებით იგონებდნენ მას:

„– ბატონმა შალვამ მე სიცოცხლე მაჩუქა...

– ჩემი შვილი უიმედო პაციენტი იყო და სიცოცხლე გაუხანგრძლივა ექიმმა....

– მთელი ოჯახი შალვა ექიმს ვემადლიერებით, მისით გვედგა სული, ნამლებს გვჩუქნიდა...“

ოთარი სევდანარევი სიხარულით უსმენდა მათს ნაამპობსა და უამრავ სამადლობელო სიტყვას.

შალვა ექიმი ავადმყოფობით გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ექიმებმა ვერ უშველეს....

შალვა კოკოჩაშვილის სანათესაო და შთამომავლები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან. უმცროსი ძმა არჩილი მუსიკოსი იყო, მეორე ძმა გიორგი – მეცნიერი, ბიოლოგი; არჩილის ვაჟი მერაბ კოკოჩაშვილი სახელოვანი ქართველი კლასიკოსი კინორეჟისორი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქეა.

შალვა და ნინო კოკოჩაშვილების შთამომავლები:

თინათინის შვილები: შალვა ისაკაძე – მეცნიერი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ინესა ისაკაძე – ბიოლოგი.

რუსუდან შალვას ასული კოკოჩაშვილი – პროფესიით ექიმი – მეუღლე ვახტანგ ბოკერიასთან ერთად ოჯახით ცხოვრობდა მოსკოვში. მათი ქალიშვილი ნანა ბოკერიაც მედიცინის დარგის მუშაკია (ექიმი).

ოთარისა და ნელი ნიშნიანიძის შვილები: თამარი, შალვა და გიორგი კოკოჩაშვილები. ტყუპმა ძმებმა აირჩიეს მამის პროფესია – სამშენებლო ინჟინერია. არიან ავტორები წიგნებისა: „გამოგონებები და ინოვაციები ფარიკაობაში“ და „საოცარი ქუინი“. სწორედ ისინი აგრძელებენ გვარის გენეტიკური ხის ისტორიასაც. შალვას და გიორგის აქვთ 16-ზე მეტი საავტორო მოწმობა და პატენტი (საქართველოს და სსრკ), გამოგონებაზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საინჟინრო სფეროში. ალბათ ნიშანდობლივია, რომ შალვასა და გიორგის გამოგონებები სხვადასხვა სამედიცინო დარგსაც მოიცავს: ქირურგია, თვალის ქუთუთოების პლასტიკური ქირურგია, დამწვრობა, ნილის თერაპია, აბაზანების ახალი მოდელები, უროლოგია, ქირურგიული და დამწვრობის მკურნალობისა და მოვლის მოწყობილობები, და სხვ.

გულნარას შვილები: სვეტლანა (პიანისტი, მუსიკოსი), ნინო (კიბერნეტიკოსი), ვახტანგი (მწვრთნელი, სპორტული უურნალისტი), თამარი (მედიცინის მუშავი) – ნებიერიძეები.

ექიმ შალვა კოკოჩაშვილის სახელი, როგორც მაღალკვალიფიციური მკურნალის, საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედისა, ფართოდ იყო ცნობილი საქართველოში, რისთვისაც იგი გულწრფელად შეიყვარა ხალხმა. ქვეყნისა და რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა. ექიმი შალვა კოკოჩაშვილი ჯანდაცვის განვითარების, სამედიცინო სამ-

სახურში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აღიარებული იყო სახალხო ექიმად.

მისი სახელის უკვდავსაყოფად ქუთაისის სახალხო დეპუტატთა ლენინის რაიონულ საბჭოს მომზადებული ჰქონდა დადგენილება ექიმ შალვა კოკოჩაშვილის სახელის მინიჭებისა ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოსთვის, ქუთაისის ტუბდისპანსერის, რაიონის ერთ-ერთი საბავშვო ბალის, რომელიმე ქუჩისათვის.

დღეს სახლის ფასადზე, ტიციან ტაბიძის ქუჩა №5 (რომლის წინ მუდამ იდგა ეტლებითა და შორეული სოფ-ლებიდან ჩარდახიანი ურმებით ჩამოყვანილ ავადმყოფთა გრძელი რიგი), მემორიალური დაფაა წარწერით: „ამ სახლში 1928-1955 წლებში ცხოვრობდა დამსახურებული ექიმი-პედიატრი შალვა გასილის ძე კოკოჩაშვილი“.

ბაბუა შალვას შესახებ ჩვენს საუბარს ვამთავრებთ ქალბატონ ვერა თოფურიას სიტყვებით: „რარიგ სჭირდება დღეს საქართველოს ასეთი გულის-ხმიერი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ასეთი გულმოწყალე ადამიანები“.

ვინ იცის, რამდენი პაციენტი განკურნა გულმოწყალე
ექიმმა და კიდევ რამდენი პატარას სიცოცხლე
გადაარჩინა...

კატრინ სანდ (ქეთინო მაჭავარიანი)

(მუსიკოსი, გულნარა კოკოჩაშვილის შვილიშვილი)

გულნარა შალეა ასული ქოქოხაშვილი სავსე თავთავს თავი დახრილი აქვს

ქუთაისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ამონა-ნერში ვკითხულობთ: ქალაქ ქუთაისში, შალვა კოკოჩაშვილისა და თავადის ასული ნინო ჩოლოყაშვილის ოჯახში 1919 წლის 19 აპრილს დაიბადა თამარი, ელენე (ნათლობის სახელები), გულნარა კოკოჩაშვილი. როგორც თავად ნერდა თავის ბიოგრაფიაში, გულნარამ ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა 1936 წელს დაამთავრა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წლის ივნისში დაამთავრა.

გულნარა კოკოჩაშვილმა 1941 წლის ივლისში ქ. თბილისის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა. ოჯახური პირობების გამო საცხოვრებლად გადავიდა ქ. ქუთაისში და 1944 წლის 1 აპრილს ქუთაისის საევაკუაციო ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა. მან აქ მიიღო პრაქტიკული გამოცდილება – თერაპიული მკურნალობის გარდა, ქირურგიულ ოპერაციებსაც ატარებდა, გაკეთებული აქვს კიდურების ამპუტაციებიც... ვინაიდან ჰოსპიტალი დაიხურა, ჯანდაცვის განყოფილების უფროსის განკარგულებით, 1945 წლის 1 მაისს ის გაამწესეს ბავშვთა პირველ კონსულტაციაში (შემდგომში ბავშვთა მეორე პოლიკლინიკა), სადაც 1962 წლის 16 ნოემბრამდე აგრძელებდა მუშაობას. 1962 წლის 15 ოქტომბრიდან გულნარა სამუშაოდ პირველ ბაგა-ბალში გადავიდა. 1969 წლის პირველი ნოემბრიდან მუშაობა დაიწყო ბავშვთა

მეორე პოლიკლინიკაში უბნის ექიმის სრულ განაკვეთზე და პარალელურად მუშაობას აგრძელებდა ბაგაბალშიც ნახევარ განაკვეთზე. მოგვიანებით მუშაობდა ბავშვთა პირველ პოლიკლინიკაში.

1946 წლის 16 ოქტომბერს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თავდადებული შრომისათვის, მედლით დაჯილდოვდა. 1975 წლის პირველ ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა. მიღებული აქვს საპატიო სიგელები და ჯილდოები.

გულნარა ექიმი

ქუთაისში გულნარა კოკოჩაშვილის სახელი ლეგენდად იყო ქცეული. მე თავადაც მჯეროდა, რომ ჩვენი ბებო ყოვლისშემძლე ექიმი იყო. პაციენტებს დღე-ლამის ნებისმიერ დროს დახმარებას აღმოუჩენდა. ზოგჯერ მშობლებს შვილის გადასარჩენად ის ლამის საათებში მაღალმთიან რეგიონებში მიჰყავდათ. უბანში პაციენტებს თავად აკითხავდა და, თუკი ავადმყოფ ბავშვს ეძინა, არ გააღვიძებდა, დაელოდებოდა. გულნარას ჰქონდა იშვიათი პროფესიული ალლო. ეპოქაში, როდესაც არ არსებობდა სამედიცინო სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიები, ექიმის უნარს, დაესვა სწორი დიაგნოზი, უზარმაზარი როლი ენიჭებოდა. როდესაც რომელიმე ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებაში სიმპტომების მიზეზის დადგენა ვერ ხერხდებოდა, კონსულტაციისთვის გულნარას იწვევდნენ, რადგან ის ცნობილი იყო თავისი ზუსტი და უტყუარი დიაგნოზებით. გულნარას ექიმად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მამამ – შალვა კოკოჩაშვილმა. დედაჩემისგან – სვეტლანა ნებიერიძისგან –

მსმენია, რომ გულნარამ, მამის ხელშეწყობით, დიდი პროფესიული გამოცდილება მიიღო. როცა შალვა კოკო-ჩაშვილი რთული და იშვიათი სნეულებით დაავადებულ ბავშვს მკურნალობდა, ქალიშვილს სთხოვდა პაციენტი გაესინჯა და აზრი გამოეთქვა. შემდეგ მამა გულნარას მითითებებს აძლევდა და ამგვარად ეხმარებოდა მას პროფესიული უნარების წვრთნაში.

გულნარა იყო საუკეთესო ექიმი და კე-თილშობილი ადამიანი. მისთვის ძალიან შეურაცხებულები იყო კოლეგის, მეგობრის, მეზობლის თუ ნაცნობის მცდელობაც კი, გადაეხადა გასამრჯელო.

რამდენიმე წლის წინ სოციალურ ქსელში უცხოეთიდან ხანდაზმული მამაკაცი შემეხმიანა. გულნარას და ვახტანგის ამბავი მყითხა, მერე დასძინა: გულნარა შალვას ასული „ღმერთისგან მოვლენილი ექიმი“ იყო.

სხვების მკურნალი საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან იღლებოდა, მაგრამ არასოდეს დაიჩივლებდა.

ქალიშვილი ნანიკო ნებიერიძე იგონებდა: „მაშინ სკოლაში ვსწავლობდით. ვიცოდით, დედა სახლში გვიან ბრუნდებოდა. მე და სვეტამ სადილი გავაკეთეთ და სახლთან ახლოს გაჩერებაზე მის დასახვედრად მივედით. ისეთი დაღლილი იყო, რომ ავტობუსიდან ჩამოსულმა გვერდით ჩაგვიარა, მაგრამ ვერ შეგვამჩნია.“

პიროვნება

გულნარა გამოირჩეოდა ულამაზესი მეტყველებით. მშობლიური ქართულის გარდა, ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს. ის საოპერო ხელოვნების დიდი მეხოტბე იყო. ლამაზი ხმით და შესანიშნავი მუსიკალური

სმენით დაჯილდოებული, საოჯახო კონცერტებზე კლა-სიკოსების უკვდავ არიებს ასრულებდა. უყვარდა კალმანის ოპერეტა, სილვა. მას დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა და როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურას გა-ტაცებით კითხულობდა. მოსწონდა ფიგურული სრიალი, უყვარდა ცხოველები და ზრუნავდა მათზე. ის კეთილი, ზრდილობიანი, თავმდაბალი, უანგარო, მორიდებული და ძალზედ მოკრძალებული იყო. გულნარას სისადავე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მის ღამაზ ხელებს ამშვე-ნებდა მხოლოდ მთის ბროლით შემკული ოქროს ბეჭედი, პატარა საყურეებს ატარებდა და სხვა სამკაული არასო-დეს მინახავს მასზე. ბებო გულნარა გვეუბნებოდა: “სავსე თავთავს თავი დახრილი აქვს“.

ის ძალიან სტუმართმოყვარე იყო და ათეული წლე-ბის განმავლობაში მრავალ ადამიანს უმასპინძლა. განსა-კუთრებით ხარობდა, როცა საყვარელი ძმა და დები: ოთარი, თინა და რუსიკო ესტუმრებოდნენ.

გულნარას დაქორწინების შემდეგ გვარი არ შეუც-ვლია. შალვა კოკოჩაშვილის ქალიშვილი, დიდი პატივის-ცემის ნიშნად, სიცოცხლის ბოლომდე მამის გვარს ატა-რებდა. ის თავისი ცხოვრების წესით განსწავლულ, ძლი-ერ, თანასწორუფლებიან, დამოუკიდებელ ქართველ ქალს განასახიერებდა და ქართულ-ევროპულ ლირებუ-ლებებზე აღზრდილი ადამიანის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა.

გულნარა პარტიის წევრი არ იყო და თანამდებო-ბისკენ არ ილტვოდა.

ადამიანების მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო. გულნარას ბიძა, შალვას ძმა, გიორგი კოკოჩაშვი-ლი ქუთაისში ცხოვრობდა. ის საგანმანათლებლო და

სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ძია გოგი პროფესიით ზოოლოგი იყო და იკვლევდა დასავლეთ საქართველოს ფაუნას, კერძოდ მოლუსკებს. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის გარდა, მან გამოსცა წიგნი, რაპანა. როცა ძია გოგი ხანში შევიდა და ავადმყოფობა მოერია, სამსახურიდან მოსული გულნარა, უპირველეს ყოვლისა, მას მოინახულებდა და აუცილებლად სადილს მიუტანდა. თქვენობით მიმართავდა და უაღრესი პატივისცემის გრძნობით ეპყრობოდა.

საორლანო მუსიკის დარბაზი

კათოლიკური ეკლესიის შესახებ პირველად ოთხმოციან წლებში შევიტყვე.

ფორტეპიანოს მასწავლებელმა მითხრა, რომ კონცერტი საორლანო მუსიკის დარბაზში უნდა ჩაგვეტარებინა. როცა ეს ამბავი გულნარას და ვახტანგს გავუზიარე, მათ სახეებზე ჩემთვის მანამდე უცნობი გამომეტყველება შევნიშნე. გულნარამ მითხრა: "შვილო, საორლანო მუსიკის დარბაზი ადრე კათოლიკური ეკლესია იყო. ხომ იცი, ჩვენ კათოლიკეები ვიყავით. როცა მიხვალ, ნახე, ერთ-ერთ მერხზე ჩვენი გვარი კოკოჩაშვილი უნდა ეწეროს და იქვე ახლოს იქნება ნებიერიძეების მერხიც." ამ სიახლემ დამაფრთიანა და დარბაზში სარეპეტიციოდ მისულმა ყველა კუთხე-კუნძული მოვიარე. ამაო აღმოჩნდა ჩემი მცდელობა, გვარები – კოკოჩაშვილი და ნებიერიძე – ვერსად ვიპოვე. საპჭოთა ეპოქას წაეშალა ისტორიის კვალი. როცა სახლში დაბრუნებულმა ეს ამბავი გულნარას და ვახტანგს ვუთხარი, მათ სახეებზე კვალავ შევნიშნე გარდასულ ეპოქასთან განშორების სინანული.

ისინი ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ბავშვობის შემდეგ მშობლიურ ტაძარში აღარ შესულან.

გარდაცვალება

გარდაცვალებამდე გულნარა ავადმყოფობდა და პაციენტებს ვეღარ ღებულობდა. მიუხედავად ამისა, მის კართან წლების განმავლობაში მოდიოდნენ მშობლები, რომელთაც უჭირდათ დაჯერება, რომ ექიმს აღარ შეეძლო მათი შვილების მკურნალობა.

გულნარა კოკოჩაშვილმა თავისი ცხოვრება ადამიანების კეთილდღეობას მიუძღვნა. ხშირად იმეორებდა: "რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია!"

გულნარა კოკოჩაშვილი გარდაიცვალა 1991 წლის დეკემბერში. დაკრძალულია ქუთაისში, საფიქსიის სასაფლაოზე, მეუღლის – ვახტანგ ნეპიერიძის გვერდით.

ექიმ პედიატრთა საზოგადოებამ, ბავშვთა პირველმა პოლიკლინიკამ და ბავშვთა საავადმყოფომ ნეკროლოგში დაწერეს: „მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავდი. შენი საქმისათვის ერთი დღითაც არ გიღალატნია. მუდამ შეგეძლო ღარიბისა და გაჭირვებულის თანადგომა, სხვისი სატკივარის გულთან ახლოს მიტანა. შენი პატიოსნებით, მშვიდი, კეთილი ბუნებით ყველასგან გამოირჩეოდი. წლების მანძილზე ემსახურებოდი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას ქ. ქუთაისში, რისთვისაც ღირსეულად მიიღე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება. უფალმა ღმერთმა მოგცეს მარადიული ნეტარება. მშვიდად იძინე, ჩვენო საყვარელო გულნარა."

სიყვარულით, კატრინ სანდ

2024, თებერვალი

ხ ე ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი

ლევან ბეგიშვილი

ს ი მ თ ნ ი ვ ა ნ ე ს მ ე ხ ე ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი ხეჩინაშვილების საექიმო დინასტიის შესახებ. ამ დინასტიის ფუძემდებელი სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილი (ხეჩინოვი). დაიბადა **1859** წელს ქ. ახალციხეში. მალევე ოჯახი ქუთაისში გადმოვიდა საცხოვრებლად და პატარა სიმონიც იქვე შეიყვანეს კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1879 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. იმავე წელს მან სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მოსკოვში სწავლის დროს ის ერთხანს გატაცებული იყო რუსეთის მონინავე ინტელიგენციის იდეებით და აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა გამოსვლებში მეფის თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ, რის გამოც დროებით გარიცხულიც კი ყოფილა უნივერსიტეტიდან.

1884 წელს, უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იგი, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი ექიმი, იქვე დატოვეს ორდინატორად პროფესორ ზახარი-ნის კლინიკაში, სადაც სამი წელი იმუშავა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა ნაად-

რევად დაბრუნებულიყო სამშობლოში და აქ, ქუთაისში, განეგრძო სამედიცინო საქმიანობა.

სიმონი თავიდან იოსებ ოცხელმა მიიწვია თავის გიმნაზიაში სამუშაოდ. ახალგაზრდა ექიმმა სიამოვნებით მიიღო ეს შემოთავაზება, თუმცა ხელფასზე უარი თქვა და სიცოცხლის ბოლომდე უფასოდ ემსახურებოდა გიმნაზიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. აქედან მოყოლებული, სიმონ ხეჩინაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ენეოდა უაღრესად დიდ ქველმოქმედებას: უსასყიდლოდ ემსახურებოდა მთელი გუბერნიის მოსახლეობას; მასთან სამკურნალოდ მოდიოდნენ სხვა-დასხვა ქალაქისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობა, რომლებსაც ის, მკურნალობის გარდა, წამლებსაც უფასოდ აძლევდა; თვეში ორჯერ თვითონ მიდიოდა გურიასა და სამეგრელოში, სადაც უსასყიდლოდ მკურნალობდა ხალხს; 25 წლის მანძილზე (1892-1917წწ.) ანარმოებდა ავადმყოფთა უფასო მიღებას ქუთაისის საგუბერნიო ამბულატორიაში; ასევე, მრავალი წლის მანძილზე უფასოდ ემსახურებოდა ქუთაისის დრამატული თეატრის მსახიობებს, რომლებთანაც ყოველთვის ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და მათ სხვა მხრივაც ეხმარებოდა. მწერალ მამია ასათიანს თავისი წიგნის – („გეგუთის ძელქვები, თბ., 1968) ერთ-ერთ ნოველაში, სიმონ ხეჩინაშვილისა და თეატრალური დასის მსახიობთა მეგობრობის ერთი ასეთი შემთხვევაც აქვს აღწერილი:

„ . . . ერთ დღეს ქუთაისის დასის მსახიობებს უქიიფნიათ, ღამე გაუთევიათ და დილით „ფილიმონასთან“ ხაშზე შესულან. როგორც ჩანს, ბევრნი ყოფილან, ფული კი არ ჰქონიათ. გრიგოლ ჩარკვიანისთვის დაუვალებიათ,

„სიმონთან შედი, უთხარი, ავად ვარ-თქო. თუ კარგ გუნებაზე იყოს, წაეხუმრე და ერთი ოქროს თუმნიანი იქნებ შენსკენ გადმოაგდებინოო.“ იმ დღეს სიმონი ცუდ ხასიათზე ყოფილა, თანაც გრიგოლის ხუმრობა ვერ გაუგია, ცუდლუტობად ჩაუთვლია და გაჯავრებულა.

— თვალით არ დამენახოო! — უყვირნია თურმე. გრიგოლიც ცივად გამოძუნძულებულა გარეთ.

შემდეგ სიმონი დაფიქრებულა. მიმხვდარა, ალბათ, მსახიობებმა გამოგზავნეს, ფული დასჭირდათ, გაჭირვებაში ჩავარდნილან. ტანზე ჩაუცვამს, ფილომონასთან შესულა, ნახარჯიც გადაუხდია და მეორე დილის ხაშის საფასურიც წინასწარ დაუტოვებია.

— შენთვის კი, გრიგოლ, — მიუპრუნდა თურმე ჩარკვიანს, — არც ხუმრობის ნიჭი მიუცია დმერთს და არც ტირილისა, მე ვიფიქრე ცუდლუტობით გამალვიძე კაცი ამ ალიონზე”...

ბატონი სიმონი იყო აგრეთვე „ხელმოკლე სტუდენტთა დახმარების საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე. ამ საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ მისი მეუღლე-ქალბატონი ელიზავეტა ნიკოლოზის ასული ქუთათელაძე, ასევე ქველმოქმედებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ცოლ-ქმარი იყო ინიციატორი და ორგანიზატორი ამ საზოგადოების მიერ გამართული ყველა საქველმოქმედო ღონისძიებისა, რომლებიდანაც შემოსული თანხა ხმარდებოდა საზღვარგარეთ მყოფ შეჭირვებულ ქართველ სტუდენტებს. სხვადასხვა წლებში ამ საზოგადოების დახმარებით უსარგებლიათ შემდგომში ერის სასიქადულო შვილებს: კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობა-

ქიძეს, სპირიდონ კედიას, აკაკი პაპავას, ვიქტორ ნოზაძეს და სხვებს.

გარდა სამეცნიერო და პრაქტიკული სამკურნალო საქმიანობისა, ბატონი სიმონი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 16 წლის მანძილზე (1901–1917) მას განუწყვეტლივ ირჩევდნენ ქუთაისის „სამედიცინო საზოგადოების“ თავმჯდომარედ. სხდომებზე ხშირად გამოდიოდა სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებით, ახდენდა და ანარმოებდა საინტერესო სამედიცინო შემთხვევების დემონსტრირებას. ყოველი კულტურული წამოწყება ქუთაისისა და მთელს გუბერნიაში მიმდინარეობდა მისი უშუალო ხელძღვანელობით. იგი მუშაობდა კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიებში, კითხულობდა ლექციებს სანიტარული განათლებისა და ჰიგიენის საკითხებზე. მის მიერ დაწერილი სტატიები სათაურით „ექიმის საუბარი“ ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ქართულ და რუსულ ენებზე. ცოდნის გასაღრმავებლად და გამოცდილების გაზიარების მიზნით სიმონ ხეჩინაშვილი ხშირად მიემგზავრებოდა რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში, ეცნობოდა გამოჩენილი რუსი და ევროპელი კოლეგების მუშაობას.

1925 წელს სიმონ ხეჩინაშვილი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამკურნალოდ გაემგზავრა გერმანიაში, სადაც გაუკეთეს ოპერაცია. ოპერაციის შემდგომი გართულებების შედეგად იგი გარდაიცვალა, იქვე დასაფლავეს. რამდენიმე წლის შემდეგ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, უფროსმა ვაჟმა ნი-

კოლოზმა მამის ნეშტი ქუთაისში გადმოასვენა და საფიჩხიის სასაფლაოზე დაკრძალა.

ჭეშმარიტად დიდია სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილის ღვაწლი ქართული მედიცინის ისტორიაში. მან, როგორც ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების ხელმძღვანელმა, ბევრ საინტერესო წამოწყებას დაუდო სათავე; იმავდროულად მისი შრომისმოყვარეობა, პროფესიის ერთგულება და უშურველად გაღებული ქველმოქმედება მისაბაძი გახდა არა მხოლოდ ოჯახის წევრთათვის, არამედ ახალგაზრდა კოლეგებისთვისაც.

* * *

სიმონ ხეჩინაშვილს ღირსეული მემკვიდრეები დარჩენენ: უფროსი ვაჟი, **ნიკოლოზ სიმონის ძე**, ქუთაისში ცნობილი ექიმი იყო, ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული. ისიც მამასავით შესანიშნავი მკურნალი დადგა და დიდხანს ემსახურებოდა მოსახლეობას.

მეორე ვაჟიც, **სერგო სიმონის ძე** ექიმი იყო. მასაც ოდესის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მოსკოვში, იქიდან კი წავიდა ფრონტზე და დაიღუპა.

ხეჩინაშვილების საექიმო დინასტია გააგრძელეს სიმონ ივანეს ძის შვილიშვილებმა.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი

მეან-გინეკოლოგი ნიკოლოზ ხეჩინაშვილი დაიბადა 1923 წლის 25 ივლისს ქუთაისში, ცნობილი ექიმის ნიკოლოზ სიმონის ძე ხეჩინაშვილის ოჯახში. 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, და სწავლა გააგრძელა თბილისის სასელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1944 წლიდან, სამუშაოდ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა.

1943-1952 წლებში ნიკოლოზ ხეჩინაშვილი ქუთაის №1 სამშობიარო სახლის ექიმ-ორდინატორად მუშაობდა. 1952 წლიდან იგი დააწინაურეს ამავე სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის თანამდებობაზე, ხოლო 1955 წლიდან ქუთაისის ქალაქის №2 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი და ქალაქის მთავარი მეან-გინეკოლოგია.

ნიკოლოზ ხეჩინაშვილმა 1956 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე “პლაცენტის სისხლის მიმოქცევა”. იგი 1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდამდე აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ანატომია-ფიზილოგის კათედრის ასისტენტი და შემდგომ ამავე კათედრის დოცენტიც იყო.

შრომითი მიღწევებისათვის 1966 წელს დაჯილდოვდა სარ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საპატიო სიგელით, ასევე მიღებული ჰქონდა სიგელი

“1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში შრომითი მამა-ცობისთვის”.

1967 წელს ტრაგიკულმა შემთხვევამ ნა-ადრევად შეწყვიტა ახალგაზრდა ექიმის სიცოცხლე. დაკრძალულია ქ. ქუთაისში.

რევაზ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი – სიმონ ივანეს-ძე ხეჩინაშვილის უმცროსი შვილიშვილი, თბილისის სა-მედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და კათედრის გამგე იყო.

დიდი ბაბუას კვალს შვილთაშვილებიც გაჰყვნენ და ისინიც მედიცინის მუშაკები არიან:

თამარ რევაზის ასული ხეჩინაშვილი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მუშაობს სამედიცინო უნივერ-სიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრაზე.

გიორგი ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია და წარმატებით მოღვაწეობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში. ხეჩინაშვი-ლების საექიმო დინასტიას დღესაც ჰყავს არაერთი სახე-ლოვანი წარმომადგენელი.

სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი

ოტორინოლარინგოლოგი სიმონ ხეჩინაშვილი (ბაბუა სიმონ ივანეს ძის სეხნია, შვილიშვილი) დაიბადა 1919 წლის 26 ნოემბერს ქუთაისში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1941 წელს – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. 1942-1946 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიურ კლინიკაში, 1947-1954 წლებში კი – მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ივანე ბერიტაშვილთან ერთად (1979 წლიდან ის ამ ინსტიტუტის რექტორია). პარალელურად მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტშიც.

სიმონ ხეჩინიშვილის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენდა: ადამიანის სმენისა და ვესტიბულატორული ფუნქციები, ყურისა და ხორხის ქირურგიული საკითხები, ოტოსკლეროზის დროს სმენის გასაუმჯობესებელი ოპერაციების სრულყოფა და მისი პრაქტიკაში დანერგვა (რისთვისაც 1964 წელს მიენიჭა საკავშირო ლენინური პრემია). 1952 წლიდან ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, 1953 წლიდან – პროფესორი.

საქვეყნოდ ცნობილ ექიმს, მეცნიერს – სიმონ ხეჩინაშვილს 1955 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1980 წელს – აკადემიკოსის წოდება; 1972 წლიდან იყო საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, 1982 წლიდან – საბჭოთა კავშირის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილს იცნობდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ასე მაგალითად, ის იყო ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და გერმანის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი, ასევე ბულგარეთის, ჩეხეთის, უნგრეთის ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოებების საპატიო წევრი....

ხანდაზმულობის მიუხედავად, ბატონი სიმონი ბოლოდრომდე ინარჩუნებდა ახალგაზრდულ შემართებას, ემსახურებოდა სამამულო მედიცინას და თავის ავადმყოფებს.

საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და ექიმი სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი გარდაიცვალა **2010** წელს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

უუუუნა ფეიქრიშვილი

ქასალები

სიმთხ ნიკოს ქეჩინიშვილის

ბიბი გენული ბორტქეტისათვის

„დიდი მეცნიერი, სიმონ ხეჩინაშვილი

90 წლისაა“

გაზეთი „კვირის პალიტრა“,
2009, 7-13 დეკემბერი

„მათი სახლის კარი სტუმრისათვის მუდამ ღია იყო. კვირა ისე როგორ გავიდოდა, რამდენჯერმე არ გაშლილიყო სუფრა მეგობრებისათვის. უყვარდათ აქ გატარებული ყოველი საათი – უსაზღვროდ განათლებული მასპინძელი ჰყავდათ და მისგან ათასნაირ ახალ ამბავს ისმენდნენ. შესაბამისად, მეგობრებიც გამორჩეულნი და საინტერესონი იყვნენ – ტუშეი მირაქიშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, გია ყანჩელი, რობერტ სტურუა, გოგი ალექსი-მესხიშვილი. ყველას რას ჩამოთვლი!

ურთულესი ოპერაციების შემდეგ შინ დაბრუნებულ მასპინძელს – დიდ მეცნიერს, სიმონ ხეჩინაშვილს ხალი-სიანი საზოგადოება შემოეგებებოდა ხოლმე. თვითონაც უხაროდა მათი ნახვა, ხალისი ემატებოდა, მაგრამ გონება, რომელიც უფლის განვებით, ადამიანის ჯანმრთელობის აღსადგენად იყო მომართული, ლხინის დროსაც მასზე მუშაობდა, მკურნალობის შედეგებს აჯამებდა, ზოგჯერ კი ისე მოულოდნელად მიაგნებდა იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო, გაშლილ სუფრას მიატოვებდა და კაბინეტში სამუშაოს მიუბრუნდებოდა. იქ, სა-

ბეჭდ მანქანებზე, ყოველთვის ელოდა დაწყებული საქმე – სამეცნიერო წერილი, კვლევა. ერთი საბეჭდი მანქანა თუ ქართულად ბეჭდავდა, მეორე რუსულად, მესამე კი ლათინურად...

ასეთი იყო ლხინი ხეჩინაშვილებთან – ნაწილობრივ საბეჭდი მანქანის კაკუნის თანხლებით.

მისი ბავშვობის მეგობარი – ტუშკი მირქაშვილი იხსნებს: „საოცარი შრომისმოყვარე იყო, მიზანდასახული და საქმის ერთგული. ჩვენმა მშობლებმა მუსიკალურ ტექნიკუმში მიგვაძარეს ორივე. კი გვეზარებოდა, მაგრამ სიმონმა მაინც შეძლო და დაამთავრა. მე გამრიცხეს... სიმონი ახლაც უკრავს, თანაც არაჩვეულებრივად. უნიჭიერესი კაცია, მარტო ენა რამდენი იცის! ერთხელ ლენინგრადში ჩატარდა დიდი საკავშირო ოტოლარინგოლოგთა ყრილობა. შვიდი დელეგატი აირჩიეს, მათ შორის მეც მოვხვდი, სიმონი, ცხადაია, მიწვეული იყო. ევროპიდანაც ესწრებოდნენ დიდი მეცნიერები. ამიტომ მოიყვანეს თარჯიმანი, რომელიც მაინცდამაინც მარჯვედ ვერ თარგმნიდა და სიმონმა ითხოვა, მე ვითარჯიმნებო. ერთდროულად რამდენიმე ენაზე თარგმნიდა. საზოგადოება გაკვირვებული იყო. ისე თარგმნიდა, გეგონებოდა, თავის მოხსენებას კითხულობდა. სიმონი არა მარტო საუცხოო ექიმი, დიდი თეორეტიკოსი და ფიზიოლოგია.“

დრო მძიმე და რთული იყო, მაგრამ, როგორც მზის სინათლეს ვერ ჩაახშობ ხელისგულით, ისე ვერ დამალავ დიდ მეცნიერს, რაც უნდა რკინის ფარდით იყოს შემოსაზღვრული ქვეყანა. ამიტომაც იძულებულები იყვნენ, გაემვათ ხოლმე უცხოეთში.

ბატონი სიმონი სიტყვაუხვი არასოდეს ყოფილა, არც ლოზუნგებით ლაპარაკი სჩვევია, მაგრამ საქმეს კი აკეთებდა... ქალბატონი კირა მიქელაძე (მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მეუღლე) იხსენებს: – სიმონი დილით ცალი ხელით წვერს იპარსავდა, მეორით რადიო ეჭირა და ახალ ამბებს უსმენდა, ძირითადად უცხო ენაზე, და იმ ინფორმაციებს, რომელიც აქ შეზღუდული ან აკრძალული იყო.

– სიმონი რომელილაც სლავურ ქვეყანაში იყო ლექციის წასაკითხად, მგონი, ბულგარეთში. მეორე დღეს იმათ ენაზე წაიკითხა ლექცია, – იხსენებს ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, – უნიკალური ნიჭი აქვს, მართლაც დიდი მეცნიერი და ადამიანია.

– მახსოვს, რა სხვანაირად განათლებული იყო. როცა საავადმყოფოს აშენებდა, – მიამბობს ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, – გადართული იყო ამ საქმეზე, ყველა ნიუანსს თვითონ აკონტროლებდა... საღამოს კი შვილებს ეტყოდა, წამოდით, მშენებლობას დავხედოთო. მანქანაში ჩაისვამდა და მიჰყავდა ამ მშენებარე საავადმყოფოს სანახავად, თითქოს ამაზე უკეთესი ბავშვებისათვისაც არანაირი სანახაობა არ არსებობდა. ამ საავადმყოფოს ახლა სიმონ ხეჩინაშვილის სახელი აქვს მინიჭებული. ეს, მგონი, ერთადერთი შემთხვევაა, როცა მეცნიერის სახელი სიცოცხლეშივე მიანიჭეს კლინიკას.

გამეჩერებული სიკეთისა და აზვირთებული პიარის სამყაროში, როცა აღარც კი ვიცით, ვინ ვინ არის, როცა ზოგიერთი მასმედიის საშუალებიდან დიდალი გონების წამლეკავი ინფორმაცია მოედინება, ჩვენ გვერდით ცხოვრობს კაცი – ამაგდარი მეცნიერი სიმონ ხეჩინაშვი-

ლი. ის 90 წლის ხდება და ძველებურად საყვარელ საქმეს დასტრიალებს მისი გონიერა“...

ლელა ჯიყაშვილი
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
თბ., 2009, 9 დეკემბერი
(ამონარიდები პუბლიკაციებიდან)

მარიამ ლორთქიფანიძე (აკადემიკოსი): „ბატონი სიმონ, თქვენ გაქვთ უფლება, რომ მოიხედოთ უკან და თვითონაც კმაყოფილი იყოთ განვლილი გზით. თქვენ ბრძანდებით საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დიდად განათლებული პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, დიდი მეცნიერი...“

თქვენს თაობას უმძიმეს და ურთულეს პირობებში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ თქვენ ყველა ვითარებაში შეინარჩუნეთ მოქალაქეობრივი ღირსება; უმწიკვლო პიროვნების მაგალითი იყავით და ბრძანდებით; ძალიან სჭირდებით ერს, ქვეყანას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს“.

შოთა ჯაფარიძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი): ... „ბატონი სიმონი არის ჩვენთვის მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოს მასწავლებელმა პროფესიონალი ექიმი მოსწავლეში... ჩვენ, ბატონი სიმონის გაზრდილმა ექიმებმა, მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ – მოსმენის კულტურიდან დაწყებული, ქცევითა და პროფესიონალური ჩვევებით დამთავრებული...“

ბატონი სიმონ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მადლობას გიხდით ქართული მედიცინის განვითარებაში თქვენი უდიდესი წვლილისათვის“.

მერაბ ბერძენიშვილი: „ბატონი სიმონ ხეჩინაშვილის მოღვაწეობა ღვთით ბოძებულმა ნიჭიერებამ განაპირობა. იგი ბრწყინვალე პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტია. ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაუღალავმა შრომამ მას მრავალი გამარჯვება მოუტანა. ბატონი სიმონი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელია. მის სახლში შეხვდებით მწერლებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს, მხატვრებს...“

ბატონი სიმონი გულმხურვალე პატრიოტი, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი, საერთაშორისო არენაზე აღიარებული ექიმი, გამოჩენილი აკადემიკოსია...

ვულოცავ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დღეგრძელობას, სიკეთესა და ბედნიერებას მის დიდოჯახთან ერთად“.

გია ყანჩელი: „ბატონი სიმონის პიროვნება ჩემს წარმოდგენაში გაიგივებულია სამყაროს იმ რჩეულ წარმომადგენლებთან, რომელთა ნოვატორულმა მოღვაწეობამ საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა და მედიცინაში წარუშლელი კვალი დატოვა“.

ქართველმა ხალხმა, მსოფლიოს სამეცნიერო წრეებმა ფართოდ აღნიშნეს უთვალსაჩინოესი ექიმის, სიმონ ხეჩინაშვილის დაბადების 90 წლის იუბილე, გამოხატეს სითბო-სიყვარული, უდიდესი მადლიერება მხცოვანი მეცნიერისა და ლირსეული მამულიშვილისადმი.

სამწუხაროდ, რამდენიმე თვეში ბატონი სიმონი გარდაიცვალა. ნეკოლოგებში, გამოსათხოვარ

წერილებში ერთხელ კიდევ შეახსენებდნენ საზოგადოებას მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობას, ხალხის ჯანმრთელობის მსახურებაში გატარებულ ხანგრძლივ პერიოდს. **ქართული მედიცინის აუნაზღაურებელი დანაკლისი** – ასეთად აღიქვა საქართველომ სიმონ ხეჩინაშვილის გარდაცვალება.

გაზეთი „24 საათი“

(თბ., 2010, 25 ივნისი)

ამონარიდები პუბლიკაციებიდან:

● „გარდაიცვალა **სიმონ ხეჩინაშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სამედიცინო საზოგადოების უთვალსაჩინოესი ნარმომადგენელი, ღრმად განსწავლული პიროვნება, ერუდიტი, ენციკლოპედისტი. ნიჭთან და პიროვნულ ღირსებებთან შეჯერებული თავდაუზოგავი შრომით ბატონმა სიმონმა სამეცნიერო და კლინიკურ ოტორინოლარინგოლოგიაში მთელი ეპოქა შექმნა“.

● „ეროვნული სიამაყეა, რომ ბატონმა სიმონმა ჩამოაყალიბა ოტორინოლარინგოლოგთა უნიკალური ეროვნული სკოლა, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიოში“.

● „მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის ნიშანსვეტია, რომ თითოეულ მიღწევას დაუღალავად, მიზანსწრაფულად უძღვნიდა ღირსშესანიშნავ იდეას, რომელსაც მოანდომა საკუთარი მართლაც ტიტანური ნიჭი, ინტუიცია, ენერგია და გამოცდილება. მისი მოღვაწეობა დაგვირგვინდა **სმენის პროთეზირების უნიკალური ეროვნული ცენტრის** ჩამოყალიბებით, რომელსაც მის სიცოცხლეში-

ვე სავსებით დამსახურებულად მიენიჭა სიმონ ხე-
ჩინაშვილის სახელი. ყველაზე მაღალი ჯილდო კი
ის ენით აუნერელი ბედნიერება და სიხარული გახლდათ,
რომელსაც ბატონი სიმონი სმენადაკარგულ პაციენტებს
ანიჭებდა – უბრუნებდა თავისი ცოდნით და მარჯვენით
სმენას, სამყაროს პანგების აღქმის უნარს და სიცოც-
ხლის ხალისს“.

- „ბატონი სიმონის ღრმა შინაარსით გაჯერებული
ცხოვრება სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა
იცხოვროს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა და რა გზით უნ-
და მიაღწიოს უმაღლესი დონის პროფესიონალიზმს, სა-
ყოველთაო პატივისცემას და სიყვარულს“...

- „ამიერიდან ბატონი სიმონ ხეჩინაშვილის სახელი
სამარადისოდ დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მისი
მადლიერი პაციენტების, მრავალი მონაფისა და კოლე-
გის გულში, ქართველი ხალხის მეხსიერებასა და საქარ-
თველოს ისტორიაში“...

ასეთი გახლავთ თანამედროვეთა თვალით დანახუ-
ლი და შეფასებული ექიმი **სიმონ ხეჩინაშვილი** – პი-
როვნება და მეცნიერი, ქართველ კათოლი-
კეთა თემის საამაყო წარმომადგენელი. იგი
მოწოდებით იყო ექიმი. ეს სპეციალობა კი „მის სულიერ
მოთხოვნას არწყულებდა“, ხალხის სამსახურის საშუალე-
ბას აძლევდა ...

ხეჩინაშვილების საექიმო დინასტიის ცხოვრება მა-
თი წინაპრების სანიმუშო ტრადიციის ნათელი დადასტუ-
რებაა, ტრადიციისა, რომელსაც საუკუნეების განმავლო-
ბაში ასაზრდოებდა მამულის, მოყვასის დიდი სიყვარუ-
ლი და თავდადება.

ლევან ბეგაშვილი

არაზაშვილები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

არაზაშვილების გვარი, ქუთაისელ კათოლიკეთა უმრავლესობის მსგავსად, მესხური წარმოშობისაა, სოფელ უდედან. ამ გვარის წარმომადგენელთა გადმოცემის თანახმად, მათს გვარს ფუძედ დაედო მესხეთში არსებული მდინარის – „არაზის“ სახელი.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი ქუთაისში სააფთიაქო და სამკურნალო საქმის განვითარებაში კათოლიკე კოკოჩაშვილების დამსახურება, მაგრამ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ამ სფეროში არაზაშვილთა საგვარეულოს მიერ განეული ღვანლის შესახებ. არაზაშვილების მრავალი თაობა წლების განავლობაში პირნათლად ემსახურებოდა არა მარტო კონკრეტულად ამ პროფესიას, არამედ – ზოგადად სამედიცინო სფეროს.

წინამდებარე სტატიაში გვინდა თანამედროვე მკითხველს მოვუთხროთ ამ გვარის ზოგიერთი წევრის ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ არაზაშვილების გვარში ფარმაცევტული საქმიანობის დაწყება უკავშირდება ორი შტოს წარმომადგენლებს: მიხეილ სა და იაკობს – ბიძასა და ძმიშვილს, რომელთა საქმიანობა შემდგომში წარმატებით გააგრძელეს მათმა მემკვიდრეებმა.

ბინები ანტონის ბე არაზაშვილი

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, არაზაშვილების გვარში პირველ ფარმაცევტად სახელდება მიხეილ ანტონის ძე არაზაშვილი.

დაიბადა **1867** წელს ქ. ქუთაისში. **1897** წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაცევტული ინსტიტუტი.

მიხეილი პროვიზორის სპეციალობით „სხვადასხვა დროს მუშაობდა კიევის, ქუთაისის, ნაგომრის (ოზურგეთის მაზრა), ბორჯომის, საჯავახოს, ბაღდადის და თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქებში“ (ვლ. უდენტი, პ. გელბახიანი, ირ. ტატიშვილი).

მიხეილ არაზაშვილი გარდაიცვალა **1933** წელს.

ბატონი მიხეილის შესახებ დღეს მწირი ცნობებია შემონახული. სხვა წყაროების მიხედვით, იგი ერთხანს მუშაობდა ქუთაისში პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის კერძო აფთიაქში პროვიზორად. მისი მეუღლე იყო პეტრე-პავლეს ქალიშვილი ემილია. მიხეილისა და ემილიას ჰყოლიათ ორი ვაჟი: **სერგო** (დაბად. 1904 წ.) და **ივანე** (დაბად. 1907 წ.), ორივე პროვიზორი ყოფილა.

ი ა ქ თ ბ (ქ ა ქ) ი თ ს ე ბ ი ს ძ ე ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

არაზაშვილების გვარის მეორე შტოს წარმომადგენ-ლებიდან ფარმაცევტული საქმიანობის ფუძემდებელია იაკობ იოსების ძე არაზაშვილი, ტრადიციის გამგრძელებლები კი არიან იაკობის შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები....

იაკობ არაზაშვილი დაიბადა 1886 წლის 25 იანვარს ქუთაისში, იოსებ ანტონის ძე არაზაშვილისა და ეკატერინე ჩილაშვილის მორწმუნე კათოლიკების ოჯახში (იოსების ძმას, ივანეს დამთავრებული ჰქონდა რომის სასულიერო აკადემია, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ყირიმში, იყო ქერჩის კათოლიკური ეკლესიის წინამდღვარი). საზოგადოდ ცნობილია, თუ როგორი ახლო ურთიერთობა ჰქონდათ წარსულში კათოლიკურ ოჯახებს ერთმანეთთან. არაზაშვილების ოჯახისათვის განსაკუთრებით საამაყო იყო კოკოჩაშვილებისა და ფალიაშვილების ოჯახებთან ახლობლობა და ნათესაური კავშირები. იაკობის ქალიშვილი, ქალბატონი თინა სიამოვნებით იგონებდა ამ ურთიერთობათა დაუკინებარ ეპიზოდებს: ქუთაისის ეკლესიის მიერ გაცემულ მამამისის ნათლობის საბუთში დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი ნათლიად იყო მოხსენიებული, ხოლო დიდი პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის დედა (ივანე კოკოჩაშვილის მეუღლე) არაზაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ანა არაზაშვილი გახლდათ.

იაკობ არაზაშვილმა პირველდაწყებითი განათლება, კათოლიკური ოჯახების მაშინდელი ტრადიციის თანახ-

მად, ეკლესიის სამრევლო სასწავლებელში მიიღო, შემ-დეგ კი კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. გიმ-ნაზიის დამთავრების შემდეგ ის ერთხანს მოწაფედ მუ-შაობდა პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის აფთიაქში, რომლის გარკვეული წილის მეპატრონედ, ზოგ წყაროში, სახელ-დება იაკობის ბიძა მიხეილ არაზაშვილი – პეტრე-პავლე კოკოჩაშვილის სიძე).

1911 წელს იაკობი შევიდა ხარკოვის საიმპე-რატორო უნივერსიტეტში და დაამთავრა სამე-დიცინო ფაკულტეტის სრული კურსი, ფარმა-ციის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. არაზაშვი-ლი დაბრუნდა ქუთაისში და აქედან დაიწყო მისი ხან-გრძლივი და დაუღალავი შრომითი მოღვაწეობაც. უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში, ჩვენი ქვეყანა ფარმაციის დარგში განიცდიდა უმაღლესი განათლების მქონე კვა-ლიფურებული კადრების ნაკლებობას, განსაკუთრებით რეგიონებში. ამიტომ იყო, რომ ი. არაზაშვილის საქმია-ნობა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო იქითკენ, სადაც ამის მნვავე საჭიროება არსებობდა. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა აფხაზეთის, სამეგრელოს, კახეთის, თბილისის, ვანის და ტყიბულის აფთიაქებში, 1929 წლი-დან კი – ქუთაისის 1-ელ, მე-5 და მე-7 აფთიაქებში. მან გაიარა ყველა ეტაპი ფარმაცევტის თანაშემწიდან აფთი-აქის გამგემდე. იყო ძალიან ყურადღებიანი, ენერგიული და დაუღალავი, რისთვისაც მიღებული ჰქონდა არაერთი მადლობა და ჯილდო.

1938 წელს, უკვე როგორც გამოცდილი სპეციალის-ტი, ი. არაზაშვილი ოჯახთან ერთად სამუშაოდ კვლავ

რაიონში, კასპში მიავლინეს სააფთიაქო საქმის გასა-
მართავად. აქ მან დააარსა პირველი რაიონული
აფთიაქი, რომლის პირველი გამგეც თვითონ იყო. ამ
საქმეში მას ეხმარებოდა მისი მეუღლე, ნინო ანტო-
ნაშვილი, რომელიც პროფესიით ასევე ფარმაცევტი
გახლდათ და მეუღლის გვერდით რეცეპტორად მუშაობ-
და აფთიაქში. მათ 11 წელი იმუშავეს კასპში. ალსანიშნა-
ვია, რომ ბატონი იაკობი თვითონაც ამზადებდა წამ-
ლებს, ძირითადად მცენარეული მასალით და ავადმყო-
ფისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაც შეეძლო
საჭიროების შემთხვევაში.

1949 წელს იაკობის ოჯახი კვლავ დაუბრუნდა
მშობლიურ ქუთაისს. ბატონმა იაკობმა წლების მან-
ძილზე მუშაობა გააგრძელა ქალაქის მე-2 და მე-3 აფ-
თიაქებში. საერთო ჯამში იაკობ არაზაშვილი 45 წლის
მანძილზე ერთგულად ემსახურა თავის საყვარელ საქ-
მეს. იყო ძალზედ გულისხმიერი და უკიდურესად ყუ-
რადლებიანი ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით
ავადმყოფთა მიმართ. მას ნებისმიერ დროს შეეძლო
ავადმყოფის დახმარება. ხშირად შუალამეს წაუყვანიათ
სახლიდან, რათა სასწრაფოდ ადგილზე გაემზადებინა
წამალი. იყო შემთხვევები, როდესაც თვითონ მიუტანია
წამალი სახლში ავადმყოფისათვის, რომ დროზე მიეს-
წრო. ასეთი დიდსულოვნების გამო იგი დიდი პატივის-
ცემით სარგებლობდა იმდროინდელ საზოგადოებაში.

იოსებ არაზაშვილისა და ეკატერინე ჩილაშვილის
ოჯახში აღიზარდა მათი კიდევ ორი შვილი: გრიგოლი
და სიდონია. ეს უკანასკნელიც პროფესიით ფარმა-

ცევტი გახლდათ. მუშაობდა თბილისის, გორისა და ქუთაისის №5 აფთიაქებში.

ღვანწლმოსილი პროვიზორი, იაკობ არაზაშვილი გარდაიცვალა **1964** წელს, დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩნის საგვარეულო სასაფლაოზე.

აქვე გვინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ბატონ იაკობის მეუღლეზე, ნინა გრიგოლის ასულ ანტონაშვილსა და მის ოჯახზე.

ქალბატონი ნინა ალზარდა გორში, ადვოკატ გრიგოლ ანტონაშვილისა და ვიქტორია ყაუხჩიშვილის (დიდი მეცნიერის, სიმონ ყაუხჩიშვილის და) ტრადიციულ კათოლიკურ ოჯახში. ნინასა და მისი დედმამიშვილების აღზრდაში დიდი როლი მიუძღვით მათს ბიძებს: დონ იოანე (ივანე) და დონ მიქაელ ანტონაშვილებს, რომლებიც იყვნენ დიდი სასულიერო მოღვაწეები.

დონ იოანე ანტონაშვილი იყო პრელატი, სარატოვის კათოლიკური სემინარის რექტორი, უგანათლებულესი ადამიანი, ფლობდა რამდენიმე უცხოურ ენას. ის ცნობილია როგორც ქართულენოვანი ტიპიკონის შემოღებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული მებრძოლი. ამ საქმეში იყო პეტრე ხარიჭირაშვილის, მიხეილ თამარაშვილის და ივანე გვარამაძის მეგობარი და თანამებრძოლი. ის ყველა საშუალებით (მათ შორის მატერიალურადაც), ეხმარებოდა და ხელს უწყობდა რომში მყოფ მეცნიერს – მიხეილ თამარაშვილს მის კვლევითს საქმიანობაში.

ნინას მეორე ძმა, დონ მიქაელ ანტონაშვილი ამიერკავკასიის კათოლიკური ეკლესიის ვიზიტატორი იყო, ასევე ღირსშესანიშნავი პიროვნება. ბოლო

წლებში მსახურობდა თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში. ისიც იყო საქართველოს დიდი პატრიოტი და ქართული ტიპიკონისათვის მებრძოლი. ძმები დაკარძალულნი არიან თბილისის წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის ეზოში.

ასეთი ტრადიციის მქონე ოჯახებში აღზრდილი მეულეები იმავე სულისკვეთებით ზრდიდნენ თავიანთ ოთხ შვილსაც: იოსებს, დავითს, ოთარს (ალექსანდრეს) და თინათინს. მათ შეინარჩუნეს არაზაშვილების ოჯახური ტრადიცია და გადასცეს ის თავიანთ შთამომავლებს, რომელთა უმეტესობამ მედიცინის სფეროში გააგრძელა პროფესიული საქმიანობა (ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. ქვმოთ).

ოთხებ (სოსო) იაკობის ბე არაზაშვილი

არაზაშვილების ოჯახის პროფესიული ტრადიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამგრძელებელი გახლდათ იაკობის უფროსი ვაჟი, იოსებ (სოსო) არაზაშვილი (1918-1987), საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული პროვიზორი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სააფთიაქო სამმართველოსა და სააფთიაქო ბაზის მმართველად თბილისში.

1942 წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტი სოსო არაზაშვილი სამუშაოდ გააგზავნეს კასპში, სადაც ის გვერდში ამოუდგა თავის მამას აფთიაქის მართვაში და შემდეგ რამდენიმე წელიწადში ჩაანაცვლა ის ამ თანამდებობაზე. 1949-1953 წლებში იოსებ არაზაშვილი სამუშაოდ მიავლინეს ცხინვალში აფთიაქის გამგედ, 1953 წელს კი ის გადაიყვანეს თბილისში, რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური ბაზის დირექტორად.

1961 წელს, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, ბატონი იოსების ინიციატივით დაარსდა მზა სამკურნალო პრეპარატების, შესახვევი მასალის, ავადმყოფთა მოსავლელი საგნების, სამკურნალო მცენარეების აფთიაქი, იგივე თბილისში ცნობილი №40 აფთიაქი, სადაც გამგედ მუშაობდა 1983 წლამდე. შემდეგ რამდენიმე წელი წყნეთის აფთიაქის გამგედ იმუშავა. 1985 წლიდან ის კვლავ მოიწვიეს სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური ბაზის დირექტორად, სადაც სიცოცხლის

ბოლომდე მუშაობდა. ბატონი იოსები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, მრავალმხრივი განათლებით, შრომის სიყვარულითა და კაცომიყვარეობით.

„სოსო არაზაშვილი – რესპუბლიკის ფარმაციული სამსახურის თვალსაჩინო ორგანიზატირო – ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით, კეთილშობილებით. იყო უშურველად სიკეთის გაცემი ყველასადმი, ყურადღებიანი.. აფთიაქში მასთან დადიოდნენ საზოგადოების ყველა ფენიდან, მაგრამ ის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სოფლიდან ჩამოსულებზე... ხშირად მძიმე ავადმყოფს თავისი ხელით მიუტანდა წამალს... თუ მას აფთიაქში არ ჰქონდა წამალი, გადარეკავდა კოლეგებთან და ავადმყოფს გააგზავნიდა თავისი სახელით და მაინც კმაყოფილს გაუშვებდა. მან ამ თვისებით გააგრძელა ის ოჯახური ლამაზი და სათნო ტრადიცია, რომელიც მათ ოჯახში სუფევდა“ (შოთა აბაშიძე).

იაკობის მეორე ვაჟი – **დავით არაზაშვილი** (1923-1957) ექიმი გახლდათ, ვენეროლოგი. მოღვაწეობდა ქუთაისში. მან ომის წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და დაუღალავად მოღვაწეობდა ზურგში, რისთვისაც 1946 წელს დააჯილდოვეს მედლით „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“. ადამიანების მიმართ სითბო და სიყვარული იყო მისი გამორჩეული თვისება, რითაც იგი პაციენტთა პატივისცემას იმსახურებდა. სამწუხაროდ, დავითი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მას ახლაც დიდი სიყვარულით იხსნებენ მისი თაობის ადამიანები.

მესამე ვაუს, **ოთარ (ალექსანდრე)** არაზაშვილს, ლე-ნინგრადში ჰქონდა მიღებული განათლება. იყო ოპტიკოსი. ისიც ომის პირველი დღეებიდან იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, საიდანაც მძიმედ დაჭრილი ჩამოვიდა.

მეოთხე შვილი – ქალბატონი **თინათინი** ბიოლოგი გახლდათ.

ბიძის (იაკობის) პროფესია ლირსეულად გააგრძელა ძმისშვილმა – **გიორგი (რეზო)** არაზაშვილმა. ის წლების მანძილზე მუშაობდა ქუთაისის №3 აფთიაქის გამგედ, შემდეგ – სააფთიაქო საწყობის განყოფილების გამგედ, ბოლოს კი – ხონში ფსიქიატრიული საავადმყოფოს აფთიაქის გამგედ, პენსიაში გასვლამდე.

იაკობ არაზაშვილის პროფესიულ საქმიანობას ლირ-სეულად აგრძელებენ მისი შვილიშვილებიც:

გიორგი(გივი) არაზაშვილი (ოთარის შვილი) პროვი-ზორია.

აკაკი არაზაშვილი (იოსების შვილი) მედიცინის მეც-ნიერებათა კანდიდატია ფარმაციის დარგში.

დავით არაზაშვილის შვილებმა **ლიანამ** და **გურამმა** თავის პროფესიად სტომატოლოგია აირჩიეს. ლიანა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. გურამი კი – ქუთაისში ცნობილი ექიმ-სტომატოლოგი.

დიდი ბაბუის საქმეს შვილთაშვილებიც აგრძელებენ და ისინიც სამედიცინო სფეროში მოღვაწეობენ; ორი მათგანი: **ქეთევან არაზაშვილი** (გურამის შვილი) და **ირაკლი გოლეთიანი** (თინათინის შვილიშვილი) სტომატო-

ლოგები არიან, ხოლო **გვანცა** და **მაია** არაზაშვილები ექიმ-თერაპევტები.

ქუთაისში არაზაშვილების ოდესლაც დიდ საგვარეულოს დღეს მხოლოდ ბატონი გურამი და მისი ოჯახი წარმოადგენს, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი სამედიცინო ტრადიცია ჩვენს ქალაქში მაინც გრძელდება.

და ბოლოს: ჩანს, რომ ქუთაისელი კათოლიკე არაზაშვილების საგვარეულოში ფარმაცევტული საქმიანობა არ ყოფილა მხოლოდ მატერიალური არსებობის საშუალება; იგი მათთვის შემოქმედებითად საინტერესო სფეროც აღმოჩნდა: ეს იყო გარემო, რომლითაც შეეძლოთ უფრო მეტად ეზრუნათ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, განსაკუთრებით დახმარებოდნენ სოფლის (ლარიბ) მოსახლეობას. მათი სულიერი შემართება, ალბათ, გენეტიკურად გადავიდა შთამომავლებზეც... ამიტომ აღარაა შემთხვევითი, რომ წინაპრების პროფესიულ საქმიანობას დღესაც წარმატებით აგრძელებენ არაზაშვილების მემკვიდრეები.

უუფუნა ფეიქრიშვლი
ნანა მიზანდარი

გაბრიელ (გაბო) იოსების ძე გოგიძე

გამოჩენილი ქართველი კათოლიკე ექიმი და საზოგადო მოღვაწე გაბრიელ (გაბო) გოგიძე დაიბადა 1868 (სხვა ვერსიით 1869) წლის 6 ნოემბერს სამხრეთ საქართველოს ულამაზეს მხარეში, ქალაქ ახალციხეში, განთქმული ოქრომჭედლის იოსებ გოგიძესა და სათნოებითა და კეთილშობილებით გამორჩეული ქალბატონის – ელისაბედ ფირალიშვილის ოჯახში.

გადმოცემის თანახმად, ახალციხელი გოგიძეების წინაპარი ყოფილა იტალიელი (ფლორენციელი) ოქრომჭედელი, რომელიც XVII საუკუნეში მოღვაწეობდა სამეგრელოს მთავრის – ლევან დადიანის სასახლეში. იტალიელ ოქრომჭედელს ჰყოლია ორი ვაჟი: ერთი სამეგრელოში დარჩენილა (ეჯიბიას გვარი მიუღია), მეორე წასულა მესხეთ-ჯავახეთში (ახალქალაქში), დასახლებულა კათოლიკეთა სოფელ გოგაში (აქედან უნდა მომდინარეობდეს კათოლიკე გოგიძეების გვარი).

ჩანს, გოგიძეების ოჯახი ცოტა მოგვიანებით საცხოვრებლად ახალციხეში გადასულა. **იოსებს** აქ გაუგრძელებია წინაპართა საქმიანობა – ოქრომჭედლობა. იგი ახოვანი და გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი ყოფილა. მიხეილ თამარაშვილის ინფორმაციით, საქართველოსა და თურქეთ-სპარსეთის გზებზე იოსებ გოგიძე (რომელიც საცალო ვაჭრობასაც ეწეოდა

თურქეთსა და ირანში) არაერთხელ შებმია ქართველი ტყველების მიმტაცებლებს და თავისუფლება დაუბრუნებია გასაყიდად განწირული ბევრი ქართველისათვის.

იოსებ გოკიელი ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად სულიერადაც ძლიერი, გამორჩეული და კეთილშობილი ყოფილა. უეჭველია, რომ ახალციხელმა გოკიელებმა – მშობლებმა – თავიანთ ოთხ ვაჟს: მიხეილს, რაფიელს, გაბრიელსა და პეტრეს ბავშვობიდანვე შთაუნერგეს პატიოსანი ცხოვრების წესები, ასწავლეს შრომისმოყვარეობა, გაჭირვებულთა დახმარება და დაჩაგრულთა თანადგომა.

იოსების სამი ვაჟი ოქრომჭედლები გახდნენ, წარმატებით გააგრძელეს მამა-პაპათა საქმიანობა, გაბრიელს კი ბავშვობიდანვე გადაწყვეტილი ჰქონია გამხდარიყო ექიმი, რათა ავადმყოფებისათვის ემკურნალა. თანამედროვეთა მოგონებით, ახალციხის ღობეები აჭრელებული იყო თურმე პატარა გაბოს ნაწერებით – „აქიმი გაბო გოკიელი“.

გაბრიელ გოკიელმა პირველდაწყებითი განათლება ახალციხის ოთხკლასიან სასწავლებელში მიიღო, შემდეგ მიაბარეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. სანამ იოსების ოჯახი მთლიანად გადმოვიდოდა საცხოვრებლად ქუთაისში, მანამდე გაბრიელი დროებით ცხოვრობდა მამის ახლო მეგობრის, ქართველი კათოლიკე ალექსი თოქმაჯიშვილის ოჯახში.

1893 წელს გაბრიელ გოკიელმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია, 1898 წელს კი – ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ხარკოვში ყოფნის დროს ის აქტიურად მონაწილეობდა იქ

მყოფი ქართველი სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდები ხშირად იკრიბებოდნენ მის სახლში და დიდ პროპაგანდას უწევდნენ ქართულ კულტურას. სწორედ ხარკოვში გაიცნო მან ცნობილი რუსი მწერალი და ექიმი ანტონ ჩეხოვი, რომელთანაც ურთიერთობა შემდგომშიც გააგრძელა. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს რუსეთში ექიმთა ყრილობებზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთი წელი მუშაობდა მოსკოვის უნივერსიტეტის თერაპიულ კლინიკაში ორდინატორად პროფესორ ოსტროუმოვთან. აქ გაბრიელს ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია თანამშრომლებზე, რომ სთხოვეს, დარჩენილიყო უნივერსიტეტში და გაეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ ახალგაზრდა ექიმმა არ მიიღო ეს შეთავაზება, რადგან მას სამეცნიერო კარიერაზე მეტად აინტერესებდა ექიმპრაქტიკოსის საქმიანობა. ამიტომაც 1899 წელს ცოდნის გაღრმავების მიზნით გაემგზავრა საფრანგეთში და ორი წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის საუკეთესო კლინიკებში, ეუფლებოდა მკურნალობის ფიზიო-თერაპიულ მეთოდებს.

1901 გაბრიელ გოკიელი სამშობლოში დაბრუნდა, მეუღლესთან ერთად დასახლდა ქუთაისში და მთელი ცხოვრება აქვე გაატარა.

გაბრიელი ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა დაქორწინდა ქუთაისელი ალექსი თოქმაჯიშვილის უფროს ქალიშვილზე – ლიზაზე. ლიზამ წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა და მასწავლებლად მუშაობდა. თანამედროვეთა მოგონებებით, გაბრიელსა და ლიზას ჰქონდათ მთელს ქალაქში სტუმართმოყვარეობით

გამორჩეული ოჯახი, სადაც ყოველთვის სუფევდა სიმ-შვიდე, სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა. ისიც ცნობილი იყო, რომ ლიზა მუდამ გვერდით ედგა მეუღ-ლეს, როგორც ერთგული მეგობარი და საუცხოო დიასახ-ლისი. ეს ოჯახი მხოლოდ სიკეთეს თესავდა და ყველას-თვის მისაბაძ ნიმუშად რჩებოდა. ამ მადლიან ფუქეზე აღიზრდა ოთხი შვილი: ფატი, თამარი, მაგდა და ვახტანგი. ისინი თავიანთი ცხოვრებით, პროფესიული საქმიანობითა და ადამიანური თვისებებით ღირსეულ პა-ტივს მიაგებდნენ მშობლების სახელსა და ხსოვნას.

ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთმა სახელოვანმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ გაბრიელ გოკიელმა XX საუკუნის I ნახევრის ქართულ სინამდვილეში განვლო მეტად საინტერესო და შემოქმედებითად მრავალფერო-ვანი ცხოვრების გზა. როცა ეცნობი მის ყოველდღიურ საქმიანობას (ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ეპიზოდებით) და უსაზღვრო ქველმოქმედებას, უნებუ-რად გეუფლება მადლიერებისა და სიამაყის გრძნობა, იმავდროულად გიჩნდება განსაკუთრებული სურვილი – თანამედროვე საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიც-ნოს ეს მართლაც ამაგდარი წინაპარი, როგორც ექიმი და როგორც პიროვნება, რათა დღევანდელი ტექნოლო-გიების ეპოქაშიც კი გაითავისოს საქმეში მისეული შე-მართება, ახლის ძიების სურვილი და ხალხის კეთილდღე-ობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.

გაბო ექიმი

პატარა გაბრიელი ბავშვობიდანვე ოცნებობდა ექი-
მობაზე, რადგან მისი რწმენით, ექიმის პროფესია იყო
ხალხისა და სამშობლოს სამსახური (საბეჭინი-
ეროდ, არასოდეს უღალატია ამ რწმენისათვის).

მისი თანამედროვე კოლეგების აზრით, ექიმი
გ. გოკიელი აღზრდილი იყო ერთიანი სინთეზური მეცნი-
ერების ტრადიციებზე; ამიტომაც არ მოსწონდა სამედი-
ცინო დარგის გადამეტებული დიფერენციაცია, ანუ ვიწ-
რო სპეციალიზაცია მთლად გამართლებულად არ მიაჩ-
ნდა. მისი დაკვირვებით, მედიცინის ერთი დარგის ექიმს
უფრო მეტად უნდა სცოდნოდა არჩეული სპეციალობა,
მაგრამ ამავე დროს გარკვეული უნდა ყოფილიყო სხვა
დარგებშიც. ამის მაგალითს თვითონვე იძლეოდა: იგი
ძირითადად შინაგან სნეულებათა ექიმი იყო, მაგ-
რამ წარმატებით მკურნალობდა ვენერულ დაავა-
დებებს, იყო საუკეთესო პედიატრი და ფტიზი-
ატრი. „ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები,
როცა სპეციალისტი ახლოს არ აღმოჩენილა, დაყოვნება
შეუძლებელი იყო და ხშირად მიმკურნალებია ყურითა
და თვალით დაავადებული ავადყოფებისათვის და მარ-
ტივი ქირურგიული ოპერაციაც გამიკეთებია“, – ხშირად
იმეორებდა თურმე ამგვარ შემთხვევებს გაბო ექიმი.

ასეთი ფართო და მრავალმხრივი იყო ექიმი გოკიე-
ლის საქმიანობის სფერო, ამის შესაბამისად ჰქონია შედ-
გენილი ყოველდღიური სამუშაო „გრაფიკიც“:

დილის საათებში იღებდა ბავშვებსა და შინაგანი
სნეულებით დაავადებულებს; საღამოობით ატარებდა

ელექტროთერაპიულ მკურნალობას და ლებულობდა ვენერული სენით დაავადებულებს; დღის პირველ საათზე თავისი საკუთარი ეტლით დადიოდა ბინებზე ავადმყოფების სანახავად.

1902 წელს გაბო ექიმი აირჩიეს ქალაქის „ხმოსნად“ და მას შემდეგ მუდამ აქტიურად მუშაობდა ქალაქის თვითმმართველობაში, საექიმო და სანიტარულ კომისიებში. ის პირველი გამოვიდა ინიციატივით ქუთაისში წყალსადენის აგების თაობაზე. ზეპირი გამოსვლებითა თუ საგაზეთო პუბლიკაციებით მოითხოვდა, რომ წყალსადენი მოწყობილიყო სანიტარული წესების დაცვითა და ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებით.

ასევე განსაკუთრებული შემართებით ზრუნავდა ქალაქის სააფთიაქო საქმის გაუმჯობესებაზე. მისი აზრით, სააფთიაქო საქმე უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობასო, შესაბამისად, წამოაყენა რამდენიმე კონსტრუქციული წინადადება სააფთიაქო მომსახურების მიმართულებითაც.

გ. გოგელი აქტიურად იყო ჩართული აგრეთვე ქალაქის № 1 საავადმყოფოს აშენების საქმეში (საჭირო თანხების შეგროვების მხრივაც კი!).

გაბო ექიმს თანამედროვენი დამსახურებულად მიიჩნევდნენ ქუთაისში ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის მესვეურად-დამფუძნებლად. მან პირველმა გახნა „ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი“. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით...

არანაკლები მნიშვნელობისა იყო ქუთაისისა და იმერეთის სინამდვილეში გაბრიელ გოკიელის, როგორც

ერთ-ერთი პირველი ფტიზიატრის, დამსახურება ტუბერკულოზის მკურნალობისას ხელოვნური – პნევმოთორაქსის ფართოდ და ეფექტურად გამოყენება. ამ გზით ახლის მაძიებელმა მკურნალმა ჯანმრთელობა და შრომის უნარი დაუბრუნა ასობით ჭლექით და-ავადებულ ადამიანს.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გაბო ექიმის უდიდეს წვლილზე საქართველოში საკურორტო საქმიანობის დაწყება-განვითარებაში. ხატოვნად რომ ვთქვათ, „გ. გოკიელი იყო საკურორტო საქმის ერთ-ერთი პიონერი“. რამდენადაც ეს სფერო ჩვენს სინამდვილეში სიახლე იყო, გაბო ექიმი საკურორტო საქმის გამართვისა და სანატორიუმებში ტუბერკულოზით დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის შესასწავლად ორჯერ გაემგზავრა საზღვარგარეთ (შვეიცარიაში). გარდა კონკრეტულად პროფესიული ინტერესისა, ამ მიმართულებით გაბრიელის საგანგებო დაინტერესებას ისიც აძლიერებდა, რომ მისი ბევრი მეგობარი ამ საშინელმა სენმა იმსხვერპლა, რომ მან – ექიმმა ვერ შეძლო მათი გადარჩენა.

იმ პერიოდში ტუბერკულოზს მკურნალობდნენ ძირითადად ჰერით; ჩვენში ასეთი უებარი ჰერით სასწაულმოქმედი იყო აბასთუმანი. გოკიელმა გადაწყვიტა აბასთუმანში დაეარსებინა პირველი სანატორიუმი. ამ მიზნით **1908** წელს გენერალ ალიხანოვისგან შეისყიდა აგარაკი, შემდეგ საქმის ასაწყობად რამდენიმე თვე იმუშავა მოსკოვისა და პეტროგრადის საავადმყოფოებში, ასევე იმოგზაურა ფინეთში, შვეიცარიასა და პარიზშიც.

1911 წლიდან შეუდგა აბასთუმნის აგარაკის გადაკეთება-რეკონსტრუქციას, მიუშენა სახლს შენობები და 13-ოთახიანი კერძო აგარაკის მაგივრად აბასთუმანში აშენდა 25-ოთახიანი სანატორიუმი (ამ საქმეში გაბრიელს ყოველთვის გვერდით ედგა მეუღლე ლიზა, როგორც მშენებლობის მეთვალყურე), რომელიც მოაწყვეს საზღვარგარეთიდან გამოწერილი ავეჯით. პირველ წლებში აქ უსასყიდლოდ ისვენებდნენ გოკიელების მეგობრები, ნათესავები, მწერლები. სანატორიუმი ყოველმხრივ მზად იყო ავადმყოფების მისაღებად, მაგრამ მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ხელისუფლებამ იქ სამხედრო ჰოსპიტალი გახსნა, 1917 წელს კი, როცა თურქებმა აბასთუმანი დაარბიეს, გოკიელის „აგარაკიც“ განადგურდა. სამწუხაროდ, გაბო ექიმის მიერ დიდი ენთუზიაზმით დაწყებული აბასთუმნის სანატორიუმის დაფუძნებისა და ხალხის საკეთილდღეოდ მისი გამოყენების დიდი სურვილი განუხორციელებელი დარჩა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო.

გაბრიელ გოკიელი იყო ლრმად განსწავლული, ფართო ერუდიციის მქონე ექიმი. მართალია, მისთვის საინტერესო იყო პრაქტიკული საქმიანობა, პაციენტებთან უშუალო ურთიერთობა, გამუდმებული ძიება თითოეული მათგანის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ იმავდროულად სისტემატურად იღრმავებდა თეორიულ ცოდნას მედიცინის სხვადასხვა დარგში, ევროპელი კოლეგების ნაშრომებით ეცნობოდა პრაქტიკულ სიახლებსაც.

თავადაც ხშირად აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში პუბლიკაციებს სამედიცინო თემაზე. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „აღწერა ყმაწვილების სხვადასხვა სენთა ვი-

თარებისა“. ბევრჯერ ყოფილა სრულიად რუსეთის ექიმთა ყრილობების აქტიური მონაწილე. მისი მოხსენებები თუ სხვა ცალკეული შრომები ეხებოდა ქართულ ხალხურ მე-დიცინასა და ქართული მედიცინის ისტორიას, საქართვე-ლოში საკურორტო საქმის განვითარებას და ა. შ.

გაბრიელ გოკიელი – საზოგადო მოღვაწე და დიდი ქველმოქმედი

გაბო ექიმმა ქუთაისში დამკვიდრების შემდეგ მალე მოიპოვა ჩინებული მკურნალისა და წარმატებული სა-ზოგადო მოღვაწის სახელი. მის თანამედროვეთა მოგო-ნებებით, XX საუკუნის I ნახევრის ქუთაისში იგი გახ-ლდათ ყველა საინტერესო წამოწყების ინიციატორი ან მონაწილე არა მხოლოდ ჯანმრთელობის დარგში, არა-მედ ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გარდა იმისა, რომ წლების განმავლო-ბაში იყო ქალაქის თვითმმართველობის „ხმოსანი წევ-რი“, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქუთაისის ექიმთა საზოგადოების მუშაობაში (როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი და მუდმივი წევრი), რაც მოი-ცავდა არა მხოლოდ პროფესიიდან გამომდინარე თეო-რიულ-პრაქტიკული პრობლემების დაყენებას, მათი გა-დაჭრის გზების ძიება-დასაბუთებას, არამედ ფართომას-შტაბიან საქველმოქმედო მოღვაწეობასაც. აქვე აღვნიშ-ნავთ, რომ გაბო ექიმი 1913 წლიდან იყო საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოების ქუთაისის ფილიალის აქტიური წევრი.

საქველმოქმედო მიმართულებით გაწეულ საქმეთა ნუსხა ერთობ ვრცელი აღმოჩნდა. ამჯერად რამდენიმე მათგანის გახსენებით შემოვიფარგლებით.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ექიმები და, ზოგადად, მოსახლეობა კარგად ხედავდა, რომ ჩვენში ძალიან იყო გავრცელებული საშინელი სენი – ტუბერკულო-ზი. ამ პერიოდში სახელმწიფო საგანგებოდ არ ზრუნავდა ასეთ ავადმყოფთა მკურნალობაზე, ამიტომ ქუთაისის ექიმები თავად ცდილობდნენ (ქალაქის ინტელიგენციის თანადგომით) წამოეწყოთ სხვადასხვა სახის ლონისძიება და შემოსული თანხა გამოეყენებინათ ტუბერკულოზის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ე. წ. „გვირილობა“ ანუ „თეთრი ყვავილის“ დღე, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა გაზაფხულზე. (ამ დღეს ქუჩაში ყიდდნენ ხელოვნურ გვირილებს). გ. გოკიელი ყოველთვის იყო „გვირილობის“ მოწყობის ინიციატორი და აქტიური მონაწილე; მეტიც: ლონისძიება რომ ეფექტურად ჩატარებულიყო, იგი წინასწარ საგაზე-თო პუბლიკაციებით საზოგადოებას შეახსენებდა ხოლმე ამ დღესასწაულის მნიშვნელობას, მის დადებით შედე-გებს. ისიც ცნობილია, რომ გაბო გოკიელმა (1910 წლის 21 ივნისს) საგანგებო მოხსენებაც წაიკითხა ტუბერკულოზთან ბრძოლის კავკასიის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სხდომაზე.

გაბო ექიმის ოჯახი რომ ინტელიგენციისა და ახლო მეგობრების გულდია მასპინძელი იყო, ეს ყველა ქუთაი-სელისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, მაგრამ მთელი დასავლეთ საქართველოსთვის კიდევ უფრო ფართოდ იყო ცნობილი მისი ქველმოქმედება, კეთლშო-

ბილება-ჰუმანურობა, პაციენტის სიყვარული და მზრუნველობა: უფასოდ მკურნალობდა ინტელიგენციას, სტუდენტებს, მოსწავლეებს და ლარიბ მოსახლეობას. ამ უკანასკნელთ ფულითაც ეხმარებოდა. „ეკონომიურად ხელმოკლე ავადმყოფებს იგი ოქროს ფულს ფრთხილად ბალიშის ქვეშ ამოუდებდა, ხოლო გამოთხოვებისას მომვლელებს ეტყოდა: ყველაზე საჭირო წამალი ბალიშის ქვეშაა, ლოგინის გადაფერთხის დროს არ დაგეკარგოთ“ (ს. საყვარელიძე). ბატონი გაბო ასე უშურველად გასცემდა მადლს და ამას აკეთებდა ისეთი გულწრფელობით, ისეთი მოხდენილი ჟესტით, რომ ყველა შეწყალებული „პაციენტი“ არასოდეს არ გრძნობდა თავს უხერხულადო.

გამოცდილ ექიმს, გ. გოკიელს, დიდი პრაქტიკაც ჰქონდა, მატერიალურად სრულად უზრუნველყოფილი იყო, ამიტომ მისი ხელშეწყობით შეძლეს მისმა არაერთმა ნათესავმა და ახლობელმა უმაღლესი განათლების მიღება; გარდა ამისა სისტემატურად უგზავნიდა თანხას რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს; გულუხვად მასპინძლობდა ოჯახში და ფინანსურ შემწეობასაც უწევდა ჩვენი კულტურის წარმომადგენლებს: მწერლებს, პოეტებს... (ამგვარი ფაქტები აღწერილია მის თანამედროვეთა მოგონებებში).

- „გ. გოკიელის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი სარბიელი იყო ქუთაისის თეატრი, რომელსაც ის ემსახურებოდა სრულიად უსასყიდლოდ 1901 წლიდან გარდაცვალებამდე. იგი უფასოდ

მკურნალობდა მსახიობებს, მათი ოჯახის წევრებს და ტექნიკურ პერსონალსაც...

გ. გოკიელი იყო თეატრალი, ამ სიტყვის მთელი გაგებით, მას უყვარდა თეატრის შენობის კედლებიც კი. დიდი გემოვნების მქონეს და ბევრი შესანიშნავი მსახიობის მნახველს, შეეძლო რამდენჯერმე დასწრებოდა ერთსა და იმავე, მდარე ხარისხის სპექტაკლსაც კი. ეს იმიტომ, რომ თეატრში ყოფნა უყვარდა, უთეატროდ ცხოვრება არ შეეძლო“ (ს. საყვარელიძე).

გაბო ექიმის ოჯახის სტუმრები და, საერთოდ, ახლო მეგობრები იყვნენ ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელები, მსახიობები; მათ შორის: ლადო მესხიშვილი, შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვანო სარაჯიშვილი და სხვები.

- გ. გოკიელის ქველმოქმედებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დავასახელოთ ერთი ფაქტიც: წლების განმავლობაში (1901-1920 წლებში) გაბრიელი უსასყიდლოდ ემსახურებოდა ქუთაისის აგრონომიული ტექნიკუმის (ყოფილი ფერმის სკოლა) მოსწავლეებსა და პედაგოგებს. გარდა ამისა, მისი თაოსნობითა და ნაწილობრივ მისივე სახსრებით, ცნობილი ქუთაისელი კათოლიკე ექიმის – სიმონ ივანეს ძე სეჩინაშვილის თანადგომით, ამ ტექნიკუმთან აშენდა ამბულატორია და რამდენიმესაწოლიანი საავადმყოფო მონაცემთათვის (ქართ. საბჭ. ენციკლ., 3).

• მართლაც მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო გოკიელების ოჯახის მეგობართა წრე: მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები (მათ შორის იყვნენ იმ დროის რევოლუციონერები და პოლიტიკოსები): ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, სიმონ ქვარიანი, დავით კლდიაშვილი, ზდანოვიჩი, ი. ბაქრაძე, პ. ყიფიანი, ცნობილი ექიმები კოკოჩაშვილები, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, კიტა აბაშიძე, გრიგოლ გველესიანი, იოსებ ოცხელი და სხვები...

• იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში უამრავი რამ იწერებოდა აგრეთვე ექიმ გაბო გოკიელისა და დიდი აკაკი წერეთლის ურთიერთობაზე. ამ ორი ნაღდი ქართველის ურთიერთსიყვარული ნამდვილად სცილდებოდა ტრადიციული მეგობრობის ჩარჩოებს. ექიმ გაბოს ქალიშვილის სიტყვებით: „აკაკი რომ ქუთაისში ჩამოვიდოდა, თუ მაშინვე მამას არ ინახულებდა, მამა თვითონ მოძებნიდა და მოიყვანდა“. ამ ოჯახმა კარგად იცოდა სახალხო მგოსნის ფასი, იცოდა მისი სტუმრობის გამო ოჯახში დიდი წვეულების გამართვაც და ოჯახის წევრის მსგავსად „შინაურული“ დახვედრაც...

ყველა შემთხვევაში ეს სტუმარმასპინძლობა ორივე მხარისათვის იყო წმინდა, ფაქიზი და სანიმუშო მაგალითი. მეტიც: უსახსროდ მყოფ პოეტს ოჯახის უფროსი ყოველთვის უმართავდა ხელს, იმავდროულად ბატონი გაბო აკაკის პირადი ექიმიც გახლდათ, ყოველთვის გვერდით ედგა – მძიმე ავადმყოფობის დროსაც და მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც.

ექიმისა და დიდი პოეტის მეგობრობის ერთ-ერთი ძალიან შთამბეჭდავი ეპიზოდი გახლავთ **1908** წელს აკაკის იუბილეს აღნიშვნა ქუთაისში. ამ ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი გაბრიელ გოკიელი იყო. ქუთაისის თეატრში გამართულ ზეიმზე იუბილარს ექიმთა საზოგადოების სახელით მიესალმა გაბო ექიმი, ხოლო მისმა მცირენლოვანმა ქალიშვილმა ფატიმ მგოსანს მიმართა ცახელის ლექსით (რომელიც აკაკისადმი იყო მიძღვნილი) და დაფნის გვირგვინიც მიართვა. ამ ეპიზოდმა დამსწრე საზოგადება აღფრთოვანებაში მოიყვანა (იხ. ფოტომასალაში).

• გ. გოკიელის პიროვნული პირტრეტისათვის (მისი ლირსების შესაფასებლად) მკითხველს შევახსენებთ აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის მოგონებიდან ამონარიდებს: „ექიმი გაბო გოკიელის სახელი ფართოდ იყო ცნობილი მთელ ქუთაისის გუბერნიაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენ, მონაფები, მოხიბლული ვიყავით გაბოს ასეთი კარგი სახელით. ყველგან გვესმოდა, გაბო დიდი გულისხმიერი ექიმიაო, იგი უფასოდ მკურნალობს მოსწავლებს და ღარიბებსო...

მგონი, მეშვიდე კლასში ვიყავი, ავად გავხდი. დედაჩემმა წამიყვანა ექიმ გაბო გოკიელთან, სახლში მივედით (ცხოვრობდა ბულვართან). ექიმმა თავაზიანად მიგვიღო, დედაჩემს გამოჰკითხა ყველაფერი, მე მომიალერსა, გამსინჯა, დამაიმედა, მალე კარგად იქნებიო. წამოსვლის დროს დედამ ფული ამოიღო და მიცემას აპირებ-

და. ექიმმა უთხრა: მე საერთოდ მოსწავლეებისგან ფულს არ ვღებულობო. პირიქით, თუ საჭიროა, წამლის ფულს მე მოგცემთო... მთელი ღამე თვალწინ მედგა ამ სათნო, დარბაისელი ექიმის სახე. იმ დღიდან დავისახე მიზნად, მეც ექიმი გამოვსულიყავი და მქონდა ის კარგი თვისებები, რაც ექიმ გაბო გოკიელს ჰქონდა...

გავხდი თუ არა ექიმი, სულ გაბო გოკიელი მედგა თვალწინ. თბილისში მეც მქონდა კერძო პრაქტიკა, მაგრამ არასოდეს ავადმყოფისაგან ფული არ ამიღია, პირიქით, ხშირად წამლის ფულს მე თვითონ ვაძლევდი. ეს იყო დიდი შთამაგონებელი გავლენა, რაც ექიმმა გაბო გოკიელმა მოახდინა ჩემზე“ (ციტატა დამოწმებულია ს. საყვარელიძის წიგნიდან „გაბრიელ გოკიელი“...).

- გაბრიელ გოკიელი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლი იყო. კარგად იცნობდა ქართველ კათოლიკეთა პრობლემებს და სხვადასხვა ფორმით სისტემატურად ზრუნავდა მის მოგვარებაზე. 1920 წელს თბილისში გაიმართა ქართველ კათოლიკეთა მეორე ყრილობა. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა გაბრიელ გოკიელიც. ყრილობამ აირჩია სამი დელეგატი, რომლებიც რომში უნდა გამგზავრებულიყვნენ პაპთან შესახვედრად, რათა მის წინაშე დაეყენებინათ ქართველი კათოლიკეებისათვის ორი მტკიცნეული საკითხი: თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს აღდგენა და ქართული ტიპიკონის შემოღება. დელეგატთა შორის ორ სასულიერო პირთან ერთად დასახელებული იყო გაბრიელ გოკიელიც, მაგრამ დელე-

გაციის რომში გამგზავრება ველარ მოხერხდა საქართველოს გასაბჭოების გამო.

სიცოცხლის ბოლო წლებში გაბო ექიმი ფიზიკური შეუძლებლობის გამო ველარ ასრულებდა თავის პროფესიულ საქმიანობას, იშვიათად გამოდიოდა სახლიდან, შინ კი, საწერ მაგიდასთან მჯდომი, კვლავ თავის საყვარელ საქმეზე ფიქრობდა: „როდესაც ახალგაზრდა და ჯანსაღი ვიყავი, არ დამიზოგია ჩემი ძალ-ღონე და, შეძლებისდაგვარად, შემიტანია ჩემი წვლილი როგორც საექიმო დარგში დახმარებით, აგრეთვე საზოგადო საქმეებში და პრესაში მონაწილეობის მიღებით. ახლაც, როდესაც ჩემმა მოხუცებულობამ, და განსაკუთრებით... მიღებული ტრავმის ნიადაგზე შეტევებმა დამაძაბუნა, რაც შემიძლია კიდევ ვცდილობ ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე ჩვენი საექიმო მეცნიერების ისტორიისათვის ზოგი გამოსადეგი საკითხი ოდნავ მაინც გავაშუქო. ამით იქნებ სულ პატარა სახსოვარი ნაშთი დავტოვო... თუ ეს ცოტათი მაინც შევასრულე, ჩემს თავს დიდ ბედნიერად ჩავთვლი“, – წერდა იგი თავის მოგონებებში.

გაბრიელ გოკიელი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისში 1938 წლის 18 თებერვალს. იქვეა დაკრძალული.

მისი სახელის უკვდავსაყოფად ქუთაისში, წერეთლის ქუჩის №8 სახლის ფასადზე გაკეთებული იყო მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში 1903-1938 წლებ-

ში ცხოვრობდა ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე გაბრიელ (გაბო) გოკიელი.¹

შენიშვნა: დღეს ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაში (1978 წ.) და, ალბათ, მისი გავლენით სოციალურ ქსელში...) გ. გოკიელის გარდაცვალების თარიღად დასახელებლია **1958** წელი, თუმცა უფრო ადრე გამოცემულ ს. საყვარელიძის წიგნში „გაბრიელ გოკიელი“ (თბ., 1973) მითითებულია 1938 წელი. ჩვენ საგანგებოდ გადავამოწმეთ იმდროინდელი პრესა და ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ გოკიელის გარდაცვალებასთან დაკავშირებული განცხადებით და-დასტურდა თარიღი – 1938 წელი.

მიგვაჩნია, რომ ეს უზუსტობა უნდა გასწორდეს.

¹ სამწუხაროდ, დღეს ქუთაისში მითითებულ ადგილზე აღარც სახლია და არც მემორიალური დაფა.

მაგდა ალექსანდრეს ასული ბეთანელი

(ექიმ-ჰემატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი)

ბეთან კლები და კოსტანაშვილები შესავალი

ჩვენი წინაპრები ბეთანაშვილები ყოფილან. ისინი ახალციხეში, სოფ. უდეში, ცხოვრობდნენ. იქ XVIII საუკუნის ოციან წლებში კათოლიკობა მიუღიათ. მათ-თვის ეკლესიას ნათლობის შემდეგ ბეთან ელი მიუნიჭებია. XIX საუკუნის დასაწყისში ბეთანელები ქუთაისში გადასახლებულან, რევოლუციამდე ზოგიერთი მათგანი იქ ბეთანოვად იწერებოდა. ჩემი დიდი ბაბუა, **დანიელ ბეთანელი**, მოკლე ხელობის ვაჭარი ყოფილა, ცოლად შეძლებული ოჯახის შვილი, ანა ჯინოშვილი შეურთავს, ისიც კათოლიკე, რომლის ძმაც, იოსებ ჯინოშვილი ექიმი ყოფილა (1890 წელს დაუმთავრებია პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემია და სამხედრო ექიმად მუშაობდა ქუთაისში).

დანიელმა და ანნამ 6 შვილი გაზარდეს – ალექსანდრე, სტეფანე, მიხეილი, იოსები, ელენე და მარიამი. იოსების და მარიამის გამოკლებით ოთხი შვილი ექიმი გახლდათ.

დანიელის უფროსი შვილი **ალექსანდრე** პეტერბურგის სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ იქვე მუშაობდა ექიმად. რუსი ცოლი შეურთავს და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ალექსანდრე პირველი მსოფლიო ომის დროს დაღუპულა. მას დარჩა ორი მცირენლოვანი ქალიშვილი – ნინო და თამარი, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე რუსეთში ცხოვრობდნენ.

სტეფანე დანიელის ბე ბეთანე კლი

ექიმი თერაპევტი სტეფანე ბეთანელი დაიბადა 1878 წელს ქუთაისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში. იგი რამდენიმე წელი მუშაობდა პეტერბურგში თერაპევტად, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, საცხოვრებლად დამკვიდრდა ქუთაისში და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თავისი პროფესიით (ერთხანს იგი, როგორც თეთრი გვარდიის თადარიგის ოფიცერი, პირველ მსოფლიო ომშიც გაუწევიათ ექიმად).

სტეფანე ქუთაისში ფილტვებით დაავადებულებს მკურნალობდა ძირითადად. აქ მან მალე გაითქვა კარგი ექიმის სახელი. მთელი დასავლეთ საქართველოდანაც ჩამოჰყავდათ მასთან სასუნთქი სისტემის სხვადასხვა დაავადების პაციენტები.

სტეფანემ თავის უმცროს ძმასთან – მიხეილ თან დააფუძნა პატარა კერძო კლინიკა და წარმატებული პრაქტიკისაც ჰქონიათ. ძმები კარგი შემოსავლის წყალობით დიდ ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ: გარდა უფასო მკურნალობისა, ფინანსურადაც ეხმარებოდნენ ლარიბებს (განურჩევლად აღმსარებლობისა და ეროვნებისა), შესანირავი შეჰქონდათ კათოლიკურ ეკლესიაში და ა. შ.

სამწუხაროდ, სტეფანემ დაოჯახება ვერ მოასწორო, ტუბერკულოზით დაავადდა და გარდაიცვალა 1920 წელს, 42 წლის ასაკში. დაკრძალულია ქუთაისში.

მიხეილ დანიელის ძე ბეთან ქლი

საქართველოში პირველი ექიმი ვენეროლოგი – მიხეილ ბეთანელი დაიბადა **1881** წელს ქალაქ ქუთაისში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა კანისა და ვენერული სნეულებების შესწავლით. ამ მიზნით სტუდენტობის პერიოდში პარალელურად დაიწყო მუშაობა სუბასისტენტად ხარკოვის კანისა და ვენერულ სნეულებათა კლინიკებში.

ახალგაზრდა ექიმი 1907 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა ქუთაისში და შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას – გახდა კანისა და ვენერულ სნეულებათა მკურნალობის მესვეური ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოში.

1912 წელს მიხეილ ბეთანელმა ექიმებთან – ვ. ჭოლოშვილსა და გ. ნადირაძესთან ერთად დააარსა „ქუთაის ექიმ სპეციალისტთა პირველი საავადმყოფო“, სადაც მასთან ერთად მუშაობდნენ ქალაქის საუკეთესო სპეციალისტები. საავადმყოფომ იარსება 1921 წლამდე. საქართველოს გასაბჭოების გამო ბეთანელებმა ვერ შეძლეს ამ კლინიკის შენარჩუნება. ბოლშევიკებმა ოჯახს ჩამოართვეს საავადმყოფოს აღჭურვილობა და შენობაც, რომელიც სოლიდურ ფასად იყო შეძენილი. ძმებს თანხის ნაწილი მამამ – დანიელმა მისცა, ხოლო ნაწილი ახლობლებისაგან აუღიათ სესხად.

იმ დროის ქუთაისში დანიელის შვილები რომ კარგი ექიმები და უაღრესად კეთილშობილი ადამიანები იყვნენ, ყველასთვის ცნობილი იყო. ნათესავებსაც სჯეროდათ, რომ ძმები ხალხისა და ქალაქისთვის სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ, ბევრმა მათგანმა ყოველგვარი ხელწერილის გარეშე ასესხა თანხა. მიუხედავად ახალი – საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოჯახისთვის მიყენებული ესოდენ დიდი ფინანსური და მორალური ზარალისა, მიხეილი თურმე თავად იხდიდა ამ ვალს ბოლო კაპიკამდე.

მიხეილ ბეთანელი 1920-იანი წლებიდან ქალაქის №1 საავადმყოფოში დანიშნეს კანისა და ვენსნეულებათა განყოფილების გამგედ. აღსანიშნავია, რომ მანამდე იგი ხშირად მიემგზავრებოდა ქ. ხარკოვისა და რუსეთის მონინავე კლინიკებში თავისი სპეციალობის განხრით მეცნიერების ახალი მიღწევების გასაცნობად... მან პირველმა დაიწყო ქუთაისში ახალი პრეპარატით – სალვარსანით მკურნალობა.

1925 წელს საქართველოს ექიმთა მესამე კონგრესზე ბატონმა მიხეილმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება, რომელიც ეხებოდა საშარდე მილის დაზიანებული ადგილების გამოცნობის ახალ – ე. წ. ქიმიოგრაფიულ მეთოდს. მან 1923-1924 წლებში საავადმყოფოში პრაქტიკულ მუშაობაზე დაკვირვებით სრულიად დამოუკიდებლად შეიმუშავა ზემოაღნიშნული მეთოდი და მოხსენების სახით გააცნო ჯერ (1924 წ.) ქუთაისის ექიმთა საზოგადოებას, 1925 წლის ყრილობაზე კი მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა თანდასწრებით მოახდინა მისი საჯარო დემონსტრაცია ავადმყოფებზე. კონგრესის მონაწილენი ერთხმად აღია-

რებდნენ, რომ იმ დროისათვის ეს ახალი – სადიაგნოსტიკო-ქიმიოგრაფიული მეთოდი აქამდე არ ყოფილა აღნერილი საბჭოთა და უცხოეთის სამედიცინო ლიტერატურაში. ამდენად, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მ. ბეთანელის მოხსენების გამოქვეყნება უცხოეთშიც.

სპეციალისტთა შეფასებით, ქიმიოგრაფიულ მეთოდს ჯეროვანი სამსახურის განევა შეუძლია არა მარტო საშარდე მილის დაავადებათა დიაგნოსტიკის საქმეში, არამედ იგი ასეთივე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საყლაპავი მილის სიმსივნისა და სხვა წარმოშობის წყლულების ლოკალიზაციის, მათი ბუნებისა და ოდენობის განსაზღვრისათვის, ეზოფაგოსკოპიასა და რენტგენოსკოპიასთან ერთად. ქიმიოგრაფიულ მეთოდს შეუძლია მოგვცეს სპეციალური სურათი კანის სხვადასხვა ხასიათის წყლულოვანი დაავადების დროს.

გარდა ამისა, მიხეილ ბეთანელმა სამედიცინო დარგში დაამკვიდრა ტერმინი „ქიმიოგრაფია“.

მიხეილი დაქორწინებული იყო ცნობილი ქუთაისელი კათოლიკე ოჯახის ასულზე სოფიო კოსტანაშვილზე. შეეძინათ ერთი შვილი – ალექსანდრე, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი ექიმი ქირურგი.

მიხეილ ბეთანელი სიცოცხლის ბოლო წლებში მძიმე ავადმყოფი იყო, უკურნებელი სენით დაავადებული გარდაიცვალა **1942** წელს. დაკრძალულია ქუთაისში.

ექიმი მიხეილი დასავლეთ საქართველოში აღიარებული იყო ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკოს სპეციალისტად. მას იცნობდნენ თბილისელი კოლეგებიც, როგორც ფართო განათლების მქონე, ახლის მაძიებელ მკვლევარ-

საც. ცნობილია, რომ მიხეილი და მისი ძმა სტეფანე სა-აფთიაქო საქმიანობითაც ყოფილან დაინტერესებული. მიხეილის მიერ შემუშავებული რამდენიმე წამლის რე-ცეპტით ძმები თვითონვე ამზადებდნენ წამლებს ხსნარი-სა და მალამოების სახით (წამლისთვის საჭირო მასალა უცხოეთიდან ჩამოჰქონდათ). მათი გამოყენებით საკმა-ოდ კარგი შედეგი ჰქონიათ კანისა და სქესობრივი გზით გადამდები რთულად მიმდინარე ზოგიერთი დაავადების მეურნალობაში.

მიხეილ ბეთანელის ქვისლს ივანე ჩინიჯიშ-ვილს, რომელიც დასავლეთ საქართველოში საკუთარ ფართო სააფთიაქო ქსელს ფლობდა, მიხეილისათვის წამლების გარკვეული პარტია საჩუქრად ჩამოჰქონდა თურმე. ამით ორივეს ეძლეოდა ქველმოქმედების საუკე-თესო საშუალება – შეჭირვებული ადამიანებისთვის გაე-მართათ ხელი.

როგორც აღინიშნა, მიხეილი ყოფილა მრავალშერი-ვად განათლებული და ძალიან ნიჭიერი ადამიანი. თავის დარგში ჰქონია გამოგონებაც – სამედიცინო მოწყობი-ლობა ირიგატორი, რომელსაც მოგვიანებით მისი თბილისელი კოლეგებიც იყენებდნენ. აპარატის აღნერი-ლობა ხარკოვის უნივერსიტეტში გაუგზავნია საავტორო უფლების მისაღებად. განხილვის შეტყობინებაც (წერი-ლი) მიუღია, მაგრამ ავტორობის დამადასტურებელი სა-ბუთი გაიცა თუ არა, სამწუხაროდ, არავინ იცის. რუ-სეთში რევოლუცია მოხდა...

ელენე დანიელის ასული ბეთანელი

ელენე ბეთანელი, ცნობილი მეანგინეკოლოგი, დაიბადა 1894 წელს ქუთაისში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ნიჭიერი გოგონა ქალთა სასწავლებელში მიაპარეს, 1918 წელს კი მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ, 1923 წლიდან, ათი წელი მუშაობდა უნივერსიტეტში კათედრის ასისტენტად. ელენე საქართველოში გინეკოლოგიური პათოპისტოლოგიის პიონერი გახდათ. 1927-1928 წლებში სამეცნიერო მივლინებით მუშაობდა ბერლინის რობერ მაიერის კლინიკაში, შემდეგ – ქ. იენის პათოლოგიის ინსტიტუტში. ელენეზე მისი მასწავლებელი გაბრიელ ღამბაშვილი (საქართველოში გინეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც პირველმა ჩამოიტანა ახლადგამოგონებული რენტგენის აპარატი და რადიუმი) დიდ იმედს ამყარებდა (გერმანიაშიც მისი რეკომენდაციით გაუგზავნიათ).

საქართველოში დაბრუნებული ელენე ბეთანელი სამუშაოდ მიიწვიეს თბილისის სამეანო გინეკოლოგიურ კლინიკაში ასისტენტის თანამდებობაზე, მაგრამ 1934 წელს მოუნია ქუთაისში დაბრუნება, რადგან მისი უფროსი ძმა მიხეილი უკურნებელი სენით დაავადდა და თავი ვალდებულად ჩათვალა, მის სიახლოვეს ყოფილიყო.

1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საშვილოსნოს ყელის ეროზიის ჰისტოლოგიური დიაგნოზისათვის.“

1940-იანი წლებიდან ქალბატონი ელენე დასავლეთ საქართველოში წამყვანი და ყველაზე ცნობილი მეან-გინეკოლოგი იყო. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ქუთაისის პირველი, მეორე და მესამე სამ-შობიაროს მეან-გინეკოლოგიის განყოფილებას. 1950 წლიდან მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინ-სტიტუტის ანატომიისა და ჰისტოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზეც.

ელენე ბეთანელი თავის წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში მოღვაწეობასაც: 1948 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერმე აირჩიეს ქუთაისის საქალაქო და დასავლეთ საქართველოს საოლქო საბჭოს დეპუტატად. იყო უერნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო საბჭოს წევრი (1957). **1942** წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. მიღებული ჰქონდა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები: შრომის წითელი დროშის (1951) და ლენინის (1954) ორდენები.

ელენე ბეთანელი არ დაოჯახებულა. მთელი ცხოვრება მიუძღვნა ოჯახისა და პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვას. გარდაიცვალა **1961** წელს, დაკრძალულია ქუთაისში.

სოფიო იოსების ასული ქოსტანაშვილი-ბეთანელისა

სოფიო კოსტანაშვილი-ბეთანელისა, ალექ-
სანდრე ბეთანელის დედა (და ჩემი ბებია), ვაჭარისა და
მენარმის, იოსებ კოსტანაშვილის მრავალშვილიან ოჯახ-
ში ნაბოლარა ქალიშვილი იყო. დაიბადა **1888** წელს
ქუთაისში. მამამისი მე-19 საუკუნის 40-იან წლებში
ოჯახის ფინანსური მხარდაჭერითა და კათოლიკური ეკ-
ლესის შუამავლობით იტალიაში მინის დამზადების
შესასწავლად გამგზავრებულა. იქ ხელობა კარგად შეუს-
წავლია, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობაც შეუძენია
და ქუთაისში ვენეციური შუშისა და სარკის მცირე
საწარმოც აუმჯობესებია. იოსებს ულამაზესი მეუღლე
ჰყოლია, სოხუმელი კათოლიკე ან ნა სოლორაშვი-
ლი, რომელიც ადრე გარდაცვლილა და 12 წლის ასაკში
სოფიოს აღზრდა მასზე ათი წლით უფროს დას, მარიამს
(პროფესიით მხატვარს) უკისრია. მარიამის გათხოვების
შემდეგ სოფიო 15 წლამდე კეთილშობილ ქალიშ-
ვილთა სადღელამისო პანსიონში მიაბარეს, საიდა-
ნაც შინ მხოლოდ უქმე და დღესასწაულების დღეებში
უშვებდნენ.

18 წლის ასაკში სოფიომ ქალთა გიმნაზია და-
ასრულა, რის შემდეგაც მამას პეტერბურგში ჩაუყვა-
ნია და თავისი უფროსი ვაჟის, ვიქტორისათვის (პროფე-
სიით ფარმაცევტი) ჩაუბარებია. იქ ორი წელი სოფიომ
კონსერვატორიაში ისწავლა, ფორტეპიანოს
განხრით. იოსებმა, რომელიც „პიანინოზე დაკვრას“
მაინცდამაინც სერიოზულ საქმედ არ თვლიდა, გადაწ-

ყვიტა, ქალიშვილი კონსერვატორიიდან ქალთა კბილის საექიმო ინსტიტუტში გადაეყვანა. ეს უმაღლესი სასწავლებელი იმპერატორის მეუღლის პატრონაჟის ქვეშ ყოფილა და ძალიან პრესტიულად ითვლებოდა თურმე. ბებია პეტერბურგში გატარებული სტუდენტობის პერიოდის უამრავ საინტერესო და ლამაზ ისტორიას მიამბობდა. თითქმის ყველა დღესასწაულზე გვსტუმრობდა „იმპერატრიცა“ ალექსანდრა. ერთხელ, საშობაო მეჯლისზე, ბებიას კონცერტმეისტერი შეუცვლია – არაჩვეულებრივად შევასრულე შტრაუსის რამდენიმე ვალსიო და ჩემი აკომპანიმენტის ქვეშ მისმა უდიდებულესობამ, თვით იმპერატორის მეუღლემ ალექსანდრა-მაც იცეკვაო. მეჯლისის ბოლოს დირექციისგან სპეციალური პრიზი – ულამაზესი თოჯინაც დავიმსახურეო...

კონსერვატორიიდან რომ კბილის საექიმოზე გადაიყვანეს, სოფიო ძალიან განაწყენებულა მამაზე, თუმცა წინააღმდეგობის გაწევას როგორ გაუბედავდა, მერე მადლიერი ვიყავი მისი ამ გადაწყვეტილების, რომ არა ჩემი კბილის ექიმობა და მამისაგან ნაჩუქარი თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიური კაბინეტის სრული აღჭურვილობა, იმ გაჭირვებულ წლებში შიმშილით დავიხოცებოდით მთელი ოჯახი და საშასთვისაც ასეთ ხელშეწყობას ვერასდროს შევძლებდიო. კაბინეტი მხოლოდ იმიტომ არ დაგვიხურეს, ქუთაისის შინსახვომის და ჩეკას უფროსები ჩემი და მიშას პაციენტები იყვნენო. სიცილით იხსენებდა: ზოგი ბოლშევიკი მაღალჩინოსანი ყბაახვეული ჩვენს სადარბაზოში კიბეზე სახვევს იძრობდა და მიშას კაბინეტში შედიოდაო, – ასე იგონებდა ბებია იმ წლებს.

სოფიო დილიდან დაღამებამდე მუშაობდა, სახლის

პირველ სართულზე მოწყობილ კაბინეტში იღებდა პაციენტებს. გასაბჭოების შემდეგ ჩვენი სახლის პირველი სართული სახელმწიფომ წაიღო და იქ მაღაზიები და ფოტოატელიე გახსნა. კიდევ კარგი, სახლი დიდი იყო და სოფიომ და მიხეილმა თავიანთი მისალები და სამანიპულაციო კაბინეტები მეორე სართულზე, ოდესლაც სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახებში განათავსეს. პატარა ქალაქში „ყველა ყველას იცნობდა“, ვის როდის რა ასტკივდებოდა, არავინ უწყოდა და ამიტომაც ექიმებს შედარებით ნაკლებად გვერჩოდნენ. საცხოვრებელი სახლის გარდა, ყველანაირი ქონება წაართვეს თურმეოჯახს. ბინა იმ სარჩულით დაუტოვეს, რომ ბევრი სული იყო ჩაწერილი, ქალაქის ერთ მაღალჩინოსან ჩეკისტს, რომელიც მიშას დიდი ხნის პაციენტი იყო, ამაში სოლიდური ქრთამი აუღია, მერე არავინ უწყის, ვითომდა სხვების თვალის ასახვევად თუ რეალურად, ჩხრეკაზე გამოუგზავნია თავისი ხალხი. იმათაც, რაც მოსწონებიათ და რისი წალებაც შეძლეს, ყოველგვარი აღწერისა და ხელის მოწერის გარეშე წაუღიათ. ჩხრეკისას საოცრება მოხდაო, – იხსენებდა ბებია: შინსახუომელებიდან ყველაზე აქტიური (ალბათ, ჯგუფის უფროსი), ოჯახის სალოცავს, იტალიიდან მამაჩემის მიერ ჩამობრძანებულ ლურდის ღვთის მშობლის ქანდაკებას რომ მიუახლოვდა, წამიერად თითქოს ადგილზე გაქვავდაო. მერე ჩუმად ჩამილაპარაკა, ეს მოაშორეთ აქედანო. ბოლო ორ ოთახში ჩხრეკა აღარ გაუგრძელებია, ისე გასცა წასვლის განკარგულებაო. საკუჭნაოში გადაუტანია ოჯახის სალოცავი სინმინდები ბებიას, იქ ლოცულობდა და სანთელს ანთებდა თურმე მაღულად და მთელი სიცოცხლე სჯეროდა: სიბნელეში რომ გადაიტანა, ამისთვის „გაუბ-

რაზდა“ ღვთისმშობელი – ქმარი და ძმა ერთდროულად გაუხდა ავად. მძიმე შრომისა და წვალების უამი დაუდგა არასრულნლოვან ვაჟიშვილთან ერთად ბებიას, ფაქტობრივად მარტო დარჩენილ ოჯახის მარჩენალს.

ექიმებს კერძო პრაქტიკა რომ აუკრძალეს, სახლთან ახლოს მდებარე სახელმწიფო პოლიკლინიკაში გაუგრძელებია სოფიოს სტომატოლოგად მუშაობა. რაღაც პერიოდი გამომუშავებით უხდიდნენ თურმე ხელფასს და ასე არჩენდა ოჯახს. ბევრი პაციენტი ჰყოლია, ჩემთან მოსახვედრად წინასწარაც ენერებოდნენო, მიყვებოდა. დილით სახლიდან გასული, ძირითადად საღამოს 8 საათზე ვბრუნდებოდი შინ, ერთხელ გრძელი კიბეების ამოვლამდე პირველ საფეხურზეც კი ჩამოვმჯდარვარ და ჩამძინებიაო. 12 წელი ავადმყოფ მეუღლეს უვლიდა. რომ დაქვრივდა, მანამ იმუშავა, ვიდრე მამაჩემი მყარად დადგა ფეხზე. ერთადერთი შვილი ჰყავდა და ყველა-ფერს აკეთებდა, მისი პროფესიული განვითარებისთვის ყოფით პრობლემებს რომ არ შეეშალა ხელი.

მამა სიცოცხლის ბოლომდე აღმერთებდა ბებიას და მადლიერი იყო მისი. თვლიდა, რომ არა დედის ამგვარი ხელშეწყობა, კარგი ქირურგი ვერასოდეს დადგებოდა. ძალიან რთულ დროს, ომისშედგომ პერიოდში, ბებიამ თავისი თავდაუზოგავი შრომით უზრუნველყო ვაჟიშვილის რამდენიმე წლით მოსკოვში გამგზავრება, სადაც დიდი ქირურგების, პროფესორების ვალერიან კაზანსკის და ტიმოფეი მაკარენ კოს გვერდით იდგა საოპერაციო მაგიდასთან და ისმენდა მათს ლექციებს. მოგვიანებით, 60-იან წლებში, მათვე შესთავაზეს მოსკოვში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კათედრის გამგის

ასარჩევ კონკურსში მიეღო მონაწილეობა; სამეცნიერო საბჭოს წინაშე შეუძლია მონიციის დაკავებაზე, რომელიც უამრავი ქირურგისთვის საოცნებო იყო, მაგრამ იმის მომიზებიერით, რომ ქუთასიში დედას მარტოს ვერ დატოვებდა, მამამამ უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე. ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ არასდროს გახდებოდა კომუნისტური პარტიის წევრი (რაც აუცილებელი პირობა იყო კათედრის გამგის პოზიციის დასაკავებლად). შემდეგშიც, უკვე თბილისში, მისი კარიერისთვის არაერთჯერ შეუძლია ხელი უპარტიობას, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე თავისი პრინციპების ერთგული იყო და არც არასდროს უნანია ამაზე.

სოფიო ბებიას ჩემს აღზრდაშიც დიდი წვლილი ჰქონდა. ერთად დიდ დროს ვატარებდით, მამეცადინებდა მუსიკაში, რუსულში, ბავშვებს გვადგმევინებდა სპექტაკლებს და გვიწყობდა კონცერტებს; ერთად ბევრს ვკითხულობდით და კლასიკურ მუსიკას ვუსმენდით. ფილმის კადრებივით ჩამებეჭდა მისგან მოსმენილი ისტორიები თავის ახალგაზრდობაზე, და-ძმასა და კათოლიკე ნათე-სავებზე: კოკოჩაშვილებზე, ფალიაშვილებზე (ზაქარია ფალიაშვილის ძმა, პეტრე, მისი ნათლია იყო), ყაუხჩიშვილებზე, რომლებითაც ძალიან ამაყობდა. ბებიას გადაწყვეტილებით 6 წლის ასაკში მომნათლეს თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს ტაძარში, სადაც ვიდრე ჯანმრთელად იყო, რეგულარულად დადიოდა საკვირაო წირვებზე და მეც თან დავყავდი. 19 წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა და თითქოს მაშინ დამთავრდა ჩემი ბავშვობა.

ვალერიან (ვალიკო) ქოსტანაშვილი¹

ვალერიან (ვალიკო) ქოსტანაშვილი (1876-1965), სოფიოს ძმა, გინეკოლოგი გახლდათ. მან ხარკოვში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. 1904 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაემ-გზავრა მოსკოვში, სადაც მუშაობდა რუსეთში გინეკო-ლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელთან, ვლადიმერ სნეგი-რევთან. ჩვენი ოჯახის ბიბლიოთეკაში დღესაც ინახება უნიკალური, ხელით ნახატი გერმანული გინეკოლოგიური ატლასი, რომელიც სნეგირევმა პირადად უსახსოვ-რა თავის ბეჯით და იმედისმომცემ ახალგაზრდა კოლე-გას. ვალერიანს უყვარდა პოეზია, მუსიკა, არაჩვეულებ-რივად უკრავდა ფორტეპიანოზე. ლამაზი გარეგნობით, ფაქიზი სულითა და რომანტიული ბუნებით ოჯახში ყვე-ლასგან გამოირჩეოდაო.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისთანავე ვალერიანი სამხედრო ექიმად გაუწვევიათ. ომის მძიმე რეალობამ ფსიქიკური ჯანმრთელობა შეურყია. ამას დაერთო თა-ვის სერიოზული ტრავმა, რომელიც ფრონტზე მიიღო. ოჯახის დიდი ძალისხმევით, კონტუზირებული ვალერია-ნი საქართველოში გადმოუყვანიათ. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდაო, იმდენად დაუძლურებული ყოფილა, ჩვილი ბავშვივით უვლიდნენ თურმე დები და ლამის ერ-

¹ ვალერიან ქოსტანაშვილი ქართველი კათოლიკე ექიმების ერთ-ერთი წარმომადგენელია. მას საკუთარი ოჯახი (ცოლ-შვილი) არ ჰყოლია, თუმცა დიდი როლი შეუსრულებია დისტვილის – საბას აღზრდაში. ამიტომ ბეთანელების გვერდით გთავაზობთ მის შესახებ ინფორ-მაციებს ქალბატონი მაგდას მოგონებების მიხედვით (ჟ. ფ.)

თი წელი დასჭირვებია მის ფიზიკურ და ფსიქიკურ რეაბილიტაციას.

ჩვენს საოჯახო ალბომში ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი ძალიან ლამაზი ვალერიანის რამდენიმე ფოტოა. გასაოცარია (სამი წლის ვიყავი, რომ გარდაიცვალა), მაგრამ მე ის მახსოვს, წმინდად გაპარსული, ძალიან სიმპათიური ჭაღარა მოხუცი, რომელიც სულ მეფე-რებოდა და მიღიმოდა. მახსოვს საბავშვო ნახატებიანი ალბომები, რომლებსაც სპეციალურად ჩემთვის ქმნიდა.

ახალგაზრდა ექიმი თავისი საქმის პროფესიონალი ყოფილა, ათი წელი ქუთაისის პირველ სამშობიაროში, შემდეგ წყალტუბოში მუშაობდა გინეკოლოგად. ომში მიღებულმა ტრამვამ ადრე შეურყია ჯანმრთელობა და ნაადრევად გასულა პენსიაში. ძალიან კეთილშობილი და სულით ხორცამდე არისტოკრატ ვალერიანს უდიდესი წვლილი მიუძღვდა დისწულის, ალექსანდრეს აღზრდასა და განათლებაში. ფრანგული ენა ჰყვარებია ძალიან, სრულყოფილადაც ფლობდა და თურმე დისწულთანაც ხშირად მუსაიფობდა, ოლონდ რომ უხერხულობაში არ ჩაეყენებინა, არასდროს სხვისი თანდასწრებით. სტუმარ ბავშვსაც კი ფეხზე წამოუდგებოდა ხოლმეო, ამბობდნენ. ცოლი არ შეურთავს, მამისეულ სახლში დასთან და დისწულთან ერთად გაატარა მთელი ცხოვრება. „ძია ვალიკო ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჩემს ცხოვრებაში. 14 წლის ასაკიდან, თორმეტი წელი მამას მხოლოდ მძიმე ავადმყოფს ვხედავდი, და ბიძაჩემი ჩემი მამაც გახდა, მასწავლებელიც, მეგობარიც და მესაიდუმლეც“, - ამბობდა ალექსანდრე ბეთანელი.

შენიშვნა: დანიელ ბეთანელის ოჯახში ოთხი ექიმის გვერდით აღიზრდა უმცროსი ძმა **იოსები**. მან დაამთავრა ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი და იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დოცენტი. ნიჭიერებით განთქმული ბეთანელების მემკვიდრეებიც გამორჩეულები იყვნენ თავიანთი ცხოვრება-მოღვაწეობით. მათ შორის გახლდათ იოსების ვაჟი არჩილი.

არჩილ იოსების ძე ბეთანელი იყო საქართველოს საინჟინრო და რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის აკადემიკოსი; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სხვადასხვა პერიოდში მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ს/კ ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმფრინავთმშენებლობის კათედრის გამგე, რომლის ინიციატივითაც ჩამოყალიბდა საავიაციო სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი.

იოსების შვილიშვილი, **თამარ ბეთანელი** (ასევე კათოლიკედ მონათლული) 30 წელია, გერმანიაში წარმატებული ექიმია. არის **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი**, ექიმი **ნევროპათოლოგი**, **ფსიქიატრი** და **ფსიქოთერაპეტი**, ხოლო **შვილთაშვილი** გრიგორი (გაგა) ბოკერია კიოლნის გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გერმანიაში წარმატებული ინფორმატიკოსი-ეკონომისტია.

ალექსანდრე (საშა) ბახეილის ძე ბეთან კლი

დიდი ქართველი ქირურგი ალექსანდრე, იგივე საშა (ეკლესიის დაბადების მოწმობით, პეტრე-პავლე) ბეთან ელი დაიბადა 1920 წლის 29 ივნისს ქ. ქუთაისში, ქართველ კათოლიკეთა წარჩინებულ ოჯახში. ექიმი მშობლების გარდა, მას ექიმები ჰყავდა მამიდა და ბიძები.

დედისერთა პატარა საშა, დანიელ ბეთანელის დიდი ოჯახის ერთადერთი შვილიშვილი, ყველასგან განებივ-რებული ბავშვი იყო, ბედნიერი, უზრუნველყოფილი.

იმხანად საბავშვო ბალი არ არსებობდა და სამი წლიდან ორი „გუვერნანტკა“ ზრდიდა, ერთი ფრანგი და მეორე გერმანელი. ეს ორი ქალბატონი მეფის რუსეთი-დან ოჯახებთან ერთად დევნილი თეთრგვარდიელი სამხედროების ქვრივები იყვნენ. ბებიაჩემს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია, პატარა საშას აღსაზრდელად რომ დაეყოლიებინა ერთიცა და მეორეც. მათი დამსახურებით მამა თავისუფლად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულს. კარგ მანერებს და ქცევებს უნერგავდნენ და, როგორც თვითონ ჰყვებოდა, იმდენად ყელში ჰქონდა ამოსული ეს გალანტურობის გაკვეთილები, რომ ზოგჯერ ერთი სული ჰქონდა, გარეთ გავარდნილიყო და ქუჩაში ველოსიპედით თავქუდმოგლეჯილი ექროლა, ყირაზე გადასულიყო და სხვადასხვა „უგვანო“ საქციელი ჩაედინა. ასე განსაჯეთ, ზოგჯერ მეზობლების ფანჯრებსაც უშენდა კენჭებს და წინა მერხზე მჯდომი მაბეზლარა გოგონას ნაწნავის ბოლოც სიამოვნებით ამოუვლია სამელნე-

ში. ძალიან ცელქი ყოფილა, რის გამოც თურმე ბებიას ერთი სკოლიდან მეორეში გადაჰყავდა. სკოლამდელ ასაკში ეკლესიაში საალდგომო წირვაში სხვა ბავშვებთან ერთად იღებდა მონაწილეობას, ყველაზე მეტ სერიოზულობას იქ იჩენდა თურმე, მაგრამ ერთხელ იქაც ავურიეო, კვერებით სავსე ლანგარი ამოვაბრუნე შუა ქადაგების დროსო. საშობაო და საალდგომო წირვის შემდეგ ბეთანელების ოჯახში დიდი სადღესასწაულო ტრადიციული სადილი იმართებოდა თურმე. სუფრის თავში ყოველთვის ეკლესიის მოძღვარი, ოჯახის სულიერი მამა და მეგობარი, დონ დამიანე სააკაშვილი იჯდა. არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი ჰქონდაო, დღესაც ჩამესმის ყურში მისი ხავერდოვანი ხმა ქადაგების დროს და სანტა ლუჩიას შესრულება დედაჩემის ფორტეპიანოს აკომპანიმენტითო, - იხსენებდა მამა.

ალექსანდრემ დაამთავრა ქუთაისის მე-2 ათწლედი, ყოფილი სათავადაზნაურო, რომელშიც ძველი ტრადიციები რევოლუციის შემდეგაც იყო შემორჩენილი. მაგალითად, მოსწავლეს უცხო ენები უნდა ესწავლა და ფიზიკური მონაცემების შესაბამისად, სასურველი იყო, ბალეტზე ევლო. ბებიაჩემა ექვსი წლის საშა საბალეტო ტანცკლასში მიაბარა. „კიდევ კარგი, ჩემს ბედზე, ეს ტანცკლასი მალე მიახურეს, თორემ კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩემი ტანჯვა, არავინ იცისო,“ იცინოდა მამა. სკოლაში განსაკუთრებული მონდომებით ფიზიკას და ქიმიას ეწაფებოდა. ქიმიის მასწავლებელი თურმე ბებიას სთხოვდა, თქვენი ვაჟი სხვა მოსწავლეების თანდასწრებით კითხვებს ნუ მისვამს, უხერხულობა-

ში მაგდებს, ბევრ მათგანზე პასუხს, შინ რომ მივდივარ, წიგნებში ვეძებო. ყმაწვილობაში საშა ქიმიკოსობაზე ოცნებობდა, მაგრამ 14 წლის რომ იყო, მამა უკურნებელი სენით გაუხდა ავად და ექიმი დედის, მამიდისა და ბიძის საოჯახო სათათბიროს რჩევა გაუთვალისწინებია - თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შეუტანია საბუთები. საშა ბეთანელი გახდა სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი. როგორც თვითონ აღნიშნავდა, ინსტიტუტი იმსანად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტების გვერდით იდგა როგორც აღჭურვილობით, რომელიც ძირითადად ევროპიდან იყო ჩამოტანილი, ისე პედაგოგების ცოდნითა და მაღალი მეცნიერული დონით. თავისუფალ დროს შესაძლებლობას არასოდეს უშვებდა, რომ ივანე ბერიტაშვილისა და ალექსანდრე ნათიშვილის ლექციებს დასწრებოდა. უმაღლესში სწავლისას ლაბორატორიული დიაგნოსტიკა მიზიდავდათ, ორგანული ქიმია და ბიოქიმია უბადლოდ იცოდა, რაც მოგვიანებით დაავადების პათოგენეზისის შეცნობასა და დიაგნოსტიკაში ყოველთვის ეხმარებოდა. ქირურგობა მოგვიანებით გადაუწყვეტია.

საშამ 1941 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. მალევე დაიწყო სამამულო (მეორე მსოფლიო) ომი. 1941 წლიდანვე ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფო გასამხედროებული ყოფილა, იქ მომუშავე მედპერსონალი ე.ნ. ჯავშანის გამო ფრონტზე არ მიჰყავდათ და ბებიაჩემს ყველანაირი ღონე უხმარია, მამას იქ რომ დაეწყო მუშაობა. ყოველდღიურად ფრონტიდან უამრავი დაჭრილი ჩამოჰყავდათ, ამიტომ დღე და ღამეს ჰოსპიტალში ატა-

რებდა. 10-12 საათი საოპერაციო მაგიდასთან იდგა. თავდაპირველად გამოცდილ ქირურგებს უწევდა ასისტი-რებას და სულ რაღაც რვა თვეში დამოუკიდებლად მიუ-ციათ ოპერაციების კეთების უფლება. გულმკერდი, მუც-ლის ღრუ, თვალი, თავის ტვინი – ყველაფერი ერთნაი-რად აინტერესებდა თურმე. ოპერაციებს რომ დაასრუ-ლებდა, კლინიკის პათანატომიურ განყოფილებაში გადა-დიოდა და გარდაცვლილი პაციენტების გვამებს კვეთდა, ჰისტოლოგიურ პრეპარატებსაც თავად ამზადებდა, შემ-დეგ შინ მიჰქონდა და მიკროსკოპში სწავლობდა. პათო-ჰისტოლოგიაში მამიდა ელენე ამეცადინებდა.

1951-1954 წწ. ქუთაისის №1 საავადმყოფოს ქირურგად მუშაობდა, **1951-1953** წლებში, საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში, იყო ქუთაისის ოლქის ჯან-დაცვის მთავარი ქირურგი, 1954-1961 წწ. ქ. ქუ-თაისის ჯანგანის მთავარი ქირურგი, ხოლო 1961-1963 წწ. – ქ. ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი. კლინიკაში მუშაობის პარალე-ლურად მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა: 32 წლის ასაკ-ში (1952 წ.). დაიცვა საკანდიდატო და 42 წლის ასაკში (1962 წ.) სადოქტორო დისერტაციები. ქუთაისში არ არსებობდა ვივარიუმი, კვლევითი ლაბო-რატორია – არაფერი, რაც სამეცნიერი სამუშაოების ჩა-ტარებისათვის იყო აუცილებელი. თავისი საცხოვრებე-ლი სახლის ნახევარსარდაფებში თვითონ მოიწყო ვივარიუ-მიც და ლაბორატორიაც. ცხოველებზე ატარებდა ოპე-რაციებს. ასისტირებას მისი უახლოესი მეგობარი, კაკო კარსანიძე (კარდიოქირურგი) და ბიძა ვალერიანი

უნევდნენ, იგივენი გამოდიოდნენ ხან საოპერაციო მედ-
დმის და ხანაც პრეპარატორის როლში.

1957 წელს ალექსანდრე დაქორწინდა, ცოლად შე-
ირთო ლამაზი და ჭკვიანი ქალი მადონა ვასაძე, პროფესიით ყბა-სახის ქირურგი. „რომ გავიცანი,
მადონა სულ ახალი ჩამოსული იყო ლენინგრადიდან (სა-
დაც ყბასახის ქირურგის კორიფესთან, ლიმბერგთან
მუშაობდა რამდენიმე წელი) და თავის კარიერასთან და-
კავშირებით უამრავი გეგმა ჰქონდაო, მაგრამ ძალიან
მოვინდომე და მოკლე დროში, სულ ერთ წელინადში,
მოვახერხე მისი დაყოლება და ცოლადაც შევირთეო,“ –
ჰყვებოდა მამა. 1962 წელს კი მე დავიბადე... დედა და
მამა ქუთაისში ერთ კლინიკაში მუშაობდნენ.

თბილისში რომ გადმოვსახლდით (1965), დედა ჯერ
კოსმეტიკური სამკურნალოს მთავარი ექიმი იყო, ხოლო
შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუ-
ტის ჰოსპიტალური ქირურგის კათედრის დოცენტი. სა-
უბედუროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, 1993 წელს მო-
ულოდნელად ფილტვის ემბოლიით გარდაიცვალა...
არაჩვეულებრივი მეუღლეობა გაუწია მამას, მუდამ
გვერდზე ეფგა, ცდილობდა ოჯახის ბევრი პრობლემა
ისე გადაეჭრა, მამა ნაკლებად შეეწყებინა. სიცოცხლე-
ში ქვრივი ვარ, ღიმილით დაიჩივლებდა ხოლმე, ლხინში
თუ ჭირში, ყველგან მარტოს მიწევს სიარულიო. იშვიათი
გამონაკლისი იყო თეატრალური პრემიერები დედაჩემის
უფროსი ძმის, დიდი არტისტის, აკაკი ვასაძის მონაწი-
ლეობით. მამა აკაკის უდიდეს პატივს სცემდა. ცხოვრე-
ბაში სულ რამდენიმე უნიკალურ პიროვნებასთან მქონია

ახლო ურთიერთობა და აკაკი ვასაძე ერთი მათთაგანი იყო, – ხშირად უთქვამს.

1965 წელს საშა ბეთანელი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის აბდომინალური ქირურგიის კათედრის პროფესორად აირჩიეს და იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად თბილისში გადმოსახლებულიყო. ინსტიტუტი საკავშირო იყო, სსრკ-ის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიოდნენ დახელოვნების კურსებზე ქირურგები და ძალიან ხშირად, ბევრი მათგანი, ისევ თბილისში ითხოვდა რამდენიმეთვიანი სასწავლო მივლინებით წამოსვლას, ალექსანდრე ბეთანელის ლექციები რომ მოესმინა და საოპერაციო მაგიდასთან მის გვერდით მდგარიყო. გამიჭირდა ჩემი მშობლიური ქალაქის და სახლის დატოვება, მაგრამ დოცენტობას პროფესორობა ვამჯობინე და ქუთაისი დედაქალაქზე გავცვალეო, ამბობდა ვითომ ნახევრად ხუმრობით, თორემ კლინიკა და საოპერაციო ქუთაისშიც არაჩვეულებრივი მქონდა და პაციენტებიც უამრავი მყავდაო...

1989 წელს მამა ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელად გადავიდა, სადაც 2010 წლამდე იმუშავა. ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გადასვლამ მის თვალსაწიერს ახალი კარი გაუხსნა. ბიბლიის მიხედვით, „სისხლი ცხოვრების სულია“, ურთულესი სითხეა, მისი ერთი წვეთის შესწავლა მთელი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე წარმოდგენის საშუალებას გაძლევს. სისხლი მთელს ორგანიზმში დაძრნის, ყველა კუნძულს

იცნობს, ყველას ეხმარება და ასულდგმულებს, ყოველი ორგანოს საიდუმლო თან დააქვსო, წერდა და უბედნიერესი იყო, ამ საიდუმლოებებს რომ აზიარა ჰემატოლოგიაში მუშაობამ. შედეგად დაწერა მონოგრაფია „ჰემატოლოგია ქირურგებისათვის“, რომლის გამოცემაც თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო. ჰემატოლოგიის ინსტიტუტის პარალელურად, **1997-2007** წლებში ალექსანდრე ბეთანელი იყო თბილისის ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი. მისი 90 წლის იუბილე რომ აღვნიშნეთ, კვლავაც აქტიურად მუშაობდა ქირურგად. 50 წლის მეტი ეწეოდა კლინიკურ, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ზრდიდა თაობებს, ასწავლიდა ქირურგიასა და ადამიანობას...

ალექსანდრე ბეთანელი იყო არაჩვეულებრივი მამა და ბაბუა. ჩემთვის მშობელიც იყო, მედიცინის მასწავლებელიც და მეგობარიც. რბილი და დამყოლი მამა, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო. მუდამ ცდილობდა, დამოუკიდებელი ნაბიჯები ჩემით გადამედგა, თუმცა ისიც ვიცოდი, მამის განიერი ბეჭები კლდესავით რომ მიცავდნენ ყველგან, ამიტომაც ცხოვრების ქარტეხილების არასდროს მეშინოდა. არც ახლა მეშინია, როდესაც ჩემ გვერდით აღარაა, რადგანაც ვცდილობ, მისი პრინციპებით ვიცხოვრო, ჩემთვის ის თითქოს დღესაც ცოცხალია. უდიდესი დამსახურება აქვს შვილიშვილის, ჩემი ვაჟის, მიხეილ მაისურაძის პიროვნების ჩამოყალიბებაში. თავისუფლებას არასოდეს უზღუდავდა, მაგრამ ყოველთვის თვალთსაწიერში ჰყავდა. ძალიან

დიდ დროს უთმობდა მასთან ურთიერთობას; თავისუფ-
ლად მოაზროვნე, სწორ და მართალ ადამიანად ჩამოაყა-
ლიბა, რისთვისაც ღმერთის უსაზღვროდ მადლობელი
ვარ. მამას ძალიან უნდოდა, შვილიშვილსაც ოჯახის
ტრადიცია გაეგრძელებინა, მაგრამ არ შეენინააღმდეგა
მის გადაწყვეტილებას, დიპლომირებული ექიმობის შემ-
დგომი ეტაპი ელექტრონული მუსიკის პროდიუსერობის
სწავლებით რომ ჩაენაცვლებინა. შვილთაშვილსაც მოეს-
წრო, რომელსაც დიდი ბაბუის პატივსაცემად ალექ-
სანდრე დაარქვეს.

ზოგადად მეგონა, რომ მამა არასდროს იღლებოდა.
სულ კლინიკაში იყო, შეუსვენებლად 5-6 ოპერაციაზე
იდგა. სამსახურის შემდეგ დღის დარჩენილ დროს, უხში-
რესად ღამეს, საქართველოს სხვადასხვა კლინიკების სა-
ოპერაციოებში ატარებდა. გართულებული პაციენტის
გადასარჩენად ვინ მოსთვლის, რამდენჯერ, შინ დაბრუ-
ნებულს და დაღლილს, უარი ვერ უთქვამს სასონარკვე-
თილი ადამიანებისთვის და აეროპორტში წასულა, საი-
დანაც სანავიაციის შვეულმფრენს ისევ სოხუმში, ბა-
თუმში, ქუთაისში, მესტიაში ან ცხინვალში წაუყვანია
მძიმე ავადმყოფთან. შინ მუდამ ბაბუასეულ საწერ მაგი-
დასთან იჯდა, გამუდმებით წერდა ნაშრომებს და წიგ-
ნებს. დაწერილი აქვს უამრავი სტატია, რომელიც ქარ-
თულ და საკავშირო წამყვან ქირურგიულ უურნალებში
იბეჭდებოდა. იყო **273** სამეცნიერო ნაშრომის და
11 მონოგრაფის ავტორი. ნაშრომთა უმეტესობაში
ძირითადად განიხილავდა ოპერაციის შესრულების ან
მკურნალობის ახალ მეთოდს, რომელიც მისეული და

ორიგინალური იყო. ალექსანდრე ბეთანელს აღწერილი აქვს 12 ახალი სიმპტომი და სინდრომი ქირურგიაში, არის ოთხი დაპატენტებული გამოგონების ავტორი. „ქირურგია ადამიანის გამოგონებაა და ისეთივე საინტერესოა, როგორც, მაგალითად, მათემატიკა“, – უთხრა ერთხელ მასთან ინტერვიუზე მოსულ უცხოელ უურნალისტს. ქირურგის პროფესია იმიტომ ავირჩიე, რომ ოპერაციის გაკეთება უფრო ადვილი მეგონა, ვიდრე თერაპევტობა. ჩემი აზრით, თერაპევტი უნდა იყოს ექიმი პლუს ფილოსოფიის და ფსიქოლოგი. თერაპევტი უნდა ჩასწდეს ადამიანის ღრმა ფიქრებს და უნდა ესმოდეს ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, ეს ძალიან რთულად მიმაჩნდა. თურმე ვცდებოდი - თუ კარგი თერაპევტი არ ხარ, ვერც კარგი ქირურგი გამოხვალ. ამას გვიან მივხვდიო. კარგმა ქირურგმა უნდა იცოდეს, როდის არ გაჭრას, თორემ გაჭრაზე ადვილი არაფერიაო, ხშირად ამბობდა. ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქირურგისთვის ძალიან რთულია. პაციენტისთვისაც რთულია საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა. ეს თითქმის იგივეა, რაც თავის დადება გილიოტინის ქვეშ, რადგან 100%-ით ვერავინ მოგცემს გარანტიას, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება, ნარკოზის შემდეგ გაიღვიძებ და ამ მაგიდიდან ადგომას შეძლებ თუ არა. უამრავი ადამიანი გამომიგლეჯია სიკვდილის ხელიდან. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ალბათ ათას-ჯერ ნაკლები იქნება, მე გარდაცვლილი პაციენტები უფრო დამამახსოვრდა, ვიდრე სიცოცხლედაბრუნებულები. არ არის მართალი, რომ ადამიანი ყველაფერს ეგუება,

რაც უნდა დრო გავიდეს, მაინც განიცდი, არა და ყველას ვერ გადაარჩენ“.

მამა ძალიან ბევრს კითხულობდა, რასაკვირველია, არა მხოლოდ სამედიცინო ლიტერატურას. ერთნაირად აინტერესებდა ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ფილოსოფია, ლიტერატურა. ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა, ცოცხალ ენციკლოპედიას უწოდებდნენ და ჭეშ-მარიტად ასეც იყო. არაჩვეულებრივად იცოდა საქართველოს ისტორია, **თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო** და საშინალად ტკიოდა ყველაფერი ის, რაც ჩვენს თავს ხდებოდა. მე ცხოვრებაში ორჯერ ვნახე მამა ატირებული – პირველად 9 აპრილის დღილას და მეორედ, ტყვიის გილზებით მიმოფენილი და დანგრეული რუსთაველის გამზირიდან რომ დაპრუნდა სასონარკვეთილი. 2010 წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: “მტკიცნეული ის არის, რომ ერი მუდმივ სტრესშია, რუსეთს ჩვენი განადგურება უნდა. ხელისუფლება არ ჰყავს ჯანმრთელი. როდესაც ადამიანი ან ადამიანები ფიქრობენ, რომ სხვა ადამიანებთან მიმართებაში მხოლოდ ცუდი უნდა ჩაიდინონ, ეს არ არის ნორმალური, ეს პარანოია და ფსიქიატრიაში ეს ყველაზე კრიტიკული დაავადებაა. რა იქნება, რთულია მომავლის პროგნოზის გაკეთება. ფაქტობრივად, მიკვირს ჯერ კიდევ რომ ვარსებობთ და გვაქვს ჩვენი საქართველო, ტერიტორიებჩამოჭრილი, მაგრამ მაინც გვაქვს. 2008 წლის აგვისტოში სასწაულად გადავრჩით. ჩვენი მეზობელი ძალიან საშიში და სულელია. გვეკითხებიან – რატომ გვჭირდება ნატო – არ გვჭირდება, მაგრამ, რადგან რუსეთის გვეშინია, ჩვენთვის აუცილებე-

ლია. რუსეთი რომ ჩვენთვის კარგი ყოფილიყო, ნატოში შესვლას არ ვეცდებოდით. რუსეთი ვერ ივიწყებს, რომ მათი კოლონია აღარ ვართ. ევროკავშირი და აშშ რომ არა, დღეს რუსეთი ჩვენს ტერიტორიაზე იქნებოდა და ჩვენ რუკაზე აღარ ვიქნებოდით. ჩვენ ვერ ვებრძოლებით რუსეთს, გადახედეთ რუკას, ნახეთ რა დიდია რუსეთი და რა პატარაა საქართველო! ბევრს საუბრობენ დემოკრატიაზე, მაგრამ სინამდვილეში ჩვენში არ იციან, რა არის ეს. დემოკრატია ტყუილ-მართალის ლაპარაკი და ყველაფრის კეთება ჰგონიათ. სინამდვილეში კი დემოკრატია რთული და საპასუხისმგებლოა, არ იძლევა უფლებებს და პრივილეგიებს. ეს ერთგვარი თავგანწირვაა, როდესაც ადამიანმა სხვაზე უნდა იფიქრო და ისე გააკეთო, რომ სხვამ იგრძნოს თავი კარგად, იმ სხვამ კი შენზე უნდა იფიქროს. თუ ადამიანს ყველა სიკეთე მხოლოდ თავისთვის უნდა და არ აინტერესებს, რას გრძნობენ სხვები, ეს არ არის დემოკრატია. ამას ყოველდღე ვხედავთ ტელევიზიით. დემოკრატია არის ყველა ერთის სთვის და ერთი ყველა სთვის... ადამიანის ჭკუა ხალხის სიყვარულს უნდა ემსახურებოდეს... სიკეთეს სიყვარული ქმნის და მათ გარეშე ცხოვრება, სიცოცხლე არ არსებობს "...

ალექსანდრე ბეთანელს ჰქონდა არაერთი საპატიო ჯილდო და მედალი: გრ. მუხაძის სახელობის საპატიო მედალი (1982) და მსახურებისათვის სამამულო ქირურგიის განვითარების საქმეში; ლირსების მედალი (2001) და ლირსების ორდენი (2002); საქართველოს ქირურგთა

ასოციაციის საპატიო მედალი (2005) საქართველოს ქირურგის განვითარებაში განეული დამსახურებისათვის. 2012 წლის 29 ივნისს, დაბადების 92 წლის იუბილეზე საქართველოს ექიმთა ასოციაციამ ალექსანდრე ბეთანელი საპატიო წევრად აირჩია და საპატიო მედალი გადასცა ქართული მედიცინის განვითარებაში განეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მადლობის სიგელები ქართულ ქირურგიაში განეული ღვაწლისათვის.

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი ალექსანდრე ბეთანელის ცხოვრებაში სიყვარული იყო – თავისი საქმისადმი, ოჯახისადმი და ადამიანებისადმი, რომლებსაც მკურნალობდა, რომლებიც მის გვერდით მუშაობდნენ, ცხოვრობდნენ და არსებობდნენ. უყვარდა ადამიანები და მათგანაც დიდ სიყვარულს იღებდა. მამა სულ ამბობდა, რომ სიყვარულის გარეშე კარგს არაფერს შეეძლო არსებობა. სიყვარული, მუდმივი მოძრაობა და თვითგანვითარება იყო მისი მამოძრავებელი. მუდამ მზად იყო სხვების დასახმარებლად. ჰიპოკრატეს ნამდვილი სული ცოტა ექიმშიაო დანანებით მითხრა ერთხელ. მასში ნამდვილად იყო ეს სული. ამბობდა, ჯადოსნური ხელსაწყო მაქვს და ცხოვრების განვლილ კილომეტრებს ვითვლიო, დროდადრო ისარს ნულზე ვაბრუნებ და დროის ათვლაც თავიდან იწყებაო. ალბათ, მართლა ჰქონდა ასეთი რამ და ამიტომაც არასდროს ბერდებოდა...

რედაქტორის შენიშვნა: ეს საოცარი და დიდებული პიროვნება, ალბათ, არ ბერდებოდა მისი სულიერების გამოც. კათოლიკეთა ოჯახში აღზრდილი საშა ექიმი ჭეშმარიტი მორწმუნე ყოფილა. მისი ერთ-ერთი ჩანაწერითაც ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის დიდ დამსახურებასა და ისტორიასაც: „ჩემი გვარის მქონე ადამიანებს დღემდე „ფრანგებს“ ეძახიან. წარმოშობით ბეთანელები ახალციხის რაიონის სოფელ უდედან ვართ. საქართველოს ეს კუთხე კარგა ხანს დახურული მხარე გახლდათ თათრების ბატონობის გამო. მტერი სარწმუნოების შეცვლას ითხოვდა, თუმცა გამოსავალი აქაც მოიძებნა: მაშინ თურქეთს კათოლიკურ საფრანგეთთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული და სწორედ ამიტომ კათოლიკეებს არ ერჩოდნენ. ამით ისარგებლა ზოგიერთმა ქართველმა, მუსლიმნობა არ მიიღო და კათოლიკე გახდა. როგორც ჩანს ჩემი წინაპრებიც ასეთი ქართველების რიგს განეკუთვნებოდნენ. ამის გამო დღემდე კათოლიკე ქართველებს „კათოლიკეს“ კი არა „ფრანგებს“ ეძახიან“.

ალექსანდრე ბეთანელის მიერ განვლილი საინტერესო და შემოქმედებითად მრავალფეროვანი ცხოვრების ერთ-ერთ ლამაზ ეპიზოდად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე ბატონმა საშამ გადაწყვიტა რწმენის განახლება.

ქალბატონი თინათინ კოკოჩაშვილის მოგონებით: ამის თაობაზე მისი ქალიშვილი, მაგდა, დაუკავშირდა კათოლიკურ ეკლესიას. მოძღვარმა მათს ოჯახში მიავლინა კატეხისტი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ეხმარებოდა ბატონ საშას აღსარების მომზადებასა და

ზიარების მიღებისათვის. მამა ანდრეი გრაჩეკმა ინახულა იგი. ბატონმა საშამ თავმდაბლად და მორჩილად მიიღო ყველა წმინდა საიდუმლო: აღსარება, ზიარება, ზეთის ცხება. გარდაცვალების შემდეგაც მ. ანდრეიმ წესიც აუგო.

ბატონი საშა ზეციურ სამკვიდროს შეუერთდა, როგორც ჭეშმარიტი კათოლიკე ქრისტიანი.“

ალექსანდრე ბეთანელი გარდაიცვალა 2019 წლის 5 აპრილს, **99** წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე, მეუღლისა და მშობლების გვერდით.

დიდ ადამიანებს მემორიალის დადგმა არ სჭირდებათ, ისინი თვითონ იდგამენ ძეგლს სიცოცხლეში. უკიდეგანოდ დათესილი სიკეთის კვარცხლბეკზე დგას ალექსანდრე ბეთანელის ძეგლი.

მაგდა ბეთანელი

ნანა მიზანდარი

მუშანიშვილები¹

სტეფანე ჭიმთეს ძე მუშანიშვილი

ქუთაისელი კათოლიკების ტიმოთე მურვანიშვილისა და ეკატერინე ეზიკაშვილის ოჯახში აღიზარდა ორი ექიმი – ძმები სტეფანე და სიმონი.

სტეფანე მურვანიშვილი დაიბადა 1883 წელს ქუთაისში. კათოლიკური ეკლესის სამრევლო სკოლაში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1893 წელს შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1907 წელს დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მიუხედავად სტუდენტობის პერიოდში მატერიალური ხელმოკლეობისა, სტეფანე ფიზიკური შრომით ირჩენდა თავს და მაინც გულმოდგინედ მეცადინეობდა, რათა საფუძვლიანად დაუფლებოდა სამედიცინო მეცნიერების ყველა დარგს.

სტეფანემ 1913 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ექიმის წოდება მიენიჭა. ოდესის ჰოსპიტალში მცირე ხნით მუშაობის შემდეგ, პეტერბურგის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდა ექიმი მივლინებულ იქ-

¹ ეს გვარი დღეს გვხვდება პარალელური დაწერილობით: მურვანიშვილი/მურვანიძევილი. პირველი უფრო ადრინდელი უნდა იყოს, რადგან სტეფანე და სიმონი თავადვე ინერებოდნენ მურვანიშვილებად, ჩვენც ეს ვარიანტი დავტოვეთ.

ნა დაღესტნის ერთ-ერთი ოლქის საავადმყოფოს გამგე-ექიმად . 1915 წელს სტეფანე კავკასიის ფრონტზე არტილერიის დივიზიის მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებდა. მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, ყველგან გამოირჩეოდა სიმამაცითა და თავდადებით. თავისი შემართებით, მებრძოლი სულით კოლეგებს, ჯარისკაცებსა და ოფიცრებსაც კი ანცვიფრებდა თურმე.

ომის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ფოთში (სამხედრო სანიტარული ნაწილში უფრო სად); ახალციხეში (ჯანმრთელობის დაცვის გაყოფილების გამგედ), ბორჯომში (საკურორტო სამმართველოს საექიმო პუნქტის გამგედ).

1924 წლიდან სტეფანე მურვანიშვილი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში – ქუთაისში. აქ დაინიშნა ქუთაისის მთავარი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგედ . 1926 წლიდან იყო პასტერის ქვესადგურის გამგე, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე. იგი სიცოცხლის ბოლომდე ენეოდა აქტიურ სამედიცინო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ავტორი მრავალი საგაზეთო წერილისა. ექიმთა საზოგადოების წინაშე წაკითხული აქვს მრავალი მოხსენება ცოფით დაავადების კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე. გარდა ამისა, კითხულობდა საჯარო ლექციებს წარმოება-დაწესებულებებში.

1951-1958 წლებში სტეფანე ექიმი ხელმძღვანელობდა ქ. ქუთაისის ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებას. წლების განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ, იმავდროულად განაგებ-

და საფერშლო ტექნიკუმს. აქვე ეწეოდა პედა-
გოგიურ საქმიანობასაც.

ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მინი-
ჭებული ჰქონდა დამსახურებული ექიმის წო-
დება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და
მედლებით.

სტეფანე მურვანიშვილი გარდაიცვალა
1964 წელს, დაკრძალულია ქ. თბილისში. იგი მრავალ-
მხრივი საქმიანობით ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან;
მის თანამედროვეთა და მომდევნო თაობის ახლობელთა
ხსოვნაში დატოვა წარმატებული მკურნალისა და გუ-
ლისხმიერი ადამიანის სახელი.

მურვანიშვილების ოჯახში საექიმო საქმიანობის
ტრადიცია გაუგრძელებია სტეფანეს შვილს – **დორიან**
მურვანიშვილს. ახლობელთა თქმით, დორიანი იყო
„დამსახურებული, ხარისხიანი გინეკოლო-
გი“, ცხოვრობდა თბილისში.

სიმონ ტიმოთეს ძე მუჩქანიშვილი

სიმონ მურვანიშვილი დაიბადა 1885 წელს ქუთაისში. ძმის – სტეფანეს მსგავსად პირველად სწავლობდა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სამრევლო სკოლაში, შემდეგ კლასის კურ გიმნაზიაში; უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიპლომიანი ექიმი სტომატოლოგი სიმონი თავის პროფესიულ საქმიანობას იწყებს რუსეთის სხვადასხვა რეგიონში, ბოლოს მოსკოვში დამკვიდრდა. იქვე დაქორნინდა და გააგრძელა სტომატოლოგიური მუშაობა.

სიმონს საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაუგრძელებია სამედიცინო ხაზით საქმიანობა – საკუთარ სახლში (ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, №6) დაუწყია პაციენტების მიღება (რასაც ადასტურებს მის მიერ შედგენილი განცხადება. იხ. აქვე).

ახლობელთა მოგონებით, ს. მურვანიშვილი რუსეთში დიდხანს არ დარჩენილა, დაბრუნებულა სამშობლოში, ქუთაისში, და სამედიცინო ხაზით დაუწყია პაციენტების მიღება საკუთარ სახლში (ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, №16), რასაც ადასტურებს მის მიერ შედგენილი ოფიციალური განცხადება (იხ. ფოტომატეანები).

სიმონი ერთხანს ზესტაფონშიც მუშაობდა, იქვე ცხოვრობდა ოჯახით, შემდეგ ისევ ქუთაისში გადასულა და გაუგრძელებია საქმიანობა სპეციალობით.

სიმონ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1971 წლის მარტში, დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაზე.

შვილიშვილს – ტატიანა ნარსიას კარგად ახსოვს ბაბუა სიმონი, რომელსაც ქუთაისაა ად ზესტაფონში დღესაც თბილად მოიხსენიებენ, როგორც საუკეთესო, ყურადღებიან და კეთილშობილ ექიმს.

ვიოლეტა სიძონის ასული მურვანიშვილი

ვიოლეტა მურვანიშვილი დაიბადა 1921 წლის 2 იანვარს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის საფერშლო ტექნიკუმი (სამედიცინო სასწავლებელი)¹. იგი მრავალი წელი მუშაობდა მედდად ანუ ექთნად სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში, ძირითადად კი – ქუთაისის სამხედრო პოსპიტალში.

ვიოლეტა მურვანიშვილი ქალაქში ცნობილი იყო, როგორც თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი, დიდად დაფასებული სამედიცინო წრეებში. მას „ნამდვილ ექიმად“ მოიხსენიებდნენ.

ვიოლეტა მურვანიშვილი გარდაიცვალა 1998 წელს. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიოს სასაფლაოზე.

ვიოლეტასა და მის მეუღლეს – ნიკოლოზ ნარსიას შეეძინათ სამი შვილი: ტატიანა, ზორა და თენგიზი.

ქალბატონი ტატიანა ქუთაისის სახელმწიფო არქივის თანამშრომელია. იგი ამაყობს თავისი წინაპრების საქმიანობით, კეთილშობილება-ჰუმანურობით. მისივე დახასიათებით, ვიოლეტა მურვანიშვილი გახდათ საუკეთესო დედა და ბებია. გარეგნობით ძალიან ლამაზი, სულითაც მშვენიერი, ბუნებით ნიჭიერი ქალბატონი იმავდროულად ყოფილა დიდად განათლებული, ნაკითხი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული... ქალიშვილს ახლაც კარგად ახსოვს ადრეული ბავშვობის წლები, როცა დედა საღამოობით პიანინოზე უკრავდა და მუსიკის ფონზე აძინებდა ხოლმე შვილებს.

¹ სწავლა გაუგრძელებია ქუთაისის პედაგოგოურ ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ გათხოვების გამო სრული კურსი ველარ დაუსრულებია.

მ ი რ ა ქ ი შ ვ ი ლ ე ბ ი

ნანა მიზანდარი

ბ ო ნ ა ვ ე ნ ტ უ რ // ბ ო ნ ა (რ ო გ ო რ ც მ ა ს შ ი ნ ა უ რ ი ბ ა - შ ი ე ძ ა დ ნ ე ნ) მ ი რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი დ ა ი ბ ა დ ა 1885 წ ე ლ ს ქ უ თ ა ი ს შ ი . 1906 წ ე ლ ს დ ა მ თ ა ვ რ ა ქ უ თ ა ი ს ი ს რ ე ა ლ უ - რ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი დ ა ი მ ა ვ ე წ ე ლ ს ჩ ა ი რ ი ც ხ ა ქ . ხ ა რ კ ო - ვ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი თ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ს ა მ ე დ ი - ც ი ნ ი ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი ხ ე . უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ , 1911 წ ლ ი დ ა ნ , ხ ა რ კ ო ვ შ ი ვ ე გ ა ი ა რ ა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ნ - ლ ი ა ნ ი ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ი პ რ ა ქ ტ ი კ ა .

ბ ო ნ ა მ ი რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი 1914 წ ე ლ ს დ ა ბ რ უ ნ დ ა მ შ ი ნ ბ ლ ი -
უ რ ქ უ თ ა ი ს შ ი . დ ა ი ნ ყ ი ა ქ ტ ი უ რ ი ს ა ქ მ ი ა ნ ი ბ ა ო ტ ი რ ი -
ნ ი ლ ა რ ი ნ გ ი ლ ი გ ი ს ს პ ე ც ი ა ლ ი ბ ი თ ქ ა ლ ა ქ ი ს ს ხ ვ ა -
დ ა ს ხ ვ ა ს ა მ ე დ ი ც ი ნ ღ დ ა ნ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი , ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ხ ა ნ ს
ი ყ ი მ ე ნ 1 პ ი ლ ი კ ლ ი ნ ი კ ი ს ა დ ა რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ს ა ა ვ ა დ მ ყ ი ფ ი თ ი ს
ყ ე ლ - ყ უ რ - ც ხ ვ ი რ ი ს გ ა ნ ყ ი ფ ი ლ ე ბ ა შ ი .

ბ ა ტ ი რ ი ბ ი 1948 წ ლ ი დ ა ნ გ ა ნ ტ უ მ ბ ს ა ნ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ი
დ ი ს პ ა ნ ს ე რ შ ი დ ა ი ნ ი მ ნ ა გ ა ნ ყ ი ფ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ გ ე დ დ ა
მ უ შ ა -
ო ბ დ ა ს ი ც ი ლ ი ს ბ ი ლ ი მ დ ე .

ღ ვ ა ნ ტ ლ მ ი ს ი ლ ი ე ქ ი მ ი გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა 1984
წ ე ლ ს , 99 წ ლ ი ს ა ს ა კ შ ი . დ ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა ქ უ თ ა ი ს შ ი , ს ა -
ფ ი ჩ ი ხ ი ი ს ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ი ს ა ს ა ფ ლ ა მ ი ზ ე .

საბედნიეროდ, მამის კვალს გაჰყვნენ და ოჯახის საექიმო ტრადიცია გააგრძელეს მისმა შვილებმაც: ან-ტონ და ნინო მირაქიშვილებმა.

ბონა მირაქიშვილზე საუბარი მინდა დავასრულო მისი დისწულის – საქართველოს დამსახურებული პედა-გოგის, ივანე (ვანო) გრიგოლის ძე ვარლამიშვილის ვრცელი მოგონების მცირე ამონარიდით:

„ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი ბიძაჩემის, დედის ძმის, ექიმ ბონავენტურ მირაქიშვილის ბინაში (ქუთაისი, თბილისის ქუჩა, ნომერი 15), სადაც ხშირად ვხვდებოდი მის კოლეგებს. იგი გახლდათ ჭეშმარიტი მკურნალი. ადრეულ პერიოდში ერთა-დერთი ოტორინოლარინგოლოგი ლიხის მთის აქეთ მთელს დასავლეთ საქართველოში. სამედიცინო დარგში ხანგძლივი მუშაობის შედეგად დაგროვილი ცოდნა-გა-მოცდილების მიუხედავად, ბიძა დღენიადაგ იმაღლებდა კვალიფიკაციას: ბევრს კითხულობდა სპეციალურ ლიტერატურას, საკუთარი ხარჯით მიემგზავრებოდა რუსეთის წამყვან კლინიკებში სახელგანთქმულ პროფესორებთან სამუშაოდ, ეცნობოდა უახლეს მიღწევებს მედიცინაში.

სხვა დადებით თვისებათაგან მის პიროვნებაში იკვეთებოდა პროფესიონალური თავმდაბლობა. აღსანიშნავია ახალგაზრდა კოლეგებთან მისი თანამშრომლობა. მრავალთაგან დავასახელებ ცნობილ ექიმ ბატონ აკაკი გაბუნიას. ისინი ერთობლივად მოღვაწეობდნენ ქუთაისში ჯანმრთელობის დაცვისათვის. კიდევ ერთი შტრიხი ბატონი ბონას პორტრეტისათვის – ქალაქის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გადაწყვიტა მისი ხან-

გრძლივი და უმწიკვლო ღვანწლი იუბილეთი აღენიშნათ, მაგრამ ვერ დაითანხმეს.

მინდა კიდევ მოგითხროთ ერთ საგულისხმო ფაქტზე: ქ. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბონა ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან შინ ეტლით მისულა, ჭიშკართან მეეტლეს გადმოსვლა უნიშნებია: - ეს არაა ჩემი სახლი!- გაკვირვებით უთქვამს ბიძაჩემს. კი, ბატონო, თქვენი სახლია, თქვენმა ძმებმა ააშენესო, უპასუხნია მეეტლეს....მართლაც, უფროს ძმებს ძველ საცხოვრებელ ბინაზე მიუშენებიათ ახალი ოთახები, ამასთანავე მოუწყვიათ სამკურნალო კაბინეტი სათანადო იარაღ-მოწყობილობით და ავადმყოფთა მოსაცდელიც, მაგრამ ამის შესახებ ძმისთვის ხარჯოვში ყოფნის დროს არაფერი უცნობებიათ...."

ბონავენტურ მირაქოვის, როგორც ქუთაისის ერთ-ერთი კოლორიტის, სახე, უკვდავყო კინოსცენარისტმა რევაზ გაბრიაძემ ელდარ შენგელაიას ყველასათვის საყვარელ ფილმში - „არაჩვეულებრივი გამოფენა“, საკუთარ საფლავზე სიცოცხლეშივე მზრუნველი აფთიაქარის, ბატონი ბონას სახით.

უუუუნა ფეიქრიშვილი

ბონაექტურ მინაქიშვილი – „უცნაური კაცი“

უმაღლესი კატეგორიის დამსახურებული ექიმი-ოტორინოლარინგოლოგი, ქუთაისელთათვის საყვარე-ლი ბონა ექიმი მის თანამედროვეთა შეფასებით, ყოფილა აგრეთვე საოცრად გამორჩეული, სხვათაგან სრულიად განსხვავებული პიროვნება, შინაგანად ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ქუთაისის კოლორიტი, რომელიც ქუთათურებსა და შორეული სოფლებიდან მოსულ პაცი-ენტებს აოცებდა არა მხოლოდ ხანგრძლივი ჯანსაღი ცხოვრების წესით, არამედ მისეული „უცნაურობები-თაც“, ამიტომ ჩვენს თანამედროვე მკითხველს ამ მარ-თლაც განსხვავებული ხასიათის კაცის „გასაცნობად“ ვთავაზობთ ამონარიდებს საგაზეთო პუბლიკაციები-დან, მოგონებიდან:

ფარული კამერით დასანახი კაცი

გაზეთი „ქუთაისი“, 1980, აგვისტო

- „ვინ მოთვლის, რამდენ სახელოვან ოჯახს დაუ-დევს ბინა ამ ქუჩაზე... რამდენს გაუმაგრებია გრანიტის ქვით ჩვენი ქალაქის კულტურის ღრმა ბალავერი...“

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ბევრჯერ შეიცვა-ლა სახელი ქუჩამ, მაგრამ დიდხანს არ შეცვლილა „კონ-ტინგენტი“ აქ მცხოვრები ჭეშმარიტი ინტელიგენციისა,

რომელთა დიდი ნაწილი ახლა ბევრ ჩვენგანს აკლია თვალში.

- საბედნიეროდ, თბილისის ქუჩას კვლავაც შემორჩა მოქალაქეობრიობისა და ოჯახიშვილობის მისაბაძი მაგალითები. მათგან პირველყოვლისა, როგორც მოჰიკანს, მოვიხსენიებთ ბონავენტურ მირაქოვს, ჩვენზე მეტი რომ აქვს დაუვინყარი და ღირსსახსოვარი.

მას შეუძლია გიამბოთ, რა გულითადი ურთიერთობა ჰქონდა ადრე იმავე ქუჩაზე მცხოვრებ, ქართველი ხალხის სათაყვანო დავით კლდიაშვილთან – ექიმის ღია ფანჯარასთან რომ არ შეეძლო ცოტახანს მაინც არ შეჩერებულიყო მეგობართან სასაუბროდ.

მას შეუძლია გიამბოთ, როგორ მოუწევდა გული მირაქოვების ოჯახისაკენ ქუთაისში სტუმრად ჩამოსულ სოსო გრიშაშვილს.

მას შეუძლია გიამბოთ, როგორ ათრთოლებდა მისი სახლის კედლებს ორფეოსის ჩანგზე ამღერებული ვანო სარაჯიშვილი...

სხვაც ბევრი შეუძლია მოგითხროთ, მაგრამ საკუთარ თავზე... ვშიშობ, თავმდაბლობით, სიტყვაძვირობით, ურეკლამობით ჩამოქნილმა მისმა ხასიათმა მდუმარე კაცის წინაშე არ დაგაყენოთ, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, სახალხო მხატვრის ვალერიან მიზანდარის მასთან ახლომეზობლობითაც ვისარგებლო ზოგი დეტალის დასაზუსტებლად.

ვისაც დაუნახავს თეთრუილეტიან კოსტუმში გამოწყობილი, წვრილცხვირიანი ფეხსაცმლით ზამთარზაფხულ უქუდოდ ქუჩაში მოარული მომცრო, კაფანდა-

რა ტანადობის კაცი, უნდა იცოდეს, რომ ეს ბონავენტურ მირაქოვია, ერთხანს ლენინგრადში მყოფს იქაურებმა „Доктор без шляпы“ (უქუდო ექიმი) რომ დაარქვეს.

ვისაც ადრე წლებში უნახავს თბილისის ქუჩის მარცხენა მხარეს მკვრივად ნაგებ, №15 ერთსართულიან სახლთან ჩამნკრივებული ურმები, იცოდნენ, რომ ყელყურ-ცხვირის ცნობილ მკურნალთან ავადმყოფები ჩამოუყვანიათ სოფლებიდან.

- შეგახსენებთ, რომ ბატონი ბონავენტური დეიდაშვილობით უახლოესი ნათესავია ჩვენი სათაყვანო კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილისა, მაგრამ ზოგჯერ ნათესაობაც არაფრის მაქნისია, თუ ეს სიახლოვე უანგარო სიყვარულს, თანაგრძნობასა და თანადგომას გამორიცხავს...

გასაგებია, როგორ გაუჭირდებოდა ცხოვრება ფალიაშვილების ოცნევრიან ოჯახს იმ პატარა ქოხში, დღესაც რომ დგას რიონის პირას. ზაქარიაც ამიტომ იყო უფრო ხშირად დეიდასთან შეკედლებული და მისი შვილების ყურადღებით გარემოსილი.

უტყუარი ფაქტია, რომ მომავალ კომპოზიტორს მირაქოვებთან ედგა თავისი ფისგარმონია, აქ რომანსებიც შეუთხზავს და „დაისის“ ერთი ნაწილიც.

- პატიოსნებით აღსავსე, რეკლამასთან, თავის გამოჩენასთან შემწყრალ ადამიანებს რატომდაც უცნაურებს ეძახიან. უცნაურად რაცხენ იმასაც, ვისაც სურათის გადაღება არ უყვარს... ერთხელ ვალერიან მიზანდარს ლობიდან უჩუმრად გადაულია ბატონ ბონავეტუ-

რისთვის სურათი, დაუმზადებია და მეორე დღეს შეუთავაზებია. არ მიუღია – რად მინდაო!

დღესაც ვერ შევძლებდით სახიერად წარმოგვედგონა თქვენთვის ეს უმწიკვლო ექიმი და მოქალაქე, ჩვენს ფოტოკორესპონდენტს ოთარ ბერეჩიკიძეს რომ არ მოფიქრებოდა ფარული კამერით „ჩასაფრებოდა“ მას ცხაკაიას ქუჩაზე.“

რ. ბოდბელი

ქუთაისის ლვანლმოსილი მოქალაქენი რედაქციაში

გაზ. „ქუთაისი“, 1970, თებერვალი

● „ჩვენს ქალაქში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქუთაისის მუსიკალური წარსულისადმი. ამ დღეებში რედაქციას ესტუმრნენ ქუთაისის უხუცესი მოქალაქეები – რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ხონელი და ექიმი ბონა მირაქოვი, რომელთაც დიდი აღფოთოვანება გამოთქვეს ოპერისა და ბალეტის ქუთაისის თეატრში გაჩაღებული შემოქმედებითი მუშაობისა და, კერძოდ, იმი გამო, რომ ამ თეატრში პირველ პრემიერად დაიდგა ჩვენი ქალაქის სასახელო შვილის ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.

● ზ. ფალიაშვილის მკვიდრმა დეიდაშვილმა **პ. მირაქოვმა** მოიგონა ზოგიერთი ეპიზოდი ფალიაშვილების დიდად მუსიკალური ოჯახის ცხოვრების პერიოდიდან და გვიამბო:

— გადმოცემით ვიცი, რომ... ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში ორდანის გარდა სხვა საკრავებზეც უკრავ-დნენ და დაკავშირებულია ვიღაც იტალიელ მუსიკოს-თან, რომელსაც აქ 14-კაციანი ორკესტრი ჩამოუყალიბებია. ამ ორკესტრში ივანე ფალიაშვილიც უკრავდა, მანამდე კი ხსენებულ ეკლესიაში იდგა ერთადერთი ორდანი, რომელიც რომის პაპს გამოუგზავნია საჩუქრად. ამ ინსტრუმენტზე უკრავდა ზ. ფალიაშვილის მამა პეტრე, ფელიქს მიზანდარი. მასზე ისწავლეს მუსიკის ენა ზაქარია ფალიაშვილმა და მისმა ძმებმაც...

ძმები ფალიაშვილები ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ ქუთაისში და ჩერდებოდნენ ჩვენს სახლში, სადაც მათთვის ცალკე ოთახი გვქონდა გამოყოფილი. უმეტე-სად მაინც ზაქარია იყო ჩვენი სტუმარი. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ „დაისის“ და „აბესალომის“ ერთი მესამედი მას დაწერილი აქვს ქუთაისში. ჩვენს ოჯახში რამდენჯერმე ყოფილა სტუმრად ვანო სარაჯიშვილიც...

- ბოლოს საუბარი ნარიმართა ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ირგვლივ. ბ. მირაქოვმა გვაცნობა, რომ მუზეუმისათვის გადაცემული აქვს ის საწერი მაგიდა, რომელზეც ზ. ფალიაშვილი სისტემატურად მუშაობდა, აგრეთვე მისი საწოლი. ჯერჯერობით, – თქვა მან, – მუზეუმისათვის არ გადამიცია საწერი მოწყობილობა, რომლითაც დიდი ქართველი კომპოზიტორი სარგებლობდა“.

რუთა ბერიძე

ბატონი ბონა, ეს „უცნაურის კაცი... პატიოსნებით აღსავსე, თავის გამოჩენასთან შემწყრალი ადამიანი“, იმავდროულად სხვათა მიმართ ყოფილა უაღრესად კე-

თილი, თბილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე. მისი შვილის – ანტონ მირაქიშვილის საოჯახო არქივში ზაქარია ფალიაშვილთან დაკავშირებით აღმოჩნდა ბონა მირაქიშვილის ეს მოგონება:

- „ზაქარია, საშუალოზე მაღალი ტანის კაცი იყო. ჰქონდა პირისახეზე ზომიერად მოშვებული წვერ-ულვაში (ბლანჟე) და გრძელი მოხდენილი თითები. შავ სერთუკში მუდამ გახამებულ პერანგსა და ასეთივე საყელოს ატარებდა. მომეტებულად შავ პატარა ბანტს ხმარობდა. მისი ტანსაცმელი ყოველთვის სუფთად გამოიყურებოდა.

ხმა და თხრობის მანერა სრულიად თავისებური, მომაჯადოვებელი ჰქონდა. იყო პირდაპირი და მართალი. თამბაქოს ბლომად ეწეოდა (დღე-დამეში დაახლოებით 75 ცალი). ღვინოს სრულიად არ იკარებდა.

ზაქარია დიდი შრომისმოყვარე ადამიანი იყო. ნასა-დილევს მოსვენება თითქმის არ უყვარდა. ვეტყოდით: „ზაქრო, დაისვენე“. ის საჩქაროდ გვპასუხობდა: „რა დროს მოსვენებაა, თვითონეული წუთი სასარგებლოა, როგორ დავკარგავ!“... ქუთაისში ჩამოსვლისას ზაქარია აუცილებლად ინახულებდა ბაგრატის ტაძარს, ჩამოჯდებოდა ხოლმე ნანგრევებთან, აკვირდებოდა საქართველოს ანმყოს და ბრწყინვალე მომავალზე ოცნებობდა. აქ, ტაძრის მდუმარებაში, იგი თითქოს თავის საყვარელ გმირებს – მეფის ვაჟს, აბესალომს და გლეხის ქალს, ეთერს – ესაუბრებოდა...

ეტლში ჯდომა ზაქარიას არ უყვარდა. იცოდა ჩქარი სიარული. შემხვდურს მარტო მიესალმებოდა, იშვიათად გაუჩერდებოდა. მასლაათის დრო არ ჰქონდა “...

უუუუნა ფეიქრიშვილი
თინათინ კოკოჩაშვილი

ა ნ ტ ი რ ს ბ ი რ ა ვ ე ნ ტ უ რ ი ს მ ე მ ი რ ა ვ ე ნ ტ უ რ ი ს

ა ნ ტ ი რ ს (ტ უ შ კ ი) მირაქიშვილი დაიბადა 1920 წელს ქუთაისში ცნობილი ოტორინოლარინგოლოგის – ბონავენტურ მირაქიშვილის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო იმავე ქალაქში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1942 წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისში ოტორინოლარინგოლოგად გამოჩენილი სპეციალისტის ნიკოლოზ ასპისოვის კლინიკაში, სადაც წარმატებით ეწეოდა როგორც კლინიკურ, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1945-1950 წლებში ასრულებდა კათედრის ასისტენტის მოვალეობას.

1951 წელს ანტონი მიავლინეს წყალტუბოში, ხელმძღვანელობდა ოტოლარინგოლოგიური დახმარების ორგანიზაციას კურორტის სამკურნალო დაწესებულებებში.

1952 წელს დაპრუნდა თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალული კლინიკური სავადმყოფოს ოტორინოლარინგოლოგიურ კლინიკაში. ამავე დროს, 1950 წლიდან, პარალელურად იყო წინამდვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის კონსულტანტ-ლარინგოლოგი. 1962 წლიდან მუშაობა დაიწყო IV სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკაში ოტოლარიგოლოგიური განყოფილების გამგედ. აღნიშნული დაწესებულების რეორგანიზაციის შემდეგ საქმიანობა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის სამკურნალო-სამეცნიერო ცენტრში (მაშინდელ „ლეჩომბინატში“), სადაც პაციენტებისა და თანამშრომ-ლების სიყვარულით გარემოცულმა მრავალი ათეული წელი გაატარა.

ანტონ მირაქიშვილს 1966 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. თავისი პროფესიის ერთგული მსახური, აღიარებული იყო როგორც ერუდირებული, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და დახვენილი ინტელიგენტი.

2009 წლის 25 ოქტომბერს ანტონ მირაქიშვილი თბილისისათვის განეული ღვანტლისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის აირჩიეს **თბილისის საპატიო მოქალაქედ**.

ანტონ მირაქიშვილსა და მის მეუღლეს ნათელა ქიქოძეს (პროფესიით – ექიმი-კარდიოლოგი) ჰქონდათ სტუმართმოყვარე ოჯახი. მათი სახლის კარი მუდამ ღია იყო ახლობლებისა და მეგობრებისათვის, მეტიც: მშობლებთან მეგობრობდნენ შვილების მეგობრებიც კი...

ბატონი ტუშეკი გარდაიცვალა **2015** წელს, 95 წლისა. დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისელ კათოლიკეთა ერთ-ერთ ღირსეულ ოჯახში აღზრდილმა ანტონ ბონავერტურის ძე მირაქიშვილმა არა მხოლოდ გააგრძელა მამის პროფესია, არამედ თავისი ღალი ბუნებით, თბილი, სიყვარულითა და კეთილშობილებით აღსავსე ხასიათით, პაციენტების მიმართ განეული მსახურებით თავადაც გაიხანგრძლივა შემოქმედებითად მრავალფე-

როვანი სიცოცხლე და გარშემომყოფთათვისაც იყო სა-ოცარი მკურნალი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით...

ტუშები მირაქიშვილის პიროვნული პორტრეტისათვის შემოგთავაზებთ ამონარიდებს ერთ-ერთი საგაზე-თო სტატიიდან და თავად ანტონის მოგონებიდან¹

ბაჭთნ ტუშებისთან... დემოკრატიის წეალთბით

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
2005 წელი, 21 მაისი

„საქართველოში განა რამდენი ექიმი იქნება 85 წლი-სა, ისევ რომ მსახურობდეს, კვლავაც მხნედ იყოს და არა მარტო პროფესიონალიზმით, პიროვნული ხიბლითაც ჰქურნავდეს პაციენტს და ამასთან, კაცურკაცობის ხა-ტიც იყოს ირგვლივ მყოფთათვის. ასეთია ექიმი ოტოლა-რინგოლოგი ანტონ (ტუშე) მირაქიშვილი. მისი ნამდვილი სახელი დოკუმენტებსაბაზო შემორჩა, თორებ, ვინც კი მას იცნობს, სიყვარულით ყველა „ტუშე“ ეძახის.

ქუთაისში, ცნობილი ოტორინოლარინგოლოგის ოჯახში დაბადებულს ეამაყება ქუთათურობა. ამაყობს თავისი ფესვებითაც. მამამისი და ზაქარია ფალიაშვილი დეიდაშვილები ყოფილან. ბატონ ტუშეის ჰყავდა უსათ-ნოესი და მშვენიერი მეუღლე. თბილისში აღიარებული

¹ საოჯახო არქივის მასალები მოგვაწოდა ბატონი ანტონის ქალიშ-ვილმა ქალბატონმა მარიკამ, ულრმესი მადლობა გულისხმი-ერებისათვის.

კარდიოლოგი ნათელა ქიქოძე – გერონტი ქიქოძის შთა-მომავალი. ბატონი ტუშკი დღესაც დიდი სიყვარულით იგონებს თავის ღირსეულ მეუღლეს, რომელმაც 15 წლის წინათ დატოვა ეს საწუთრო.

- ბატონმა ტუშკიმ მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. სადაც კი იმუშავა, ყველაგან კარგი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გამორჩეულად მნიშვნელოვანი და საინტერესო მაინც ყოფილ „ლეჩიომბინატში“ (ახლა თსუ სამკურნალო-სამედიცინო ცენტრი) მისი მოღვაწეობაა, სადაც ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, დღემდე ოტოლარინგოლოგად მუშაობს. არადა, როგორც ამბობენ, ბატონი ტუშკი, მართლაც კოლორიტული პიროვნება, პროფესიულად, გნებავთ პენიანობით და სიმკვირცხლით (როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ) ბევრ თავისზე 2-ჯერ უმცროსს კიდევ სჯობს, ხოლო 3-ჯერ უმცროსებს ხოსჯობს და სჯობს.

ეს წერილიც რაღაცნაირად ლალად იწერება, იმითომ რმ თავად ბატონი ტუშკისგანვე მოდის ენით აუნერელი დადებითი მუხტი...

- ეს იუმორით აღსავსე ხალისიანი და ენანტულიანი კაცი თავის სამუშაო კაბინეტში, როგორც კი ამ თავის ჯადოსნურ კუთხეში სავარძელზე პაციენტს დასვამს, მაშინვე ავინტერება, თუ ვინ არის მის წინაშე – თანამდებობის პირი, ახლობელ-მეგობარი თუ სრულიად უცხო. პაციენტთან ახლოს დაჯდება, სათვალეზე იმ თავის მრგვალ სარკეს ჩამოიწევს და, სადღაა ესოდენ ახლობელი და დაუდგრომელი ბატონი ტუშკი. იგი მთელი გულისყურით

სინჯავს და აკვირდება პაციენტს, შემდეგ დაწვრილებით უხსნის, თუ რა სჭირს, მერე რჩევა-დარიგებას მოაყოლებს და წამალს გამოუწერს. აი, ამის შემდეგ კი, ისევ ის ბატონი ტუშკია – სათხო და ღიმილიანი, პაციენტს კარამდე რომ მიაცილებს და გზასაც დაულოცავს.

ტუშკი მირაქიშვილს, როგორც ჯანდაცვის წარჩინებულს, არაერთი ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მის-თვის ყველაზე უდიდესი ჯილდო მადლიერი პაციენტების პატივისცემა და სიყვარულია.

- ამას ნინათ, მხცოვან, ღვაწლმოსილ ადამიანს ტუშკი მირაქიშვილს 85 წელი შეუსრულდა. იგი თავისი არსებობით ამტკიცებს, რომ 85-იც არაფერია, როცა გული გულობს, როცა ადამიანს თავისი საქმე უყვარს და პიროვნული თვისებებითაც გამორჩეულია.

საიუბილეო დღეებში ბატონმა ტუშკიმ უამრავი მისალოცი ბარათი მიიღო (თანამშრომლებმა კი გაზეთ „24 საათის“ მეშვეობით მიულოცეს), რომელთა ავტორები ასე მიმართავენ მას: „ბატონო ტუშკი“, „ძვირფასო ტუშკი“, „ბიძია ტუშკი“, გარდა მისი სიყრმის მეგობრის, ცნობილი სპეციალისტის, აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილისა, რომელსაც მისალოცი წერილისათვის „მხცოვანი სპეციალისტი“ დაურქმევია.

გთავაზობთ ამონარიდებს ამ ბარათებიდან, რომელთა ავტორებიც ყველასთვის ნაცნობი ადამიანები არიან:

სიმონ ხეჩინაშვილი, (აკადემიკოსი): „ანტონ (ტუშკი) მირაქიშვილი უმაღლესი კატეგორიის ექიმი, როგორც ერუდირებული და დახვენილი ინტელიგენტი, დიდი ავ-

ტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. კვლავაც დღეგრძელობას და წარმატებას ვუსურვებ მას.

თამაზ გამყრელიძე, (აკადემიკოსი): „ბატონ ტუშის კიდევ დიდხანს შეენარჩუნებინოს გასაოცარი სიმწნევე და შრომის უნარი მისი მრავალრიცხოვანი პაციენტების გასახარად და საკეთილდღეოდ“.

როინ მეტრეველი, (აკადემიკოსი): „თქვენ ღირსებით, მაღალ მოქალაქეობრივი გრძნობით, უდიდესი პასუხისმგებლობით გაატარეთ თქვენი ცხოვრება. მკურნალობთ ადამიანებს და სითბოს აფრქვევთ მათ“.

გელა ჩარკვიანი, (საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერი): „თქვენ ბრძანდებით თვალსაჩინო მაგალითი ადამიანობის, სათნოებისა და ერთგულებისა არა მხოლოდ თქვენი ახლობლებისათვის, არამედ ყველა მათგანისათვის, ვინც ამ ხნის განმავლობაში თქვენს გარშემო იმყოფება“.

გურამ დოჩანაშვილი, (მწერალი): „ძია ტუში, თქვენს სამაგალითოდ სრულქმნილ, უკეთილშობილეს დეიდა ნათელასთან ერთად როგორ ღრმად განსწავლულები და მთელი თქვენი მაღალი არსებითა და მოწოდებით ექიმები და მერე როგორები ბრძანდებით. დეიდა ნათელა – მთელ ქალაქში აღიარებული კარდიოლოგი, თქვენ კი, მემკვიდრეობითაც როგორი ექიმი, როგორი დიდსახელოვანი ოტოლარინგოლოგი ბრძანდებოდით და ჩემი კბილა გივი, ვისთანაც ერთად პატივისცემით გასუსული შემოგცეროდით ამ მართლაცდა ინტელიგენტებს – ამ სიტყვის ფასი კი ახლაც არ მეცოდინებოდა, თუ არა თქვენი, და, ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ ბევრი სხვა ოჯახის როგორ მაღლივად თავმდაბალი წარმომადგენ-

ლები, რადგან ახლა, სამწუხაროდ, ინტელიგენტობანას „დიდი“ თანამდებობებისა თუ „მაღალი“ პროფესიების მიხედვით აკუთვნ-არიგებენ...

თქვენი შემართების შემყურე და გამგონე, ვმხნევ-დები, რომ ეგებ არც ისეთი ბებერი ვარ, როგორც ხანდა-ხან მეჩვენება.

ულრმესი მადლობა თუნდაც ამისათვის და განსა-კუთრებით კი თქვენი როგორი უზადო ერთგულებისათ-ვის, თქვენი უკეთილშობილესი საქმიანობისთვის, ბატონი ანტონ და ბიძია ტუშკი“.

სიკეთით, სიყვარულითა და გულისხმიერებით, ადა-მიანებთან ურთიერთობის ნიჭით მადლცხებული ადამი-ანები უყვართ, ახსოვთ და მათ არასოდეს ივიწყებენ. მათ ბაძავენ, რითაც ილამაზებენ ცხოვრებას.

ბელა დურგლიშვილი

ამონარიდი ბატონი ანტონის მოგონებიდან:

„ძმები ზაქარია და ლევან ფალიაშვილები ჩვენი ოჯახის ძალიან ახლო ნათესავები იყვნენ. ქუთაისში რომ ჩამოვიდოდნენ, ჩვენს ოჯახში ცხოვრობდნენ. მე მათ ბავშვობიდან ვიცნობდი. ძმები ფალიაშვილები ძალიან პრინციპულები იყვნენ, როცა საქმე მუსიკას ეხებოდა. მაგონდება ჩემი ბავშვობის ერთი ასეთი ამბავი: ქუთაის-ში არის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალუ-რი სასწავლებელი. მე ჯერ კერძოდ ვსწავლობდი და მერე გადამიყვანეს მანდ. მეზარებოდა! ისე მეზარებოდა სწავ-ლა, რომ რა გითხრათ?! ადრე იყო მუსიკის პაპკები. ამ პაპკებით რომ მივდიოდი, დამცინოდნენ და სად წამელო ეს

პაპკა არ ვიცოდი. თავიდან მასწავლებლები იქ ძალიან კარგად მექცეოდნენ, ფალიაშვილის ნათესავიც რომ ვიყავი, იცოდნენ, რასაკვირველია! ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს, რომ ლევან ფალიაშვილი დაენიშნათ ამ სასწავლებლის დირექტორად. ამ დროს ჰქონდათ შემოვლა. ჰოდა, შემოვიდნენ ჩვენს კლასშიც, მახსოვს, ანისომოვა იყო მასწავლებელი. მითხრა, დაუკარიო! მეც დავუკარი ის, რაც მაშინ ვიცოდი. ლევანი მაშინ ჩვენთან ცხოვრობდა. მესამე დღეს გამოკრული იყო გარიცხულთა სია და მესამე მე ვიყავი. მამაჩემმა უთხრა: „ამისათვის ჩამოხვედი, კაცო, რომ ეს გაგერიცხა?“ (იცინის). ეტყობა მამაჩემს იმედი ჰქონდა, რომ მეც მუსიკოსი გამოვსულიყავი... მე კი ისე გახარებული ვიყავი, ისე მომეშვა გულზე! ეს ფალიაშვილების საერთო პრინციპულობაზე მეტყველებს. ლევანის შვილი, ვახტანგი, შემდეგ გამოჩენილი დირიჟორი გახდა. ჩვენ გავხდით განუყრელი მეგობრები და ვახტანგის წყალობით მე სულ ოპერის თეატრში დავიოდი. მუსიკა შემდეგ კი ძალიან შემიყვარდა“.

გვანცა თამაზის ასული ჩხერიძელი

ქლიმენტი გელაზარიშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მესხეთიდან გადასახლებულ ქართველ კათოლიკეთა ოჯახების რიცხვი თანდათან იზრდებოდა ბათუმშიც. ახალ საცხოვრისში განსხვავებულ გარემოსთან მესხების შეგუებისა თუ შემდგომში მათი შვილების განათლების მხრივ სწორად დაკვალიანებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მარიამის ლათინური ტაძრის მოძღვარს **დონ გაბრიელ ასლანიშვილს** (რომელსაც სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა მონთობანის (საფრანგეთი) ქართველ კათოლიკეთა სავანეში).

XX საუკუნის დამდეგიდანაც ბათუმში მცხოვრებმა არაერთმა ქართველმა კათოლიკე ახალგაზრდამ პირველდაწყებითი განათლება მიიღო კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში, შემდეგ კი სწავლას აგრძელებდნენ მედიცინის განხრით, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის იყო კლიმენტი გელაზარიშვილი.

კლიმენტი გელაზარიშვილი დაიბადა 1987 წელს ბათუმში. დაამთავრა ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტი. იგი პროვიზორის დიპლომით დაბრუნდა საქართველოში და ბათუმში გახსნა საკუთარი აფთიაქი. კლიმენტი გელაზარიშვილის მეუღლე იყო ბათუმელი კათოლიკე ოჯახის ასული ევგენია

ერიქაშვილი (ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს 1922 წლის 2 ნოემბერს კათოლიკურ ტაძარში, დონ გაბრიელ ასლანიშვილის კურთხევით).

ბატონი კლიმენტი 1920-იანი წლების დამდეგს თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ დააფუძნა საკუთარი აფთიაქი, სადაც პროვიზორად მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

კლიმენტი გელაზარიშვილი გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალულია თბილისში, კუკის სასაფლაოზე.

ლევან ბეგიშვილი

იოსებ (სოსო) ანტონის ძე ასლანიშვილი

იოსებ ასლანიშვილი დაიბადა 1891 წლის 27 იანვარს ქუთაისში, ანტონ ასლანიშვილისა და მარიამ ალექსიძის – მორწმუნე კათოლიკეთა მრავალშვილიან ოჯახში. მათ რვა შვილი აღუზარდეს სამშობლოს. მშობლები ბავშვებს პატარაობიდანვე ზრდიდნენ პატრიოტული სულისკვეთებითა და ქრისტიანული ფასულობებით. ამიტომაც ბატონ სოსოს (როგორც მას ახლობლები ეძახდნენ) და მის დედმამიშვილებს მოყვასისადმი სიყვარული, ღვთისადმი მოწინება და მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვათ.

ასლანიშვილების ოჯახი დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. მათს სამეგობრო წრეს შეადგენდა იმ დროის ქუთაისის (და არა მარტო) წარჩინებული გვარებისა და საზოგადოების წარმომადგენლები: ფალიაშვილები, ხეჩინაშვილები, ყაუხჩიშვილები, თუმანიშვილები, მეფისაშვილები, ნაზარიშვილები, ვარლამიშვილები... ასეთ ინტელიგენტურ და ინტელექტუალურ გარემოში აღზრდილმა პატარა სოსომ ამ საზოგადოებიდან სწორედ ის მორალური თვისებები შეიძინა, რითაც ეს საზოგადოება გამოირჩეოდა, და თავისი ცხოვრების წესად გაიხადა. ასლანიშვილთა ისედაც მრავალწევრიანი იჯახი, თავშესა-

ფარი იყო აგრეთვე გაჭირვებული და ობლად დარჩენილი ბავშვებისთვისაც.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იოსებ ასლანიშვილმა სწავლა განაგრძო ოდესის „ნოვოროსიის“ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1914 წელს. მის ძირითად სპეციალობას ენდოკრინოლოგია წარმოადგენდა (შემდგომში მან ამ თემაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჩიყვი სვანეთში“). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ ამ დროს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და სოსოც გაიწვიეს ფრონტზე, როგორც სამხედრო ექიმი.

ომიდან დაბრუნებული იოსებ ასლანიშვილი აქტიურად ჩაება თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში როგორც სამედიცინო მიმართულებით, ასევე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება – პოპულარიზაციის მხრივაც. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა შევეხოთ მისი, როგორც ექიმის, დამსახურებას საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, აჭარა) ენდემური ჩიყვის გავრცელების მიზეზებისა და მისი ბუნების კვლევების საქმეში. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1925 წელს მან მონაწილეობა მიიღო პირველ სამეცნიერო კვლევით ექსპედიციაში სვანეთში, რომლის დროსაც შეკრიბა დიდძალი მასალა ჩიყვის აღმოცენების მიზეზებსა და მისი გავრცელების არეალის შესახებ. ამ დროიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე ის გახლდათ ენდემური ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი. **1932** წელს თბილისში დააარსა ენ-

დოკუმენტოგიური ლაპორატორია, რომელიც ძირითადად ამ მიმართულებით მუშაობდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვითონ იყო მისი ხელმძღვანელი. ლაბორატორიული კვლევების შედეგებს ის პრაქტიკაში ახორციელებდა: სოფელ-სოფელ დადიოდა, ზემო და ქვემო სვანეთში, აწარმოებდა კვლევებს და თან ხალხს კურნავდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეტნილად მისი ძალისხმევით ოც წელიწადში სვანეთი ფაქტოპრივად განიკურნა ჩიყვისაგან.

იოსებ ასლანიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე სამრეწველო ტრამვატიზმის, ალპინიზმისა და სპორტში საექიმო კონტროლისა და ტრამვების მკურნალობის დანერგვაში. გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომები ენდოკრინოლოგიასა და მედიცინის სხვა დარგებში. ის ხშირად გამოდიოდა საჯარო მოხსენებებით ექიმ-სპეციალისტთა თუ ფართო საზოგადოების წინაშე არა მარტო მედიცინის, არამედ ხელოვნებისა და სპორტის საკითხებზეც. როგორც ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ი. ასლანიშვილი ინიციატივით გამოვიდა გამოცემულიყო ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული – „კხოვრება და მეცნიერება“. შემდეგში ამ კრებულში თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებდნენ სხვა ქართველი მეცნიერებიც და საზოგადო მოღვაწეები: გრ. ვეშაპელი, ს. ავალიანი, ვ. ეგნატაშვილი, ს. ყიფშიძე და სხვანი. კრებულის გამოცემა ითავა კ. ოცხელის წიგნების მაღაზიამ და ამ მაღაზიასთან არსებულმა ამხანაგობის სტამბამ. 1924-1933 წლებში იოსებ ასლანიშვილი იყო აგრეთვე ჟურნალ –

„თანამედროვე მედიცინის“ დამაარსებელი და მისი მთავარი რედაქტორი.

1946 წელს იოსებ ასლანიშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება.

იოსებ ასლანიშვილი გახლდათ მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება. სამედიცინო საქმიანობის გარდა, ის გატაცებული იყო მთამსვლელობით, ალპინიზმითა და სპორტის რამდენიმე სახეობით. რაც ამავე დროს, მისგან, როგორც ექიმისგან, „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ერთგვარ პროპაგანდასაც წარმოადგენდა. 1918 წელს, გიორგი ეგნატაშვილსა და გიორგი ნიკოლაძესთან (ნიკო ნიკოლაძის შვილი) ერთად, იყო სპორტულ-პატრიოტული საზოგადოება – „შევარდენის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი აქტიური წევრი. ბატონი სოსო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სპორტული საზოგადოების როლს ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. 1922 წლამდე ის თვითონ რედაქტორობდა ამ საზოგადოების ბეჭდვით ორგანოს – უურნალ „შევარდენის“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. უურნალში გამოქვეყნებული სტატიები პოპულარიზაციას უწევდა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, მის მნიშვნელობას ერის სულიერი და გონიერივი განვითარების საქმეში: „ტანვარჯიშობას უნდა დაეთმოს ადამიანის ცხოვრებაში საპატიო ადგილი, თუკი გვინდა, რომ ფიზიკურად მთლად არ გადაგვარდეს ჩვენი ხალხი“, – წერდა ბატონი იოსები უურნალის ფურცლებზე.

1923 წელს იოსებ ასლანიშვილმა, როგორც ექიმმა, მონაწილეობა მიიღო ალექსანდრე დიდებულიძის მიერ

მყინვარწერზე მოწყობილ პირველ ქართულ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი დაუდო კავკასიონის მთავარი ქედის გეოფიზიკურ კვლევებს. ამის შემდეგ მთამსვლელობა და ალპინიზმი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. პირველ ასვლას მოჰყვა კავკასიონის სხვადასხვა მწვერვალის დალაშქვრა: 1927 წელს ისევ მყინვარწერზე (სიმონ ჯაფარიძის ექსპედიციის შემადგენლობაში), შემდეგ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ცალკეული ასვლები მწვერვალებზე – უილფათა (1931წ.), მარუხი, მოგუაშირხა, ლაკობა, ჩაშურა (1932წ.), ტრავერსი — მაჩხაფარი, ფასის მთა, ედენა, შარითაუ, შოდა, გეზემცირე და სხვა. 1934 წელს სოსო ასლანიშვილის ორგანიზებით მოეწყო ქართველ მთამსვლელთა ჯგუფის პირველი წარმატებული ასვლა უშბაზე. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: ალიოშა ჯაფარიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), სანდრო გვალია, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, მიქელ პატარიძე, ლევან მარუაშვილი და გიორგი ნიგურიანი. ბატონი სოსო იდგა აგრეთვე ალ. ჯაფარიძის სახელობის „ალპური კლუბისა“ და „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების“ დაარსების სათავეებთანაც; იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი. 1924-1935 წლებში ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას, ხოლო 1935-1939 წლებში – სამეცნიერო ტურიზმის სექციას. ის სისტემატურად მონაწილეობდა გეოგრაფიული საზოგადოების მიერ მოწყობილ სხვადსხვა ღონისძიებაში, საჯარო ლექციებსა თუ ექსპედიციებში. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევდა

მას იმავდროულად ეწარმოებინა თავისი სამეცნიერო კვლევებიც. 1933 წელს იოსებ ასლანიშვილმა გამოსცა წიგნი – „ექიმის მუშაობა ტურიზმისა და ალპინიზმის დარგში“, 1935 წელს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ასევე გამოსცა მისი წიგნი – „Алпинизм в Грузии“ („ალპინიზმი საქართველოში“). მოგვიანებით ამავე სახელწოდებით და მისივე თანავჭორობით დაიბეჭდა საქართველოში ალპინიზმის განვითარების შესახებ განახლებული კრებული, რომელიც დიდი ხნის მანძილზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ დარგის მოყვარულთა შორის. ქართული სპორტის განვითარება-სა და პოპულარიზაციაში გაწეული ამაგის გამო, იოსებ ასლანიშვილს მინიჭებული ჰქონდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

აუცილებლად უნდა შევეხოთ იმასაც, რომ ბატონი სოსო ყველაფერ ამასთან ერთად იყო მუსიკისა და ლი-ტერატურის დიდი მცოდნე და მოტრფიალე. მას სახლში ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც იშვიათი გამოცემები და ხელნაწერები იყო თავმოყრილი. იქვე ინახებოდა ოჯახის რელიკვია, ნატიფი ხელოვნებით შესრულებული, დიდი ზომის ნაქარგი — ბაგრატიონთა გერბი, რომელიც მისთვის ბიძას, დონ გაბრიელ ასლანიშვილს უსახსოვრებია. ეს იშვიათი ნამუშევარი მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გაუკეთებიათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მონაზონ ქალებს და დონ გაბრიელისათვის უჩუქებიათ. ბიბლიოთეკის მთავარ განძს კი „ვეფ-სისტყაოსნის“ გამოცემათა უმდიდრესი კოლექცია წარმო-

ადგენდა (რომელიც ახლა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში ინახება). ამ კოლექციაში შედიოდა პოემის 81 გამოცემა: ამათგან 41 დაბეჭდილი იყო საქართველოში, მათ შორის, 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა... „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ, ინგლისურ ენებზე დაბეჭდილ პოემის თარგმანებს 1950-იანი წლების დასაწყისში შეემატა ლი ტი ე-ს მიერ ჩინურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარიც (ი. ჯაფარიძე). ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყო ის, რომ იოსებ ასლანიშვილის უშუალო მონაწილეობით დაარსდა ჟურნალები: – „ხელოვნება“ და „თეატრი და მუსიკა“, რომელთა რედაქტორიც თვითონ იყო 1919-1922 წლებში.

დამსახურებული ექიმის, მთამსვლელის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ(სოსო) ასლანიშვილის სისხლსავსე და მრავალფეროვანი ცხოვრება შეწყვიტა ტრაგიკულმა შემთხვევამ. ის დაიღუპა ავტოკატასტროფიზმის 1955 წელს, 64 წლის ასაკში.

ახლა კი გვინდა შემოგთავაზოთ ცნობილი პოეტის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, თამაზ ჩხენკელის მოგონება იოსებ ასლანიშვილის შესახებ. ბატონ თამაზს (იოსები ბიძად ეკუთვნოდა დედის მხრიდან). მამა ადრე გარდაეცვალა და მის ძმასთან, შემდგომში ცნობილ ექიმ-ენდოკრინოლოგ – შალვა ჩხენკელთან ერთად იზრდებოდა დედის – თამარ ასლანიშვილის დიდ ოჯახში, სადაც უმამო ბავშვებზე ზრუნვა მთლიანად თავის თავზე აიღო მათმა ბიძამ, სოსო ასლანიშვილმა და, თვითონ უცოლშვილომ, მათ გაუწია მამობა სიცოცხლის ბოლომდე. ერთ-ერთ ინტერვიუში

ბატონი თამაზი იხსენებდა: „ბიძაჩემი – სოსო ასლანიშვილი ცნობილი კაცი იყო, ყოფილი ოფიცერი, ექიმი, „შევარდენის“ წევრი, მთამსვლელი, უურნალ „შევარდენის“ რედაქტორი. მანამდე ორი უურნალი ჰქონდა დაარსებული – „თეატრი და მუსიკა“ და „ხელოვნება“. 1924 წლიდან სამედიცინო უურნალს რედაქტორობდა. მამაჩემი ადრე გარდაიცვალა, მასთან (სოსოსთან – ლ. ბ.) ვცხოვრობდი, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რაღას არ ნახავდი იქ, არჩილ ჯორჯაძის ნიგნებს, რევოლუციამდე გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის ტომებს, „ქართლის ცხოვრებას“, მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებებს, 1920 წელს გამოცემულ კოლაუნადის „ბალდახინს“. შინ გვქონდა „მეოცნებე ნიამორების“ ცამეტივე რვეული, „ცისფერი ყანნები“, „ილიონი“, „მშვილდოსანი“, სხვა ძველი უურნალები. ყველაფერი ეს წაკითხული მქონდა. მათ შორის არჩილ ჯორჯაძის კამათი ნოე უორდანიასთან. ვიცოდი კოჯორის ამბები, ტაბახმელასთან ბრძოლის ამბები. 18 წლის ვიყავი „აზეულა“ რომ დავწერე „...“

იოსებ ასლანიშვილი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით თანამედროვეთათვის იყო სანიმუშო ადამიანი, უაღრესად მებრძოლი ხასიათის, შემოქმედი და სიკეთით აღსავსე, სამშობლოს უზომოდ მოყვარული... იგი თაობებისთვისაც იქნება კაცური კაცობის დიდი მასწავლებელი.

გვანცა რამაზის ასული ჩხენკელი

(სოსო ასლანიშვილის დის შვილიშვილი)

შალვა კასილის ძე ჩხენკელი

„სოსო ასლანიშვილის დამ, თამარ ასლანიშვილმა, ზუბალაშვილების მიერ აშენებულ ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში დაინერა ჯვარი ვასილ ჩხენკელთან (1926 წელს). ჯვარი დასწერა ეკლესის პადრემ, დონ გაბრიელ ასლანიშვილმა. იგი სოსოს და თამარის ბიძა იყო და მონტობანში (ქართული კულტურისა და განათლების კერა საფრანგეთში) ჰქონდა მიღებული სასულიერო განათლება. თამარს ორი ვაჟი შეძინა: თამაზი (1927-2010) და შალვა (1928). ორივე დონ გაბრიელმა მონათლა.

სოსო ასლანიშვილი დისშვილებს ხშირად დაატარებდა ექსპედიციებში საქართველოს სხვადასხვა სოფელში. წლების შემდეგ შალვა ბიძამისის კვალს გაჰყვა და დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ენდოკრინოლოგიის განხრით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შალვა ჩხენკელი რამდენიმე წელი მუშაობდა სიმფეროპოლში (იქ გაანანილეს), შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა სოსო ასლანიშვილის სახელობის ენდოკრინოლოგიურ დისპანსერში, რომელიც 1955 წელს სოსო ასლანიშვილმა დააარსა. შალვა ჩხენკელი 60 წელი ემსახურა ამ ურთულეს დარგს. მას მრავალი პაციენტი დღემდე ემადლიერება.

ბატონი შალვას ინტერესები მრავალმხრივია: იგი აქტიური მკითხველი და სიმფონიური მუსიკის განსაკუთრებული დამფასებელი და მოყვარულია. გამოირჩევა კაცთმოყვარეობითა და თავმდაბლობით“.

თინათინ კოკოჩაშვილი

გოთბები პეტრეს ძე ნაზარიძეოლი.

გამოჩენილი ქართველი ექიმი, რენტგენოლოგი,
გიორგი ნაზარიშვილი დაიბადა **1894** წლის 9
(21) ივნისს ბათუმში, კათოლიკეთა ოჯახში.

1916 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1923-1936 წლებში მივლინებული იყო გერმანიაში. უცხოეთში კიდევ უფრო ფართო განათლება მიიღო მედიცინის მიმართულებით, განსაკუთრებით, დახელოვნდა რენტგენოლოგიაში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1935-1938 წლებში, გიორგი ნაზარიშვილი განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრას, 1938-1958 წლებში კი ეს თანამდებობა ეკავა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1958-1972 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

გიორგი ნაზარიშვილი პრაქტიკული საქმიანობის
პარალელურად სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა: 1949
წელს დაიცვა დისერტაცია, მიენიჭა მედიცინის
მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1951
წლიდან მუშაობდა პროფესორად უმაღლეს სასწავ-
ლებელში. იგი ძირითადად შეისწავლიდა რენტგენო-რა-
დიოზოგონგური დიაგნოსტიკის საკითხებს, ახალშობილ-
თა ძვლის თანდაყოლილ ათაშანგს, საშვილოსნოს ფიბ-
რომის სჩივურ მკურნალობას და სხვ.

ბატონი გიორგი გახლდათ საქართველოს რენტგენოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე. მრავალწლიანი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამედიცინო მიმართულებით განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით (ქართ. საბჭ. ენ-ციკლ., 7, თბ., 1984).

გიორგი ნაზარიშვილი გარდაიცვალა 1972 წლის 1 ივნისს. დაკრძალულია თბილისში. მას მემკვიდრე არ დარჩენია, მაგრამ საზოგადოებაში, სამეცნიერო წრეებში, პაციენტებში დარჩა მისი სახელი, როგორც საუკეთესო სპეციალისტისა და ლირსეული პიროვნებისა. მისი სიცოცხლე გრძელდება ნათესავების, ახლო მეგობრების მოგონებებში.

ქალბატონი თინათინ ვიქტორის ასული კოკოჩაშვილი: „ბიძია გიორგი ჩვენი ოჯახის ახლობელი, თანაც ხშირი სტუმარი იყო. მიუხედავად მაშინდელი კომუნისტური რეჟიმისა, დედასა და მამას მეგობრები, ძირითადად კათოლიკები, შობას – 25 დეკემბერს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულებზე ყოველთვის იკრიბებოდნენ ერთმანეთის ოჯახებში, ამიტომ ბევრ მათგანს მეც ვიცნობდი.

გიორგი პეტრეს ძე ნაზარიშვილი, რომელსაც შინაურობაში გიორგი პეტროვიჩს ეძახდნენ, მეტად თბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო, იუმორით სავსე, კარგი მოსაუბრე. მამა და ბატონი გიორგი ბევრს ხუმრობდნენ, როცა იხსენებდნენ ბავშვობის ეპიზოდებს, რომელთაგან დღემდე კარგად მახსოვს ერთ-ერთი ამბავი ...გიორგიმ ბავშვობა ბათუმში გაატარა. მისი ბიძა –

დედის ძმა – იყო ბათუმის კათოლიკური ტაძრის წინამდღვარი, დონ გაბრიელ ასლანიშვილი. საკვირაო წირვას მშობლებთან ერთად ესწრებოდნენ ბავშვებიც. გორგი და მისი ტოლი ბიჭები წირვის მსვლელობის დროს მოძღვარს ეხმარებოდნენ, როგორც მინისტრანტები. მათ იცოდნენ, რომ მამა გაბრიელს ზიარებისთვის ყოველთვის ჰქონდა გადანახული საუკეთესო ღვინო. ცელქი ბავშვები ზოგჯერ ამ ღვინოს ჩუმად შეუცვლიდნენ ხოლმე. როცა მოძღვარი ბარძიმიდან მოსვამდა სასმელს, გემოთი ხვდებოდა პატარების ონებს და წირვის შემდეგ დატუქსავდა: „უჰ, თქვე მაიმუნებო, კიდევ შემიცვალეთ ღვინო!“

ძია გიორგი ამას ისე ლამაზად, იუმორით შეზავებული სიტყვებით ჰყვებოდა, რომ ყველას გვამხიარულებდა. მერე მამა გაიხსენებდა თავისი ბავშვობის „თავგადასავლებს“ ქუთაისთან დაკავშირებით. ახლა რომ ვიგონებ მაშინდელ ოჯახურ შეკრებებს, ვრწმუნდები: მეგობრების ურთიერთსტუმრობა, ალბათ, მათთვის უფრო სასიამოვნო იმიტომაც იყო, რომ იგონებდნენ ბავშვობას, ოჯახს, მშობლიურ ქალაქს და კათოლიკურ ეკლესიაში მოძღვრებთან გატარებულ საინტერესო და ტკბილ დღეებს...

ბატონი გიორგი და მამაჩემი ზაფხულობით დასასვენებლადაც ხშირად ერთად დადიოდნენ.

და კიდევ: მამას მეგობრების სტუმრობა ჩვენს ოჯახში, მათი საქმიანი საუბრებისა და მსჯელობის მოსმენა ჩემთვის ერთგვარი დამატებითი სკოლა იყო. ამისთვისაც დიდი მადლობა ჩვენს გამორჩეულ წინაპრებს!

ლევან ბეგიშვილი

თ ა მ ა რ პ ა ვ ლ ე ს ა ს უ ლ ი ჩ ი ლ ი ნ გ ა რ ი შ ვ ი ლ ი

ქ. ქუთაისში სპეციალიზირებული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო თვალსაჩინო ექიმი, თამარ პავლეს ასული ჩილინგარიშვილი. იგი დაიბადა **1894** წლის 12 ნოემბერს ქ. ახალციხეში. საშუალო განათლება მიიღო ქალაქ ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა **1915** წელს. იმავე წელს ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, **1919** წლიდან კი განაგრძო სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

თამარ ჩილინგარიშვილმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, **1923** წლიდან, მუშაობა დაიწყო ქუთაისის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ექიმ-ლაბორანტად. მან მეტად რთული და საჭირო სპეციალური ლაბორატორიული გამოკვლევების მეთოდების ათვისებითა და სრულყოფით დიდი სამსახური გაუწია რიგ ინფექციურ სნეულებათა დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკური ლონისძიებების გატარებას. **1927** წლიდან მას აწინაურებენ ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგედ.

თ. ჩილინგარიშვილის პირადი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქუთაისის ტუბდისპანსერში მოეწყო კანისა და ვენერულ სნეულებათა სამკურნა-

ლო, ხოლო ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოსა და №1 პოლიკლინიკაში – კლინიკო-დიაგნოსტიკური და სერო-ლოგიური ლაბორატორიები. თ. ჩილინგარიშვილი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვის, ხარკოვისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტების ექიმთა დახელოვნების კურსებზე.

ქალბატონი თამარი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. წლების განმავლობაში ქუთაისის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი იყო. წაკითხული აქვს ათამდე სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის მოხსენება. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს მიკრობიოლოგიაში.

თ. ჩილინგარიშვილი გარდაიცვალა 1968 წელს, დაკრძალულია ქ. ქუთაისში.

უუუუნა ფეიქრიშვილი
თინათინ კოკოჩაშვილი

ბაღ თ შეიძლები

ანტონ გრიგორის ძე ბაღ თ შეიძლი

აჭარაში ერთ-ერთი პირველი ოტორინოლარინგო-ლოგი ანტონ ბაღოშვილი დაიბადა **1903** წელს ბათუმში. მისი წინაპრები ამ ქალაქში XIX საუკუნის ბოლოს ჩამოსულან ახალციხიდან (კერძოდ, რაბათიდან).

ანტონმა 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1936-1940 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონულ საავადმყოფოში მთავარ ექიმად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი – ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგად. 1951 წელს დაინიშნა ბათუმში ახალგახსნილი ონკოლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმად.

ანტონ ბაღოშვილს, გამორჩეულ ექიმსა და ღირსეულ პიროვნებას, აჭარაში ოტორინოლარინგოლოგიის ფუძემდებელს, მედიცინის დარგში განეული დიდი ღვანტლისათვის მიენიჭა აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება.

ბატონი ანტონის მეუღლე სალომე ნაზარიშვილი, კათოლიკეთა ცნობილი ოჯახის ასული, პროფესიონალ ექიმი გახლდათ, მეანგინეკოლოგი.

ანტონ ბაღოშვილი გარდაიცვალა **1968** წელს, 65 წლის ასაკში.

ვაჟა ანტონის ძე ბალთშვილი

დაიბადა 1939 წლის 22 იანვარს ბათუმში, ცნობილი კათოლიკე ექიმების ანტონ ბალოშვილისა და სალომე ნაზარიშვილის ოჯახში.

ჩანს, მშობლების ავტორიტეტმა, ოჯახურმა ტრადიციამ დიდი გავლენა მოახდინა ვაჟიშვილზეც – თავის სამომავლო პროფესიად აერჩია მედიცინა.

ვაჟა ბალოშვილმა ბათუმის №3 სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს, სწავლა გააგრძელა მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტში, 1962 წელს დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი და იქვე, ოტორინოლარინგოლოგის კათედრაზე, გაიარა კლინიკური ორდინატურა (1962-1964 წლებში).

1964-1966 წლებში მსახურობდა ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში.

1966-1969 წლებში იყო ქ. მოსკოვის ჯანმრთელობის სამინისტროს ყელ-ყურ-ცხვირის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი. ასპირანტურის დასრულებისთანავე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხორხისა და ტრაქეის ალდგენითი ქირურგიის პროცესები“. 1969-1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერმუშავი.

1974-1976 წლებში მუშაობდა ქ. კონაკრის (გვინეის რესპუბლიკა) გ. ა. ნასერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამედიცინო ფაკულტეტზე ლორ-კათედრის ხელმძღვანელად. ლექციებს კითხულობდა ფრანგულ

ენაზე, მისი ხელმძღვანელობის პერიოდს დაემთხვა ამ ფაკულტეტის სტუდენტთა პირველი გამოშვება.

გვინეაში მოღვაწეობის ორი წლის განმავლობაში 100-მდე ოპერაცია გააკეთა და აფრიკაში მრავალი მადლიერი პაციენტი დატოვა.

1976-1982 წლებში ისევ მოსკოვის ყელ-ყურ-ცხვირის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკია.

1982 წლიდან ბრუნდება საქართველოში და **1987** წლამდე მუშაობს ქ. ბათუმის ონკოცენტრის ლორ-ონკოლოგად.

1987-1988 წლებში იყო ქ. ოდგინის (კუბის რესპუბლიკა) ვ. ლენინის სახელობის ჰოსპიტლის ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, ასევე, დირექტორის მრჩეველი ლორ-საკითხებში. კუბაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. წარმატებით მოღვაწეობდა ლორონკოლოგიაში და ლარინგოტრაქეაპლასტიკურ ქირურგიაში. ქ. ოდგინის ჰოსპიტალში 50-მდე ოპერაცია გააკეთა.

1987 წელს გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვში დახელოვნების ინსტიტუტში ონკოლოგიის მიმართულებით. ამავე წელს აჭარის ასსრ ჯანმრთელობის სამინისტროს საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის ონკო-ქირურგის წოდება ლორ-დაავადებათა განხრით.

1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ბათუმის მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტლის ლორ-ონკოლოგი.

1996-1999 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და სამედიცინო-ეკოლოგიურ

ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა ოფორინო-ლარინგოლოგის კათედრებს.

2012 წლის 9 სექტემბერს მიენიჭა საპატიო ბათუმელის წოდება, 2019 წლის 22 იანვარს – მედიცინის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ჰყავდა მეუღლე – რუსუდან ქურიძე (პროფე-სიით უურნალისტი) და სამი შვილი: ინგა, ირაკლი და სალომე.

მედიცინის დოქტორი ვაჟა ბალოშვილი იყო 45 სა-მეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი (მათ შორის ოთხი ფრანგულ და ერთი ესპანურ ენებზე), ოთხი მეთოდური რეკომენდაციისა და ორი რაციონალური წინადადების ავტორი.

ვაჟა ანტონის ძე ბალოშვილი გარდა-იცვალა **2022** წლის იანვრის ბოლოს, დაკრძალულია ბათუმში, ფერის სასაფლაოზე.

ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით (სოციალუ-რი ქსელის მასალებითაც) თანამედროვე მკითხველს მეტ-ზაკლები სისრულით გავაცანით კათოლიკე ექიმების, მამა-შვილის – ანტონ და ვაჟა ბალოშვილე-ბის პროფესიული საქმიანობა, მათი წარმატებული მოღვაწეობა. მადლობა მათ ადამიანთა მიმართ განეული მსახურებისათვის, უამრავი პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის!

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი პროფესიის წარმო-მადგენელი, პირველ ყოვლისა, ადამიანია, პიროვნებაა მისთვის ნიშანდობლივი სულიერი თვისებებით, რაც ბუ-ნებრივად განსაზღვრავს მისი პრაქტიკული საქმიანობის

ხარისხს... აქედან გამომდინარე, ვაუა ექიმის, როგორც პიროვნების, დასახასიათებლად (საქართველოს დღევან-დელი რეალური ვითარების ფონზე ექიმის სულიერი მრწამსის ნათელსაყოფად) დავიმოწმებთ მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან ორიოდე ამონარიდს (ინტერვიუს უძღვება თენგიზ პარმაქსიზიშვილი. მასალა ჩაწერილია 2011 წელს):

თ. პ.: ბათუმში მოლვანე მედიცინის დამსახურებულ მუშაკთაგან რომელ კათოლიკეებს გაიხსენებდით და რას გვიამბობდით მათ შესახებ?

ვ. ბ.: აჭარაში ჩემი დროის ცნობილი მედიცინის მუშაკებიდან, რომლებიც კათოლიკური ოჯახებიდან იყვნენ, გავიხსენებ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, გიორგი ხეჩინაშვილს. იგი წლების განმავლობაში იყო აჭარის ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, მისი შვილი – **ლევან ხეჩინაშვილი** კი – ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგე. ბატონი გიორგის მეორე ვაჟი – **გაბრიელ ხეჩინაშვილი**, ასევე მეან-გინეკოლოგი, ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი იყო.

მიხეილ ამირბეგაშვილი, აჭარაში ერთ-ერთი პირველი ოფთალმოლოგი, ცნობილი ქირურგის – მაქაცარიას მოწაფე; **ელენე ხითარიშვილი,** თამარ ბეთანელი – ექიმი თერაპევტი.

თ. პ.: რას ნიშნავს თქვენთვის, იყო კათოლიკე ეკლესიის წევრი?

ვ. ბ.: – მიმაჩნია, რომ კათოლიკე ეკლესია ჭეშმარითი ეკლესიაა... მისი წევრობა უდიდესი პატივი და პასუ-

ხისმგებლობაა. კათოლიკური ეკლესია დიდ როლს ასრულებს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მისი სულიერების ჭეშმარიტი გზით წარმართვაში...

თ. პ. რას თვლით **საჭიროდ რომის კათოლიკე და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების დასაახლოებლად?**

ვ. ბ.: – კათოლიკე ეკლესია ყოველთვის სიყვარულითა და მზრუნველობით იყო გამსჭვალული ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის მიმართ. ამის გამოხატულება იყო წმიდა პაპის, ოთანე-პავლე მეორის ვიზიტი საქართველოში; ამასვე ადასტურებს საქველმოქმედო საქმიანობები, რასაც კათოლიკე ეკლესია ახორციელებს საქართველოში...

აღსანიშნავია, რომ იტალიაში, ქალაქ ბარში, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, ერთმანეთის გვერდით აღავლენენ ლოცვებს კათოლიკები და მართმადიდებლები. ვფიქ-რობ, რომ ეს შესაძლებელია საქართველოშიც... საქართველო უნდა გათავისუფლდეს კომუნისტების მიერ დანერგილი ურთიერთუნდობლობისაგან, რაც ერის დაშლასა და ქრისტიან თუ არაქრისტიან ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებას ითვალისწინებდა. საქართველო საბოლოოდ უნდა გამოვიდეს რუსული ორბიტიდან და ღირსეული ადგალი დაიკავოს თავისუფალ ერთა შორის“ (საბა, 2011, №4, გვ. 8-9).

ამ მოკლე ამონარიდიდანაც ჩანს, რომ კათოლიკე წინაპართა ტრადიციებზე აღზრდილი ექიმების – ბალოშვილების მრავალმხრივ მოღვაწეობას საფუძვლად ედო საქმის ერთგულება, პატიოსნება, სიკეთე და მოყვასის ქრისტესმიერი სიყვარული.

სოფიო და თამარ ჩიქოვანები
(ნიკოლოზ იზაშვილის შვილიშვილები)

წ ი კ თ ლ თ ზ ბ ა კ ლ ე ს ბ ე ი ზ ა შ ე ი ლ ი

ცნობილი ქირურგი, უროლოგი ნიკოლოზ იზაშვილი დაიბადა 1910 წლის 14 დეკემბერს თბილისში, კათოლიკეთა ოჯახში.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1963 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პროსტატის ადენომა და მისი ოპერაციული მკურნალობა“. მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1966 წლიდან მუშაობდა პროფესორის თანამდებობაზე.

1966 წლიდან იყო ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. იკვლევდა უროლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1979 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ნიკოლოზ იზაშვილი გარდაიცვალა 1993 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ნიკოლოზისა და მის მეუღლეს დუდუ (ნათელა) ბერძენიშვილს ჰყავდათ ორი ქალიშვილი: **ნანა** და **რუსულან** იზაშვილები, პროფესიით ექიმები იყვნენ.

ნიკოლოზის მშობლები და ოჯახური გარემო

ნიკოლოზი მესხი კათოლიკეების შთამომავალია. მისი მამა იყო პავლე იზაშვილი – საბაჟოს უფროსი, დედა – სარა მარია ლუჩია ანდრონიკაშვილი მათს ოჯახში იზრდებოდა ხუთი შვილი. ცხოვრობდნენ კათოლიკეთა ქუჩაზე (დღევანდელი გია აბესაძის ქუჩა), ეკლესიის მახლობლად მდებარე ორსართულიან საკუთარ სახლში, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ჩამოართვეს და დაუტოვეს მხოლოდ ორი ოთახი.

ნიკოს მამა – პავლე გასაბჭოების შემდეგ დაიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ საპატიმროში დიდი ხანი არ გაუტარებია, იქ ტიფით დაავადდა და გამოსვლის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. დედა დარჩა მარტო ხუთი მცირეწლოვანი შვილით. ბაბუ ჰყვებოდა იმდროინდელ რთულ ცხოვრებაზე; იგონებდა, როგორ ეხმარებოდნენ შვილები დედას ყველა საქმეში, ერთმანეთის აღზრდაში...

ბავშვობიდან ნიკოს ოცნება ექიმობა ყოფილა; განსაკუთრებით ეს სურვილი გაუძლიერდა თურმე მას შემდეგ, რაც მისი დაძმა ავად გახდა და ძალიან რთულად გადაიტანეს ინფექციური დაავადება. ნიკოს იმისთვის უნდოდა ექიმი გამხდარიყო, რომ სხვებისთვის შესძლებოდა ტკივილის შემსუბუქება.

იმ დროს ჩვენს ოჯახში ასეთი წესი ყოფილა: ყველა ბავშვს წინასწარ უნდა ჰქონოდა განსაზღვრული თავისი მომავალი პროფესია (თუ ვის რა უნდა ეკეთებინა), ბაბუს წილად ხვდა თურმე იტალიაში, ვატიკანში, წასვლა და საეკლესიო ცხოვრებაში ჩართვა. ის მღვდელი უნდა გამოსულიყო... ბაბუ მოგვიანებით ჩვენთანაც იგონებდა, თუ როგორ არ უნდოდა სასულიერო პირად გახდომა, მისი მოწოდება სხვა იყო – სცმოდა ექიმის თეთრი ხალათი და ეზრუნა ადამიანების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მათთვის ყოფილიყო თუნდაც პატარა ნუგეში. სწამდა, რომ დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი ემსახურება იმ საქმეს, რომელიც ასე ძალიან უყვარს.

ნიკო ექიმი

ექიმობა მართლა იყო ნიკო ბაბუას მოწოდება როგორც პროფესიულად, ისე ადამიანურად. იგი თავის მასწავლებლად თვლიდა აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძესა და პროფესორ გიორგი ხეჩინაშვილს. პირველი სერიოზული გამოცდილება ციმბირში სამხედრო ნაწილში მიიღო, შემდეგ პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში); აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძესთან მუშაობამაც ბევრი რამ შესძინა პროფესიული თვალსაზრისით.

ომის წლებში უფრო დატვირთული იყო: ლექციების კითხვა სამედიცინო ინსტიტუტში, თან ევაკოპოსპიტალში მუშაობა – დღეში თხუთმეტი, თვრამეტი ოპერაცია...

„თუ ექიმი ხარ, უნდა დაივიწყო ყველაფერი და მთლიანად მიეცე შენს საქმეს; გულით შეიყვარო ავად-

მყოფი და გქონდეს დიდი მოთმინება; კეთილი ინებო და საკაცეზეც შენვე დააწვინო და ბოლომდე უპატრონო. ნაოპერაციევი კაცისათვის არ არსებობს რაიმე წვრილ-მანი, რომელიც ქირურგის გარეშე გაკეთდეს.“

ასეთი იყო ბაბუას მრწამსი, ასე გაატარა მან ათეული წელიწადი. მისთვის არ არსებობდა არც დღე, არც ღამე, თუ ამისი საჭიროება იყო. რამდენჯერმე გაულია თავისი სისხლი პაციენტის გადასარჩენად საოპერაციო მაგიდასთან.

ერთი ისტორია გვახსენდება: საავადმყოფოში დააწვინეს 10-12 წლის მძიმედ დაავადებული ბიჭი, რომელ-საც დამოუკიდებლად გადადგილებაც კი არ შეეძლო. რახან სიტუაცია ასეთი რთული იყო, დაუძახეს ნიკო ექიმს (როგორც მსგავს შემთხვევებში ხდებოდა). ბაბუამ გასინჯა პატარა და, მიუხედავად ბევრი კოლეგის უიმე-დობისა, თქვა, რომ ის თავის თავზე იღებდა ბიჭის გა-მოჯანმრთელებას. ნიკო ყოველდღე საათობით კლინიკაში იყო ბიჭთან. ხელში აყვანილი დაჰყავდა მანიპულაციებსა თუ სხვა საჭიროებებზე; თავიდან ასწავლიდა სია-რულს. ასე გავიდა თვეები და, როგორც იქნა, ბავშვი დადგა ფეხზე და სრულიად გამოჯანმრთელებული და-უბრუნდა კახეთის ერთ-ერთ სოფელს...

გავიდა ბევრი წელი, ერთ დღეს სახლის კარზე ზა-რი გაისმა. კარს მიღმა იდგა კაცი, რომელიც ბაბუს კითხულობდა. კაცი აღმოჩნდა პატარა ბიჭი კახეთიდან – ვანიჩკა. ეს იყო საოცარი შეხვედრა. ამ დღის შემ-დეგ დაიწყო დიდი მეგობრობა ნიკოსა და ვანიჩკას ოჯა-ხებს შორის, რომელიც მრავალი წელი გაგრძელდა.

როგორც პროფესიაში, ისე პირადს ცხოვრებაში ბა-ბუს ძალიან გაუმრთლა. ჩვენი ბებია-დუდუ ბერძენიშვი-ლი – მან სამსახურში გაიცნო. ბებიაც ექიმი იყო. ისინი ბოლომდე ერთ შენობაში მუშაობდნენ, ერთ საქმეს ემსა-ხურებოდნენ ერთგულად. მეუღლეებს ჰქონდათ საოცა-რი ურთიერთობა, სიყვარული და პატივისცემა. ერთმა-ნეთისადმი მათი დამოკიდებულება ჩვენთვის იყო და დღემდე არის საუკეთესო მაგალითი.

გვახსოვს, დედა გვიყვებოდა: ნიკო ისეთივე კარგი მამა იყო, როგორიც მეუღლეო. შვილები, პატარები რომ იყვნენ, სამსახურიდან გვიან მოსულ მამას, საოც-რად დაღლილსა და იმ წუთის წამოწლილს, ბავშვური ეგოიზმით ეტყოდნენ ხოლმე: მამა სასეირნოდ გვინდა წასვლაო. ჩვენი ბაბუ უსიტყვოდ დგებოდა თურმე, იც-ვამდა და გოგოები ფუნიკულორზე მიჰყავდა.

ნიკო – როგორც მოქალაქე

მიუხედავად იმ ეპოქისა, რომელშიც მოუწია ცხოვ-რება და მოღვაწეობა, ნიკო იზაშვილი კონფორმისტი არასდროს ყოფილა. მისი პრინციპული პოზიცია იყო – არასდროს გამხდარიყო კომუნისტური პარტიის წევრი. ამის გამო, რა თქმა უნდა, ბევრ პრივილეგიაზე თქვა უა-რი და, არაერთი შემოთავაზების მიუხედავად, ცხოვრე-ბის ბოლომდე დარჩა ამ პრინციპების ერთგული.

ნიკო ექიმის მრავალრიცხოვან პაციენტებს შორის ბევრი იყო მაღალი თანამდებობის პირი. ერთხელ ედუ-არდ შევარდნაძის კითხვას – ბატონო ნიკო, რატომ არა ხართ კომუნისტური პარტიის წევრიო – ბაბუამ მრავ-

ლისმთქმელი ღიმილით უპასუხა თურმე: თქვენი პარტიისთვის მზად არ ვარო.

ბევრი რამის დაწერა შეიძლება ნიკო იზაშვილზე, მის პიროვნულ ღირსებებზე. ჩვენთვის, როგორც შვილიშვილებისათვის, ძალიან საყვარელი ბაბუას გარდა, იყო ყოველმხრივ სამაგალითო და საამაყო ადამიანი. ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, უროლოგის ინსტიტუტში მისვლისას, მას საოცარი სითბოთი იხსენიებენ; გვიყვებიან ამბებს, თუ როგორი უშუალო და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება ჰქონდა ყველა თანამშრომლის მიმართ, მიუხედავად იმისა, ის დარაჯი იყო, ექთანი, ექიმი თუ დირექტორი.

ავლაბარში, მის საავადმოფოსთან ახლოს, არის ნიკოლოზ იზაშვილის სახელობის ქუჩა.

სიმბოლურია, რომ ბაბუას გარდაცვალებაც უკავშირდება თავის საყვარელ საქმეს – საბედისწერო გულის შეტევაც საავადმყოფოში მორიგი შემოვლის დროს მიიღო...

ნიკოლოზ იზაშვილი საყვარელი საქმის კეთებისას გარდაიცვალა.

ლიტერატურა და წყაროები

- აბაშიძე შ.** – მცირე მოგონება დიდ მეგობარზე: „ფარმა-ცევტული უურნალი“, 2002, მარტი.
- აბულაძე ნ., კეზევაძე მ.** – „ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისათვის ქუთაისში: უურნალი „განთიადი“, 1991, № 6.
- ასათიანი მ.** – გეგუთის ძელქვები, თბ., 1968.
- ბოლქველი რ.** – ფარული კამერით დასანახი კაცი (ბონავენტურ მირაქიშვილი): გაზ. „ქუთაისი“, 1980, აგვისტო.
- ბეგიშვილი ლ.** – კოკოჩაშვილების საგვარეულო (ხელნაწერი), 2020.
- ბეროძე რ.** – ქუთაისის ღვაწლმოსილი მოქალაქენი რედაქტორი (პ. მირაქიშვილი და შ. ხონელი): გაზ. „ქუთაისი“, 1970, თებერვალი.
- გიორგაძე ვ.** – ქუთაისის სამედიცინო საზოგადოება, თბ., 1973.
- დურგლიშვილი ბ.** – ბატონ ტუშკისთან დემოკრატიის წყალობით: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 21 მაისი.
- თოფურია ვ.** – შალვა კოკოჩაშვილი: გაზ. „ქუთაისი“, 1990, 3 ივლისი.
- ისაკაძე შ.** – საქართველოს ლანდშაფტური არქიტექტურისა და დეკორატიული მებაღეობის საკითხისათვის, წიგნი I, თბ., 2011.
- კვარაცხელია ნ.** – ქუთაისელი კათოლიკები XIX საუკუნეში: ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სა-

სელმწიფო ისტორიული მუზეუმის მასალები, კრებ. XI, 1999.

„კომუნისტი“ (გაზეთი), 1963, 12 სექტემბერი (მიხეილ ივანეს ძე კოკოჩაშვილის ნეკროლოგები).

მეფისაშვილი გ. – თეატრის მეგობარი ექიმები, თბ., 1975.

მხეიძე გ., გიორგაძე ვ. – ჯანმრთელობის დაცვის მოამა- გენი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, 1976.

ნებიერიძე-გაბრიჩიძე დ. – კოკოჩაშვილების კვალი ნათე- ლი: გაზ. „საბა“, 2004, აგვისტო.

პურადაშვილი ივანე – მოგონებები.

ჟლენტი ვლ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ირ. – მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექი- მები, თბ., 1971.

სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., ჭეიშვილი ზ., ჩხეიძე ც. – სა- ქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. IV, წიგნი I, XIX საუკუნე, თბ., 1960.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და პედიატრთა საზო- გადოების ერთობლივი ნეკროლოგი – მიხეილ ივა- ნეს ძე კოკოჩაშვილი. გაზ. „კომუნისტი“, თბ., 1963, 10 სექტემბერი.

საყვარელიძე ს. – გაბრიელ გოკიელი, თბ., 1973.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – „სიმონ ხეჩინაშვილი-90. დიდი სახელი დიდმა საქმემ იცის“. საგაზეთო პუბლიკაციები: 2009, 9 დეკემბერი.

„სტალინელი“ გაზეთი, 1938, 20 თებერვალი (გ. გოკიე- ლის გარდაცვალების განცხადება).

ფეიქრიშვილი ჟ. – ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011.

ფეიქრიშვილი ჟ. – ზუბალაშვილების ცხოვრება – გზა სიკეთის მსახურებისა, თბ., 2019.

ფეიქრიშვილი ჟ. – ვიქტორ კოკოჩაშვილი, თბ., 2022.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქართული მედიცინის აუნაზღაურებელი დანაკლისი (სიმონ ხეჩინაშვილის გარდაცვალება): გაზ. „24 საათი“, 2010, 25 ივნისი.

ჩიხლაძე ნ., კერესელიძე მ. – სამედიცინო ეთიკის პრინციპები საქართველოს ჯანდაცვაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., ტ. 3, ნაწილი I, 2003, იანვარ-მარტი.

ჭიჭინაძე ზ. – მრეწველობის წარმომადგენი და ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, ტფ., 1903; II გამოც., 1906.

ჭიჭინაძე ზ. – ზაქარია მიქელის ძე ზუბალაშვილი (ვინ დაამთავრა პირველად ევროპაში ქართველთაგან უმაღლესი სწავლა): გაზ. „ივერია“, 1904, 11 აპრილი, № 87.

ჭიჭინაძე ზ. – ქართველი კათოლიკენი ყველა ასბარეს-ზედ, თ., 1905.

ჭიჭინაძე ზ. – ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, თფ., 1905.

ჯახუა ვ. – როდის დაარსდა პირველი აფთიაქი კასპში: გაზ. „ახალი განთიადი“, 2010, № 12.

ჯიყაშვილი ლ. – დიდი მეცნიერი სიმონ ხეჩინაშვილი 90 წლისაა: გაზ. „კვირის პალიტრა“, 2009, 7-13 დეკემბერი.

ჯიჯეიშვილი ბ. – XIX საუკუნის I ნახევრის ექიმები ზაქარია ზუბალაშვილი და სარდიონ ალექსი-მესხიშვილი: ქართველ მედიკოსთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი მორიგი გაერთიანებული სხდომა, 1975, 17 ოქტომბერი.

Натадзе Г., Деметрашвили К. – Врачи Энтузиасти: газ. «Вечерний Тбилиси», 1964, 4 апр.

საოჯახო არქივის მასალები (ოფიციალური დოკუმენტები, მოგონებები, წერილები, ფოტოსურათები).

ତୃତୀୟତମ୍ବାତ୍ୟିନ୍ଦ୍ର



ზაქარია მიხეილის ძე
ზუბალაშვილი



პეტრე-პავლე ივანეს ძე
კოკოჩიაშვილი



ლევან პეტრე-პავლეს ძე
კოკოჩიაშვილი



თამარ ლევანის ასული
კოკოჩიაშვილი



პეტრე-პავლეს სახლი ქუთაისში (ახლანდელი აფთიაქარის ქუჩა)



სააფთიაქო საწყობი და ქიმიური ლაბორატორია



ივანე პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილი



მიხეილ ივანეს ძე კოკოჩაშვილი



მიხეილი და მისი ქალიშვილი ანა (ექიმი პედიატრი)

ზაქარია პეტრე-პავლეს ძე კოკოჩაშვილის ოჯახი




გარცხნილან მეორე რიგში – ზაქარია, მისი მეუღლე უოზეფინა
ფირალიშვილი, შვილები: კონსტანტინე, ნინა, თამარი, ქეთო, ვენერა.



კონსტანტინე ზაქარიას ძე
კოკოჩაშვილი



ნინა ზაქარიას ასული
კოკოჩაშვილი



ვახტანგ კონსტანტინეს ძე კოკოჩაშვილი



შალვა გასილის ძაღლობი ეპიზოდი



ნინო ჩოლობაშვილი და შალვა კოკოჩაშვილი.
შვილები: თინათინი, რუსუდანი, გულნარა და ოთარი, 1928 წელი



შალვა კოკოჩაშვილი
1913 წელი



გულნარა შალვას ასული
კოკოჩაშვილი და ქალიშვილი
სვეტლანა ნებიერიძე


ს ი მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი კ ა მ ი ღ ა ნ ი



სიმონ ივანეს ძე ხეჩინაშვილი





ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი
(სიმონ ივანეს ძის შვილიშვილი)



აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ხეჩინაშვილი
(სიმონ ივანეს ძის შვილიშვილი)





90 წლის სიმონ ხეჩინაშვილი. 2009 წელი

ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ბ ი




მიხეილ ანტონის ძე არაზაშვილი



იაკობ იოსების ძე
არაზაშვილი



იოსებ (სოსო) იაკობის ძე
არაზაშვილი



გაბრიელ (გიორგი) იორსეგის ძე გოგიელი



ფატი გაბრიელის ასული გოგიელი და აკაკი წერეთელი.
ქუთაისი, 1908 წელი

ბ ე თ ა ნ ე ლ ი ძ ი ს ო ჯ ა ხ ი



პირველ რიგში: ანა ჯინოშვილი – დანიელ ბეთანელის მეულე (შუაში)
შვილებსა და შვილიშვილებთან. მარჯვენივ – იოსები, მარცხნივ –
ალექსანდრე (2 წლის); მეორე რიგში მარჯვენიდან: ზინაიდა ხარაძე
ბეთანელისა, მარიამი, სტეფანე, სოფიო კოსტანაშვილი ბეთანელისა,
მიხეილი, ელენე; შვილიშვილები თამარი და ნინო. ქუთაისი, 1924 წ.



ელენე ბეთანელი



მიხეილ ბეთანელი



ალექსანდრე მიხეილის ძე ბეთანელი



87 წლის საშა ბეთანელი. 2007 წელი

პოსტანა შვილი



სოფიო იოსების ასული კოსტანაშვილი



ვალერიან იოსების ძე კოსტანაშვილი

ა უ რ 3 ა 6 0 ჟ 3 0 ლ ე პ 0



სტეფანე ტიმოთეს ძე



სიმონ ტიმოთეს ძე

ვიოლეტა სიმონის ასული,
დორიან სტეფანეს ძე –
ექიმი გინეკოლოგიქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის
თანამშრომლები. 1942 წლის 22 მაისი.

კულტურული მეცნიერებების მოცემულებების

მოცემულებების

ყოფ. ატრიადის გამგე კავკასიის ფრონტისა

ს. გურვანიშვილი

სახილის უნივერსიტეტი გურვანიშვილი პირით სიცოდურისა:

ქადაგისა დოკუმენტის, ქადაგის [შეღრუბების ჩასმა, გასწორება მრუდ კი-
ლებისა, გაწერება, ამოდება ნარკოზით (წამლით) და სხვა აცერაციები.]

1910 წ. რჩევას (დარიგება)

ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დღით
10 დან 2 საათამდი, საღამოს 5—7 საათ.

კონფიდენციალური საცურაო სტუდია № 16.


მ ი რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი




ბონავენტურ ანტონის ძე მირაქიშვილი



შალვა ხონელი, ბონავენტურ მირაქიშვილი



ანტონ (ტუშკი) ბონავენტურის ძე მირაქიშვილი





თბილისის საათიო მოქალაქე

სხვომ მიწადუმშევის

თბილისის განვითარების მინისტრის და კანკალეონიერებულის
კაბინეტის მიმღების

თბილისის მერი
25 ოქტომბერი, 2009

8080 ეგველავა





გიორგი პატრეს ძე ნაზარიშვილი (პირველ რიგში),
უკან – ვიქტორ კოკოჩაშვილი. კისლოვოდსკის სანატორიუმში



თამარ ჩილიგეარიშვილი



კლიმენტი გელაზარიშვილი



იოსებ (სოსო) აჩერიძეს ქა ასლანიშვილი



შალვა ვასილის ქა ჩხერეგილი




ვაჟა ანტონის ძე გაღობვილი



საპატიო ბათუმელი.
2012 წელი, 9 სექტემბერი




დაჯილდოება.
2019 წელი, 22 იანვარი



ნიკოლოზ აავლეს ძე იზაავილი





„ფრანგების“ უძანი ქუთაისში

